

ელგუჯა მაკარაძე

ქართული ხალხური  
საგმირო ლექსის  
ხატოვანი  
მეტყველება



ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“  
ბათუმი – 1999

მონოგრაფიაში შესწავლილია ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო ჟანრის – საგმირო პოეზიის მხატვრული მეტყველება. ფართო საილუსტრაციო მასალის საფუძველზე დადგენილია ის თავისებურებანი, რომელიც ახასიათებს ამ ჟანრში გამოყენებულ ენობრივ სახეებს: ეპითეტს, შედარებას, მეტაფორას, გაპიროვნებას, ჰიპერბოლას.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ფოლკლორისტებს, აგრეთვე ლიტერატურის თეორიით, კერძოდ, პოეტიკით დაინტერესებულ მკითხველს.

## შსსაკალი

დაახლოებით სამი ათეული წლის წინ პროფესორი ქს. სისხარულიძე წერდა: „ის გარემოება, რომ ხალხური სი-  
ტყევიერების პოეტიკის საკითხები ნაკლებად არის შესწავ-  
ლილი, ართულებს ხალხური საგმირო ლექსების მხატვრული  
ფორმის თავისებურებათა გარკვევას“ (28, 29). მართალია, ამ  
სიტყვების დაწერიდან დღემდე ზეპირსიტყვიერების სტილის,  
მხატვრული ფორმის შესწავლის საქმეში გარკვეული ნაბი-  
ჯები გადაიდგა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მთლიანობაში  
ფოლკლორის პოეტიკის საკითხები ჩვენში აქამდე არ გა-  
მსდარა სისტემატური კვლევის საგანი და რაიმე მნიშვნელო-  
ვან წარმატებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. ამის  
მიზეზი კი, სუბიექტურ ფაქტორთა გარდა, ობიექტურ გარე-  
მოებაშიც უნდა დავინახოთ – კერძოდ, მეკვლევარ ფ. მან-  
დუკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხედველობაში უნდა მი-  
ვიღოთ სამამულო ფოლკლორისტიკის ასაკი (16,391).

ზეპირსიტყვიერი შემოქმედების უმნიშვნელოვანეს პრობ-  
ლემათა რიგს მიეკუთვნება მეტყველების ხატოვანების სა-  
შუალებათა საკითხი. თ. ქურდოვანიძე, ეხება რა ზღაპრის  
მხატვრული მეტყველების პრობლემებს, სრულიად მართებუ-  
ლად აღნიშნავს, რომ „მეტყველების სახეობრიობის საშუა-  
ლებათა კვლევა ყველაზე უფრო ახლოს დგას ეანრის პოე-  
ტიკის ანალიზთან, თუმცა ეს არ გამოირიცხავს პრობლემის  
კვლევის სხვა ასპექტებსაც“ (32, 115).

თუმცა მეტყველების ხატოვანება თუ სახეობრიობა  
არაერთიარ შემთხვევაში არ დაიყვანება მხოლოდ ე. წ. მხატვ-  
რულ-გამომსახველობით ხერხებზე (ეპითეტი, შედარება, მე-  
ტაფორა, პიპერბოლა და ა. შ.). აღნიშნული ენობრივი სახეები  
წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს განსაზღვრული მთელისა,

ერთგვარ ქეისისტემას მეტყველების სახეობრიობის მთლიანი სისტემისა (39, 138; 75, 145; 67, 55-56). ამის მიუხედავად, სადავოდ არავის გაუხდია ის გარემოება, რომ მხატვრული გამოსახვის სტილისტური ხერხები თუ საშუალებები გამოირჩეულ როლს თამაშობს მეტყველების საგოვანების მიღწევაში (შესაბამისად, ისინი სპეციალისტ-მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს).

ქართული ხალხური საგმირო პოეზიის მხატვრული მეტყველების საშუალებები დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი, თუმცა გამოთქმულია ცალკეული საყურადღებო მოსაზრებები, რომელთა გაივალისწინებაც გვიადვილებს საკითხის შეძგომ კვლევას.

ერთგვარი საგმირო პოეზიის შესწავლას გაბორჩეული ამაგი დასდო პროფ. ქს. სიხარულიძემ. ხსენებული ქანრის ტექსტოლოგიური, იღურ-თემატიკური, კონკრეტულ-ისტორიული საკითხების გვერდით, მკვლევარი იხილავს საკუთრივ პოეტიკის პრობლემებს. აქ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები“, სადაც ავტორი, ეხება რა საგმირო პოეზიის სტილის ძირულ პრობლემებს, ყურადღების გარეშე არ გოვებს პოეტური ენის, ხატოვანი მეტყველების საკითხს (28, 67-75).

ქს. სიხარულიძე ცალკე, საგანგებოდ არ გამოყოფს სხედასხვა მხატვრულ-გამომსახველობით ხერხს. ამის ნაცვლად ცდილობს ზოგად საჩებში წარმოაჩინოს ქანრის სახეობრივი სისტემის ძირითადი თავისებურებანი და, შესაბამისად, მთავარი აქცენტი გადააქვს საგმირო ლექსებში განსაკუთრებით ფართოდ გაყრცელებულ პოეტურ სახეებზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მკვლევარი რაიმე შესაძინე ზღვარს არ ავღებს მხატვრულ-პოეტურ სახესა და სიმბოლოს შორის, რითაც მკვეთრად აფართოებს პოეტური სიმბოლიკის ცნების მოცულობას და საზღვრებს.

ქს. სიხარულიძე თავიდანვე მიუთითებს ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედებისათვის ნიშანდობლივ მოვლენას — საგმირო ლექსების შიგნიან ქანრული და ზოგადფოლკლო-

რული პოეტური სახეების გვერდიგვერდ არსებობას, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ „ძირითადად პოეზიის ამ უბანს (ე. ი. საგმირო ლექსებს – ე. მ.) გააჩნია საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, ეპითეტები, შედარებანი და მზაფორმულები.“

მკვლევარი აღნიშნავს, რომ საგმირო პოეზიაში გრადიციული პოეტური სახეები ორგანულ, ჰარმონიულ კავშირშია საკუთრივ ლექსებში გადმოცემულ შინაარსთან. ამასთან დაკავშირებით, იგი გვთავაზობს საყურადღებო მოსაზრებას: „ლექსებში წარმოსახული ამბები თუ საეპიკაო კოლექსი აძლევენ მდიდარსა და მრავალფეროვან შინაარსს გრადიციულ სიმბოლოებს, ეპითეტებსა და მზაფორმულებს“ (28, 67). მკვლევრის ამ სიტყვებში ხაზგასმულია და გამოკვეთილია ის ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანი, რომელიც საგმირო (საერთოდ, ხალხურ) პოეზიაში საუკუნეების მანძილზე გრადიციული პოეტური სახეების ესთეტიკური ზემოქმედების ცხოველმყოფელობას განაპირობებდა.

საგმირო პოეზიაში, გმირის სახის გამოკვეთის მიზნით, გამოყენებულია მრავალფეროვანი პოეტური სახეები. „ლომის, ეყუხვის, ხარის, მგლის, არწივის, ორბის, შევარდენის, მიმინოს, ქორის, დეის თუ სხვა სიმბოლიკა აძლიერებს ცალკე ლექსითა საგმირო იერს“. – აცხადებს მკვლევარი და აქვე, საილუსტრაციოდ, იმოწმებს სათანადო მაგალითებს (28, 68-69).

ქს. სიხარულიძე, შესაფერისი მაგალითების მოხმობით, მიმოიხილავს მგრის, მოწინააღმდეგის გრადიციულ მხატვრულ სახეებს, გმირის საბრძოლო მოქმედებისა და მის მიერ იარაღის ოსტატურად ხმარების, მომხდურთა იავედასხმისა და რაოდენობის, აგრეთვე, სიკედლის გამომხატველ სიმბოლიკასა და ეპითეტებს (28, 71-75).

საზოგადოდ, ზეპირსიტყვიერი შემოქმედება უმჭიდროეს კავშირშია ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან, გრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენასთან. ამიტომ არის, რომ ფოლკლორის პოეტიკის სხვადასხვა საკითხების კვლევისას აუცილებელია გათვალისწინება ჯანრთა

„ფუნქციონალური კავშირებისა“.\* რამდენადაც ეიცით, ქს. სიხარულიძე ჩვენში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ყურადღება მიაქცია აღნიშნულ გარემოებას. „ქართული ხალხური საგმირო ლექსების პოეტიკის რთულ პრობლემ-აში თავისი ადგილი აქვს ეთნოგრაფიული ყოფის როლის საკითხს მხატვრული ენის თავისებურებაში“, – წერს მკვლევარი. კერძოდ, მას სამართლიანად მიაჩნია, რომ საგმირო ლექსების მხატვრულ ენას თავისებურ ელფერს აძლევს ის საგმირო გრადიკია, რომელიც ძველად გარკვეული სისტემის სახით იყო წარმოდგენილი საქართველოში. მკვლევარი თავისი ამრის სასარგებლოდ იქვე იმოწმებს სათანადო მაგალითებს (28, 76-80).

ამრიგად, როგორც ზემოთ წარმოდგენილი სქემატური მიმოხილვიდანაც ჩანს, ქს. სიხარულიძეს ეკუთვნის ბევრი საყურადღებო, ორიგინალური მოსაზრება ხალხური საგმირო პოემიის სახეობრივი სისტემის შესახებ.

გ. კალანდაძე მონოგრაფიაში „ქართული ხალხური ბალადა“, ბუნებრივია, საგმირო ბალადასაც ეხება (17, 34-82). მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ცალკეული ბალადის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე. მაგალითად, მისი თქმით, ბალადაში „მაღლა მთას მოღვა“ „შესანიშნავადაა დახატული ბაგალური სცენა – ომის გრანდიოზული სურათი, რასაც სახალხო მთქმელის ფანტაზია მოხდენილი პიკერბოლებისა და სხვა პოეტური ხერხების გამოყენებით აღწევს“ (17, 54). მეორე ბალადაში – „დათუნა“ – სახალხო მთქმელს ემარჯვება შესანიშნავი ეპითეტების მოხდენილად გამოყენება. ასე მაგალითად, დათუნას ცხენის ეპითეტებია: „ჩქარი“, „ფეხთეირა“, „ყურთეირა“. ავტორ-მთქმელი მი-

---

\* „ფოლკლორის ფუნქციონალური კავშირები, – განმარტავს ბ. პუტილოვი, – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, კავშირები მყარი სალხური ყოფითი პრაქტიკის სხვადასხვა სფეროსთან, გრადიციულ ხალხურ სოციალურ-ყოფით ინსტიტუტებთან, გრადიციულ წარმოდგენათა სამყაროსთან“ (66, 17).

მართავს აგრეთვე ჰიპერბოლებსაც“ (17, 65). „დავით წიკლ-აურში“ „დავითის გმირული სახის გამოსაკვეთად მთქმელი მიმართავს მოხდენილ შედარებებს. უიარალოდ მტრის ხელში ჩაეარდნილი გმირი უიარალო არწივთან არის შედარებული, ხოლო გმირის სიკედილი – ამლამი ცის დაქცევასთან“ (17, 73) და ა. შ.

გ. კალანდაძე საგანგებოდ ჩერდება ქართულ ხალხურ ბალადაში გამოყენებულ ზოგიერთ პოეტურ სახეზე. იგი საილუსტრაციო მაგალითებს საგმირო ბალადებიდანაც იმოწმებს. მაგალითად, ეხება რა მეტაფორას, მკვლევარი მიმართავს ლექსს – „ბალადა ყივჩაღისა“: „ცოლი სიდედრსა მივგვარე, ის კი იქა სჭამს ქვიმასა“... ეს მეტაფორა გასაოცრად აძლიერებს მტერზე გამარჯვების შთაბეჭდილებას“... (17, 143).

ქართული ხალხური საგმირო პოემიის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების საკითხს ელ. ვირსალაძეც შეეხო. მკვლევარი თავის ცნობილ მონოგრაფიაში – „ქართული სამონადირეო ეპოსი“ – ბუნებრივია, გვერდს ვერ უელის ქართული საგმირო ლექსისა და სამონადირეო პოემიის კავშირის საკითხს, უფრო მეტიც, ამ საკითხს ის საგანგებოდ გამოჰყოფს (14, 154-165). თავად მკვლევრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არც არის გასაკვირი, რადგან „ქართულ საგმირო პოეზიაში ნადირობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს“ (14, 154).

საგმირო ლექსებისა და სამონადირეო ეპოსის კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოხატულებად მკვლევარი იმას მიიჩნევს, რომ „სახეები, აღებული სამონადირეო სამყაროდან, უხვად არის გამოყენებული საგმირო ეპოსში“... მკვლევარი ამ აზრს ცოგა ქვემოთ უფრო ავითარებს: „სამონადირეო ეპოსის პერსონაჟები და მხატვრული სახეები: მგელი, არწივი, ვეფხვი, მიმინო, ქორ-შეეარდენი, ირემი, ჯიხვი უხვად არის გამოყენებული საგმირო ლექსის გროპებისათვის. მათ ხან შედარებისათვის, ხან ეპითეტისა და მეტაფორისათვის იყენებენ. თუ სამონადირეო ეპოსში ჩვენ თვით ამ ნადირთა შესახებ – ვეფხვზე, ირემზე, ჯიხვზე –

გვაქვს საუბარი და მათ ვარშემო შექმნილ ეპითეტიო და მე-  
ტაფორების სიმრავლეს ეხვლებით, აქ უკვე ეს სახეებს  
გამოყენებულია ადამიანის. გმირის დასახასიათებლად, მისი  
მსაგვრული სახის შესაქმნელად“ (14, 161-162).

მკვლევრის აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით გე-  
ინლა შევნიშნოთ, რომ ის რამდენადაც დაზუსტებას მოითხო-  
ვს. ესაღია, დავას არ იწვევს ის გარეპობა, რომ საგმირო  
ლექსებს როგორც სამოსადირეო პოეზიასთან, ისე სხვა  
მონათესავე ჟანრებთან მჭიდრო კავშირი გააჩნია (საერთოდ,  
ფოლკლორულ ჟანრთა შორის არ არის მტკიცე საზღვრები),  
ისიც ბუნებრივია, რომ ეს ჟანრები ერთმანეთის პოეტური  
სახეებითაც ამდიდრებს, მაგრამ იმის დაბეჯითებით თქმა –  
ესა თუ ის სახე საგმირო ლექსებში სწორედ სამონადირეო  
ეპოსიდან ან სხვა რომელიმე ჟანრიდან შევიდა, გადა-  
ჭარბებულად მიგვაჩნია, მით უმეტეს, თუ გავითვალის-  
წინებთ, რომ საგმირო ლირო-ეპიკური ლექსი არანაკლებ  
უძველესი წარმოშობისაა, ვიდრე, საკუთრივ, სამონადირეო  
ეპოსი.\*

ელ. ვირსალაძე ყურადღებას ამახვილებს სალსური მე-  
მოქმედებისათვის ნიშანდობლივ გრადიციულ ფორმულებზე.  
იგი წერს: „ხშირად ასეთი შედარება ან მეტაფორა იქცევა  
გრადიციულ მეტაფორა-ფორმულად, რომელიც ამა თუ იმ  
კუთხის პოეტურ არსენალს შეადგენს და ზოგჯერ მხოლოდ  
თავისი კუთხისა და შემქმნელი წრისათვის არის გასაგები“  
(14, 163). მკვლევარი სათანადო მაგალითების დამოწმებით  
მიმოიხილავს იმ გრადიციულ ფორმულებს, რომელთა სა-  
შუალებით გადმოცემულია გმირის საბრძოლველად წასულა  
და ბრძოლის დროს გაშმაგება, დამარცხება და სიკედილი,  
სიკედილით გამოწვეული მწუხარება და მუქარა.

---

\* საგმირო პოეზიის გენეზისს უძველეს გეაროვნულ-ოქმურ საზოგ-  
ალოებას უკავშირებენ ა. ვესკლოვსკი (48, 238-248), ე მელეჩინსკი  
(61, 19-20) და სხვა გამოჩენილი მკვლევრები.



გარდა აღნიშნული მკვლევარებისა, სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას საგმირო პოეზიის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს გაკვირით ეხერხიან გ. შეიფეკაური, დ. გოგოჭერი, მ. კოჭლაეაშვილი და სხვები.

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მიმოხილვიდან ჩანს, მკვლევრები ძირითადად ეხებიან საგმირო პოეზიის სახეობრივი სისტემის ზოგად პრობლემებს. ხოლო, რაც შეეხება ცალკეულ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხს, მის ეანრულ სპეციფიკას, გადმოცემის ფორმას და შინაგან სტრუქტურას, ემოციურ-ესთეტიკური გემოქმედების მექანიზმს, ილუერ-ესთეტიკურ ფუნქციას თუ სხვა კოსკრეტულ საკითხებს, ისინი, მეტწილად, მათი ყურადღების მიღმა დარჩა.

საზოგადოდ, ფოლკლორის, ამ შემთხვევაში – საგმირო პოეზიის მხატვრული მეტყველების ფორმების შესწავლისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორი მეთოდოლოგიური პოზიციის შემუშავებას. აი, რას ვკითხულობთ კრებულის – „Фольклор, как искусство слова“ – წინასიტყვაობაში: „ფოლკლორის, როგორც სიტყვის ხელოვნების, შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის მხატვრულ ხერხთა სისტემის თაისებურებათა გარკვევას. აღნიშნული სისტემის განხილვისათვის სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის მონახვა იოლი არ გახლავთ“ (76, 5). მიგვაჩნია, რომ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მეთოდოლოგიური პრინციპის შემუშავებისათვის აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ გეპირსიტყვიერი შემოქმედების, ვითარცა სპეციფიკური მხატვრული ფენომენის, თაისებურებათა გათვალისწინება. ყოვლად დაუშვებელია ფოლკლორის, მისი პოეტიკის საკითხების ოდენ ლიტერატურული თვალსაზრისით კვლევა.

ჩვენი აზრით, გეპირსიტყვიერი შემოქმედების მხატვრული მეტყველებისადმი სწორედ ამგვარ (ლიტერატურულ) მიდგომასთან გვაქვს საქმე ე. კოკინოვის ნაშრომში: „მხატვრული მეტყველება, როგორც სიტყვის ხელოვნების ფორმა“ ( 55, 234-316). მასში ავტორი ეხება რა გეპირსიტყვიერი შემოქმედების მხატვრული მეტყველების პრობლემას, მიიჩნევს, რომ ფოლკლორი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც

საკუთრივ სიგყვის ხელოვნება. ამგვარი განცხადების საფუძველს მკვლევარს ის გარემოება აძლევს, რომ „ბეპირსიგყვიერი შემოქმედება სინკრეტული ხელოვნების ნიმუშია, იგი მოიცავს არასიგყვიერი ელემენტების მთელ სისტემას – ელემენტს მუსიკისა, ხმაბაძვისა, პანტომიმისა, ცეკვისა და პრაქტიკული მოღვაწეობისაყ კი“.

ამგვარი მსჯელობის შემდეგ, სულაც არ არის მოულოდნელი ის დასკვნა, რომელსაც ვ. კოჩინოვი გვთავაზობს: „სიგყვა ფოლკლორში – ეს განსაკუთრებული თემაა, რომელსაც არ ძალუძს იყოს საკუთრივ ლიტერატურისმცოდნეობის საგანი, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ფოლკლორი პოეზიის წინაისტორიაა, ის უზარმაზარ ინტერესს წარმოადგენს მსატერული მეტყველების თეორიისათვის“ (55, 265).

პრობლემისადმი იმგვარი მიდგომა, რასაც ვ. კოჩინოვის ნაშრომში ვხვდებით, ფოლკლორისგისათვის პრინციპულად მიუღებელია. ბეპირსიგყვიერი შემოქმედების სინკრეტულობა არაფრით არ გამოირიცხავს მისი სხედასხვა კომპონენტის (ამ შემთხვევაში სიგყვიერი სფეროს) ცალკე გამოყოფასა და შესწავლას. ამ ამრს საფუძვლიანი, სრულიად დამაჯერებელი არგუმენტებით ცხადყოფს ნ. კრავეცოვი – ეხება რა კონკრეტულ საკითხს ფოლკლორულ ნაწარმოებში სიგყვისა და მელოდიის ურთიერთმიმართებისა\* (74, 56-57).

სპეციალისტ-ფოლკლორისგისათვის სიგყვის ხელოვნება ბეპირსიგყვიერ შემოქმედებაში სრულიად უეჭველი ფაქტია (ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი გამოკვლევები,

---

\* ამავე თეაღსამრისით საყურადღებოა ჯ. ბარდაეილიძის მოსაზრება, „ეინც კარგად დაკეირვებია ხალხურ შემოქმედებას, შეამწნედა, რომ იქ რამდენიმე სფერო – სიგყვიერი, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და გამომსახეელობით-აეტონომიური ნიშნებითაა გამოყოფილი. მამასაღამე, ხალხური შემოქმედების დამოუკიდებელ დარგებად დაყოფა და შესწავლა – თვით მისი რეალური მდგომარეობიითაა განსაზღვრული: ფოლკლორი, უპირეეღეს ყოელისა, სიგყვიერი შემოქმედებაა და ფოლკლორისგისკის ამოცანაყ, პირეეღ რიგში, სწორედ მისი შესწავლა უნდა იყოს“ (6, 467-468).

რომლებიც ფოლკლორში სიგყვის ხელოვნების საკითხებს ეძღვნება). იგი, ლიგერატურათმცოდნისაგან განსხვავებით, ხალხურ პოეტურ სიგყვას, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული კუთხით აფასებს და მხოლოდ ამის შემდეგ – როგორც განსაზღვრული სიძველის მაგარებელს (რისი გათვალისწინების გარეშეც, შეუძლებელია მსაგერული სიგყვის წარმოშობისა და განვითარების შესახებ რაიმე მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა).

სხვა საქმეა, რომ ხალხური პოეტური სიგყვა სპეციფიკური ფენომენია და, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მას განსხვავებული მიდგომა სჭირდება, ვიდრე საკუთრივ ლიგერატურულ სიგყვას. კერძოდ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ხალხური პოეტური სიგყვა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია და მის დაბაღებასა თუ ჩამოყალიბება-სრულქმნაში მრავალი ისეთი ფაქტორი მონაწილეობს, რომელიც საერთოდ უცხოა ლიგერატურული შემოქმედებისათვის.\*

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, მეცნიერებაში ხალხური პოეტური სიგყვის თავისებურება დავას არ იწვევს, ცალკეულ შემთხვევაში ამ სპეციფიკურობის გამომხატველი ნიმუხები თუ განმსაზღვრელი ფაქტორებიც არის მითითებული, მაგრამ პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება. საქმე იმაშია, რომ

---

\* საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლკლორის „კოლექტიურობის“ ცნების სწორად გაგებას. ჯ. ბარდაველიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ „ფოლკლორში კოლექტიურობა ღრმა შინაარსის გამომხატველი ცნებაა და იგი მოიცავს ხალხის შემოქმედებითი და ყოფითი მოღვაწეობის რთულ კომპლექსს“. მევლერის შეხედულებით: „საბოლოო ჯამში კოლექტიურობაში იყრის თავს და კოლექტიურობით არის განსაზღვრული“ ფოლკლორის ისეთი ნიმუხ-თვისებები, როგორცაა: გავრცელების მექანიზმი, გრაფიკული, ვარიანტული, ხალხური, „ეროვნული თავისებურებების ერთობლიობა,“ სინკრეტულობა და ა. შ. (6, 464-465).

დღემდე სათანადოდ არ არის დადგენილი ის კონკრეტული წვლილი, რომელიც ხალხური პოეტური სიტყვის თაყისებურებაში ფოლკლორში შემოქმედებითი პროცესისათვის ნიშანდობლივ ამა თუ იმ საკუთრივ უაქტორს ეკუთვნის. ამ საკითხის გარკვევის პრევენზია არც სუენ გაგვაჩნია, რადგან ის საგანგებო, სკრუპულოზურ ანალიზს მოითხოვს და ჩვენს კონკრეტულ ამოცანასაც სცილდება. ამიტომ ქვემოთ მხოლოდ ზოგადი ხასიათის შენიშვნებით შემოვიფარგლებით.

დავიწყებთ იმით, რომ ხალხურ პოეტურ სიტყვას თაყისი დამლთ აღბეჭდავს არასიტყვიერ ელემენტებთან, უპირატესად. მელოდიასთან მჭიდრო კავშირი. ეს განსაკუთრებით ლექსწყობაზე ითქმის: მუსიკალურ რიტმს, მელოდიას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ლექსწყობის ცალკეული ელემენტების ფორმირებაში (8. 48, 50, 73...), მაგრამ მელოდიისა და პოეტური სიტყვის ერთიერთმიმართება მხოლოდ ამით როდი ამოიწურება. მაგალითად, მიუთითებენ, რომ ხვესურულ ლექს-სიმღერებში მელოდია ნაწარმოების შინაარსის, მისი „თითოეული სიტყვის“ მკვეთრი, ემოციური გადმოცემის საშუალებაა (10, 47). აი, რას წერს ხალხური სიმღერის ცნობილი მკვლევარი შ. ასლანიშვილი: „ჩვენ განვიხილავთ ხვესურული სიმღერის თაყისებურებას ძირითადად როგორც ხალხურ (უმთავრესად საგმირო) ლექსების გადმოცემის საშუალებას მღერითი დეკლამაციის ხერხით, რაც განპირობებულია მისი (სიმღერის) სოციალური ფუნქციით – იმ ადგილით, რომელიც მას (სიმღერას) ხალხის ყოფა-ცხოვრებაში უკავია“ (4, 17-18).

აღბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქ, სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა მელოდიას, მთავარი აქცენტი გადაგანხილია სიტყვიერი მხარის დახვეწა-სრულქმნაზე და პირიქით.

საერთოდ, ხალხური ნაწარმოების შესრულების პროცესს, აგრეთვე, გარემოს, რომელშიც ეს ნაწარმოები სრულდება, ყოველთვის უნდა გავწიოს სათანადო ანგარიში. ამ გარემოებას დიდმა გერმახელმა ფილოსოფოსმა, იოჰან

გოთყრიდ პერდერმა ჯერ კიდეჲ მაშინ მიაქცია ყურადღება, როდესაც მეცნიერება ფოლკლორის შესახებ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა. პერდერის ფილოსოფიურ-ეთიკურ ნააზრევში გვიხდება პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ხალხური ნაწარმოების ესეთიკური ზემოქმედება სრულყოფილად შეიძლება გაიყიადოს მხოლოდ მისი „სოცხალი შესრულების დროს“ (49, 35; 84). ეს თეალსაზრისი დღეს ფოლკლორის თეორიაში მაღიანად არის გაზიარებული. მაგალითად, ვ. ბლაქესს სამართილიანად მიაჩნია, რომ „...საგმირო ბილინები, ისევე, როგორც სხვა ეპიკური სიმღერები, მოწყვეტილი საშემსრულებლო კონტექსტს, იღურ-მხატურული თეალსაზრისით აღარ არის აბსოლუტურად სრულფასოვანი“ (43, 18-19). სიგუაციის, ფოლკლორული გარემოს დიდ მნიშენელობაზე მიუთითებს ცნობილი აკელევარი ვ. ბოგატირი-ოვი: „ზეპირი ფოლკლორული ნაწარმოები იმ სიგუაციის მიხელვით იცვლება, რომელშიც ის სრულდება. სიგუაციას უნდა განეკუთენოს მსმენელთა შემადგენლობაც“ (44, 397).

ხალხური ნაწარმოების „დაბადებისა“ და გავრცელების ზეპირი გზა მისი პოეტის ბევრ სპეციფიკურ ნიუანსს განაპირობებს. ამის შესახებ ყურადღებას ამახვილებს ნ. პუტილოვი (66, 18-20). მიგვაჩნია, რომ სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს საკუთრივ ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ თუ სხვა თევისებურებს. მაგალითად, ვრ. კიკნაძე მიუთითებს შემდეგ გარემოებაზე: „ზეპირი მეტყველების დროს თევეს იჩენს ის სიგყვები, რომლებიც მეტყველის განკარგულებაშია ამჟამად და დაუყოვნებლივ წარმოსათქმელად არის მზად. იგივე ითქმის თევის წინადადების გამართვის, მათი ურთიერთმიმართებისა და, საზოგადოდ, ფრაზის კოსსტრუქციის შესახებ“ (20, 33).

ცხადია, მკელევარს იმის გათეალისწინებაც მართებს, რომ რაკი ხალხური ნაწარმოები ზეპირად სრულდება, ის მოსასმენად არის გამიზნული. ხოლო მთქმელე შემოქმედებით პროცესში აქტიურ კონტაქტს ამყარებს აუდიტორიასთან, ყოველთეის თევალისწინებს მის ინტერესებს. უფრო მეტი, პერდერი

ვაპოიქეამს თეალსაზრისს, რომ ხალხური ნაწარმოების ზეპირი შესრულება წარმოვიღებოდა, როგორც ორმხრივი შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც ნაკლულოვანება კონკრეტულ-მგრძნობელობითი მხედველობითი შეგრძნებებისა კომპენსირებულია მსმენელთა წარმოდგენებით. დიდი ნაწილი „ხალხური ფანტაზიის სახეებისა“, პერდერის აზრით, „სმენისა და გეპირი თხრობის“ პირმშოა (49, 232).

ხალხური პოეტური შემოქმედება, რომელიც პერდერის მიერ განიმარტება, როგორც „ხელოვნება სმენისათვის“, ადამიანის სმენის შეგრძნებებზე ზემოქმედების საშუალებებსაც ფლობს. ასეთი უმთავრესი საშუალება კი უძველეს ხანაში აღმოცენებული „მელოდიური ენაა,“ რომელიც იმთავითვე იყო „მგრძნობიარე, მდიდარი თამამი სახეებით“ (49, 120).

ხალხური პოეტური სიგყვის თავისებურებაში თავისი წვლილი აქვს ამა თუ იმ კუთხის, რეგიონისათვის დამახასიათებელ პოეტურ გრადიციას. მაგალითად, საგმრო პოეზიის გავრცელების არეალი მთელი საქართველოა, მაგრამ მისი გრადიცია განსაკუთრებით ძლიერი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო ჟანრის პოეტურ ენაში, მეტწილად, ხსენებული რეგიონის ეთნოგრაფიული ყოფის, გარემოს, საერთოდ, პოეტური გრადიციის თავისებურებები იჩენს თავს. ამასთან დაკავშირებით, კელავ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ზემოთ უკვე ნახსენებ ფოლკლორის „ფუნქციონალურ კავშირებზე,“ რომელსაც მკაფიო გამოსატყულება აქვს ზეპირსიგყვიერი შემოქმედების სტილის თავისებურებაში. ისევ მივმართათ ბ. პუგილოვს: „მთელი რიგი ჟანრებისათვის დადგინდა, რომ მათი სიუჟეტიკა, კომპოზიციური სტრუქტურა, სახეობრიობა შედეგია სინადვილის რეალური (ან მოჩვენებითად რეალური) მოვლენების, ურთიერთობების, რწმენისა და ა. შ. უშუალო გრანსფორმაციისა გარკვეულ წარმოდგენათა სისტემის საზღვრებში“ (66, 19).

ფოლკლორში შემოქმედებითი პროცესის თავისებურებასთან, კოლექტიურობასთან დაკავშირებულია, აგრეთვე,

ხალხური პოეტური შემოქმედების კიდევ ერთი ნიშან-თვისება. მხედველობაში გვაქვს მისი გრადიციულობა, რომელიც გამოსატყობია როგორც იდეურ-თემატიკურ, ისე, რაც ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესოა, პოეტიკურ სიბრტყეზე.\* ფოლკლორში ხანგრძლივი დროის მანძილზე, კოლექტიური შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ყალიბდება არა მარტო გრადიციული თემატიკა, მსოფლმხედველობა, იდეები, მოტივები, არამედ ასევე გრადიციული პოეტიკურ-ესთეტიკური პრინციპები, ნორმები, სახეები, ეტიკეტები, შაბლონები, ფორმულები.

ცხადია, გრადიციულის გვერდით, გვხვდება ისეთი გამომსახელობითი ფორმებიც, რომლებიც სიახლით, მოულოდნელობით გამოირჩევა, იმპროვიზაციის ინდივიდუალური წვლილის უშუალო ნაყოფია. ამიგომ გრადიციული და იმპროვიზაციული გამომსახელობითი საშუალებების გამიჯვნა, მათი საგანგებოდ შესწავლა მკვლევრის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მით უმეტეს, რომ კვლევის აღნიშნული გზა გარკვეულწილად გვეხმარება ფოლკლორში ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ნიშან-თვისება (სინკრეტულობა, ფოლკლორული გარემო, რეგიონული სხვადასხვაობა, გრადიციულობა, ინდივიდუალურობა და ა. შ.) ბეპირსიტიკურიების სხვადასხვა ქანრში თავისებური სახით იჩენს თავს. ამას ისიც ემატება, რომ სპეციფიკურია თვით ამათუ იმ ქანრისათვის ნიშანდობლივი თემატიკა, იდეური ტენდენციები, მოტივური ელემენტები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხური პოეტური სიტყვის საერთო სახის ფორმირებაში. ამდენად, ხალხური პოეტური სიტყვისათვის დამახასიათებელია მკაფიო ქანრული დიფერენციაცია. სავ-

---

\* გრადიციულობა დამახასიათებელია მწიგნობრული ლიტერატურისათვისაც, ოღონდ აქ მას თვისებრივად განსხვავებული საფუძველი და გამოვლენის ფორმა გააჩნია.

სებით მართალია ბ. პეტალოვი, როდესაც წერს: „სიბრძნისმეორე ფოლკლორული ნაწარმოების სათანადოდ წაკითხვა და გაგება შესაძლებელია ჟანრული სისტემის მხოლოდ იმ საზღვრებში, რომელსაც ის მიეკუთვნება. ცალკეული ტექსტის პოეტიკა არის ჟანრის პოეტის კონკრეტული ვარიანტი, მისი პრინციპების რეალიზაცია“ (66, 15). არსებითად იგივე გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას რ. იაკობსონი და პ. ბოგატიროვი: „...ფოლკლორში სტილია ნაირსახეობა, უმეტესწილად, ჟანრთა ნაირსახეობას შეესაბამება“ (44, 372).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ უახლოესი პერიოდის გამოკვლევებში, რომლებიც ფოლკლორის პოეტიკის საკითხებს ეძღვნება, უპირატესობა აქვს მინიჭებული ხალხური პოეტური შემოქმედების სტილის, კერძოდ, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ჟანრული კუთვნილების პრინციპით კვლევას.

როდესაც ლაპარაკია ხალხური პოეტური შემოქმედების სტილის, მისი ცალკეული კომპონენტის შესწავლის მეორეოლოგიური პრინციპების შესახებ, მხედველობიდან არ უნდა ჩამოვდარდეს კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ ის, რომ ხალხური ნაწარმოები, ისევე, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, მხატვრული მთლიანობით, ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობით ხასიათდება.\* ამიტომ აეცილებელია ნაწარმოების თითოეული კომპონენტის განხილვა, როგორც შესაბამისი მთელის განუყოფელი ნაწილისა, რადგან აღნიშნული კომპონენტის ტექნიკური არსის სრულყოფილად შემეცნება მხოლოდ მთელიდან მიმართებაში არის შესაძლებელი. მაგალითად, საგმირო პოეზიაში ესა თუ ის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი, ენობრივი სახე (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა და ა. შ.) უნდა შევისწავლოთ არა მარტო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, არამედ ჟან-

---

\* ფოლკლორული ნაწარმოების მხატვრული მთლიანობის პრობლემა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა რუსულ ფოლკლორისტიკაშიც (74).



რის საერთო მხატვრულ შინაარსთან, თავისებურებებთან მიმართებაში, უნდა გამოვავლინოთ ის კანონზომიერებანი, რომლებიც თან ახლავს მოცემული ენობრივი სახის გამოვლენას, მის ფუნქციონირებას ხსენებული ჟანრის ნიმუშებში.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ როგორ მიუღვებით მხატვრული მეტაფორების ფორმას, ენობრივ სახეს – როგორც მხოლოდ ხერხს, განსაზღვრული მიზნის მიღწევის კონკრეტულ საშუალებას, თუ, იმავე დროს, როგორც დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების შემცველ ფენომენს. ამ საკითხში ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ გ. კიკნაძის შემდეგ შეხედულებას: „სიკვყის ხელოვნებაში მხატვრული ხერხი მარტო ხერხი და საშუალება კი არაა, არამედ თავისთავადაც მხატვრული ფენომენია და ასეც განიცდება“ (19, 110).

კიდევ ერთი საკითხი: ხალხური პოეტური შემოქმედების სახისმეტყველების სისტემაში გამოიყოფა ორი პლასტი – უძველესი, როდესაც პოეტური სახე ჯერ კიდევ აგარებს კავშირს რწმენა-წარმოდგენასთან, კულტთან, გრადიციასთან და ახალი, როდესაც ეს კავშირი დროთა განმავლობაში დაკარგულა, სახე მთლიანად ესთეტიკური შინაარსის შემცველია. ჩვენი მომეტებული ინტერესის საგანი სწორედ ეს უკანასკნელია, რაც გვიდგენს კიდევ კვლევის ძირითად ამოცანას – დავადგინოთ ენობრივი სახეების გამოშახველობითი და ემოციურ-ესთეტიკური არსი, მხატვრული ღირებულება, აგრეთვე ფუნქციები.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საგმირო ლექსებში ფართოდ გაერცელებული სუთი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი – ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება, პიპერბოლიზაცია. ასეთი არჩევანი სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რადგან გათვალისწინებულია ის, რომ ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, ჩამოთვლილი ხერხები ხსენებული ჟანრის ნიმუშებში ფართოდ გამოყენებით ხასიათდება, მათი მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მეორეც, ისინი გამორჩევით მკაფიოდ ავლენენ საგმირო პოეზიის მხატვრული პრინციპებისა და იდეურ-თემატიკური გენდენციების თავისებურებას

## ეპითეტი

ქართულ ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში ეპითეტი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხია. მისი სახეობრივ-ემოციური ბუნება და ფუნქციები გეპირსიგყვიერების სხვადასხვა ეანრში განსხვავებულია, რაც გამოწვეულია მოცემული ეანრის დანიშნულებით, მისი თემატიკითა და საერთო სტრუქტურით. თუმცა კონკრეტული ეანრული თავისებურებების გარდა, ხალხური ეპითეტი ზოგადფოლკლორულ ნიშნებსაც ატარებს და ხშირად ისინი ისე მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს, რომ მკვეთრი მიჯნის გავლება ჭირს.

სამამულო ფოლკლორისტიკაში ეპითეგის პრობლემა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა – სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას, მას გზადაგზა შეეხნენ ე. კოტეგიშვილი (22: 336-337); ჟს. სიხარულიძე (26, 264-265; 28-70-71), ე. ვირსალაძე (14, 140-141), მ. ჩიქოვანი (37,55), გ. კალანდაძე (17, 142) და სხვები. ამ მხრივ, საგანგებოდ იმსახურებს აღნიშვნას გ. შეთეკაურის ნაშრომები. მკვლევარი შედარებით დაწვრილებით სწავლობს ეპითეგის საკითხს ხალხური პოეზიის ნიმუშებში (33, 68-74); მასვე ეკუთვნის სპეციალური გამოკვლევა, რომელიც ხალხურ პოეზიაში ფერთა ეპითეგებს ეძღვნება (35,3-12). ქართული ხალხური ქების ლექსში ქალის ეპითეგს ეხება მ. კოჭლავაშვილის ნაშრომი (23, 131-150). ხალხური პროზის, კერძოდ, ზღაპრის ეპითეგს საგანგებოდ გამოკვლევა მიუძღვნა ფ. ზანდუკელმა (15, 115-126). ჯალოსნურ ზღაპარში ეპითეგის სპეციფიკის საკითხს ეხება თ. ქურდოვანიძეც (32, 118-121).

მიუხედავად ამისა, ქართულ ფოლკლორისტიკაში ხალხური ეპითეტი დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ეპითეტის ქანრული კუთვნილების პრინციპით კელევა, რაც ასე ფართოდ არის გავრცელებული რუსულ და დასავლურ ფოლკლორისტიკაში, ჩვენში აქამდე თითქმის არ ჩატარებულა, არ დადგენილა სხვადასხვა ჟანრის შიგნით ეპითეტის მხატვრულ-ესთეტიკური ბუნებისა და გამომსახველობითი ფუნქციების თავისებურებანი. ეს გარემოება კი უაღრესად ძნელად გადასალახავ დაბრკოლებად გვევლინება საგმირო ლექსებში აღნიშნული ხერხის სახეობრივი და ფუნქციური გამოვლენის თავისებურების დადგენის გზაზე (ეს ეხება მხატვრული გამოსახვის სხვა ხერხებსაც).

საზოგადოდ, საგმირო ეპითეტის (საერთო ენობრივი სახეების) მხატვრულ-ესთეტიკურ ბუნებას, მისი ფუნქციონირების მრავალ ნიუანსს მეტწილად განსაზღვრავს თვით ჟანრის იდეურ-თემატიკური ტენდენციები, გმირობისა და გმირის გრადიციული ხალხური იდეალი. საგმირო ლექსებისათვის დამახასიათებელი ჰეროიკული სულის შექმნაში, გმირის, მისი ქცევა-მოქმედების და მომხდარი ამბების პოეტურ წარმოსახვაში ეპითეტი გარკვეულ როლს ასრულებს, მაგრამ, იმავე დროს, თავადაც თავისებური ემოციური ელფერი იმოსება, იღებს მკაფიოდ განსაზღვრულ ფუნქციურ დატვირთვას.

1. ბამოხატვის ფორმები და შინაარსი. ხალხური ეპითეტის კვლევაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მისი გადმოცემის ფორმის, აღნაგობა-შედგენილობის, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთმიმართებისა და სხვა მსგავსი საკითხების ვათვალისწინებას (ცხადია, ჩვენი ინგერესის სფეროში შემოდის არა გრამატიკული, არამედ სემანტიკური, სახეობრივ-ემოციური ასპექტები).

საგმირო ლექსში ეპითეტი მეტწილად გადმოიცემა არსებითი და ზედსართავი სახელებით. ამათგან არსებითი სახელით

გამოსხატული ეპითეტი წარმოშობით უფრო ძველია. ე. ვრი-  
ომინას თქმით, „საგნობრივი განსაზღვრებების ჩამოყალიბება,  
როგორც ჩანს, მიეკუთვნება სახეობრივი აზროვნების იმ პერი-  
ოდს, როდესაც ადამიანი ყველაფერს, მათ რიცხვში, სულიერი  
ცხოვრების მოძრაობას გამოხატავდა გარეგანი სამყაროს  
საგნებით“ (52, 62).

თავის მხრივ, ეპითეტი განსაზღვრავს არსებით სახელს,  
გმნას, აბსტრაქტულ სახელს და ა. შ.

შედგენილობის მიხედვით, დასტურდება როგორც მარტივი  
(მამაცი ყმა, გრილი წყარო), ისე რთული (ღურჯოხა თუში,  
სისხლ-ტიგრიანი გზა) და გაშლილი (ოპის კარ დამჭეხებელი  
ვაკეცი, ერთი თროლი გამღარებელი ვაჭი) ეპითეტები.

მარტივი ეპითეტი თავისი შინაარსით უფრო ხშირად გან-  
მარტებით-შემფასებლურია (ლალი არწივი, წყნარი ვაკეცი),  
ბოგჯერ შეგაფორული (რკინის გული, მგლის მუხლი), ხან  
კიდევ გაეტოლოგიური (წითელი სისხლი, მაგარი რკინა);  
რთული და გაშლილი ეპითეტები უმეტესად განმარტებით-შე-  
მფასებლური ხასიათისაა.

საზოგადოდ, მსაზღვრელი საზღვრულის წინ დგას, ან მას  
მოსდევს. თუ ხალხურ პროზაში რელიეფურად იკვეთება მსა-  
ზღვრელ-საზღვრულის მიმართების პირველი ტიპი, პოეზიაში  
ეს მიმართება ყოველთვის ლექსის რიტმულ-ინტონაციური  
წყობით არის განსაზღვრული. შესაბამისად, აქ მიმართების  
მეორე ტიპიც ძალუმაღ იჩენს თავს:

„გადმოდგნენ ანწლოვანამე  
ნისლ ზელ დაედვა ცვრიანი...  
შამუძახა თუშებსა:  
„თუ მნო, ვინა ხართ ხმლიანი?“

გონიოს ცხენმა, ფეხთეორმა  
გზა ბერტყა ბალახერიანი...  
თამაშობს ჯიმშელის ცხენი,  
ლაგამ აქვს ოქროიანი.“\* (30, 200)

\* მაგალითებს მოვიხმობთ ქართული ხალხური პოეზიის მრავალგ-  
ომეულიდან (29, 30). შემდგომში მიუეთითებით კრებულისა და გვერდის  
ნომერს.

გარდა იმისა, რომ მსაზღვრელი უშუალოდ მოსდევს სა-  
ზღვრულს ან პირიქისა, ხშირად მათი შორის ერთი, ზოგჯერ  
რამდენიმე სიგყვა დგას (ესეც, რა აქმა უნდა, ლექსის რიგ-  
მულ-ინტონაციური წყობის კარნახით). განსაკუთრებით ხში-  
რია ისეთი შემთხვევა, როდესაც მსაზღვრელსა და საზღვ-  
რულს შორის გმინას ეხედავთ.

ხშირად ეპითეგი სარიტმო ერთეულს წარმოადგენს:

„ეგ კმალი გაგიალდება, ფრანგული ცხრა - ღარიანი, ეგ თოფიც გაგიალდება, სიათი პირ - კომლიანი,	ეგ ცენიც გაგიალდება, ლურჯაი ნალ - ქაფიანი, დავიხოცებით ორნივე პირნი წავეყება წყლიანი“
--	--

(III, 226).

სარიტმო ერთეულად გამოყენებული ეპითეგი ლექსში  
ინტონაციურად გამოიყოფა და ამით, მისი სემანტიკური ექ-  
სპრესია მკვეთრად მაგულობს.

ზოგჯერ ეპითეგი საზღვრულს, ან სხვა სიგყვას ბგერო-  
ბრივად ემსგავსება და ამ დროს ლექსში მუსიკალურობის,  
კეთილხმოვანების შექმნის საშუალებად გვევლინება. ამასთ-  
ან, თაეადაც აკუსტიკურად „თვალსაჩინოვდება“ და ემოციუ-  
რი ზემოქმედების მკაფიო უნარს იძენს:

„სუ იყენენ და ქუჩებულნი,  
ჩემი პირქუმი ყმანი“ (IV, 71).

ან:

„იტიროს ცხელის ცრემლითა  
მუქიმ, ვარდანის დამაო“ (IV, 41).

ან კიდევ:

„მოვიდა წოწკოლაური  
სუმელჯი სურო - დეიანი (III, 202).

ამრიგად, საგმირო ლექსში ეპითეგის სახეობრივ-ემო-  
ციური ბუნების მრავალნიუანსი უშუალოდ არის განსა-

ზღერული მისი ფორმისეული გამოსატყვის სხვადასხვა ასპექტით.

ბ. გომამევესკი საესეებით სამართლიანად შენიშნავს: „ეპითეგები ერთობ მრავალფეროვანია, რადგან მრავალფეროვანია თვით ამ ეპითეგებით ხაზგასმული ემოციები – საკუთრივ ეპითეგის ფუნქციები“ (73, 197).

მართლაც, ეპითეგი გამოსატყავს ადამიანის შეგრძნებათა ფართო სპექტრს (გემოს, სუნის, ყნოსვის, სმენის, შესების შეგრძნებებს). ამ მხრივ, ფოლკლორი ლიტერატურას გვერდით ვერ დაუდგება, რადგან ჩამოთვლილი შეგრძნებანი მკვეთრად ინდივიდუალიზირებულ აღქმას გულისხმობს.

საგმირო ლექსში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება გემოს, სმენის, შესებისა და სხვა შეგრძნებათა გამომხატველი ეპითეგები. სამაგიეროდ, აქ ფართოდ არის წარმოდგენილი მხედველობითი შეგრძნებების მატარებელი ე. წ. „ვიზუალური“ ეპითეგი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან, როგორც რ. ბარბაქაძე შენიშნავს: „მხატვრული სახის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში, საერთოდ, მხატვრული შემოქმედების პროცესში განსხეავებული ფუნქციური სისტემები მონაწილეებენ, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეული ადამიანის მხედველობითი სისტემის წვლილია“ (5, 101). არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ფოლკლორი, ვითარცა მიმეტური ხელოვნების ნიმუში, მკვეთრად მიისწრაფვის სურათოვნებისაკენ, ობიექტის, მისი მოქმედება-მდგომარეობის ვიზუალური გათვალსაჩინოებისაკენ. აქ მხედველობითი ხატების წინა პლანზე წამოწევა ემსახურება საესებით გარკვეულ ამოცანას: მსმენელმა უშუალოდ და შთამბეჭდავად აღიქვას დრამატული, ემოციურად დაძაბული სიუჟეტური სიტუაციები თუ პოეტური სახეები, აღწერილ ამბავს, წარმოსახულ ხატს მიენიჭოს მეტი დამაჯერებლობა და ობიექტურობა. „ბჭკლიანი ვეფხვი“ თვალხილული, სმენისათვის ადვილად აღსაქმელი ხატია. ის

აუდიტორიას არა მარტო ესმის, არამედ, იმაედროულად, ცხადად წარმოუდგება თეალწინ. ცხადია, ამის შედეგად, ემოციური ჩემოქმედების ეფექტიც მკვეთრად გაზრდილია.

სურათოვნებისაკენ, ხილულობისაკენ მისწრაფების ტენდენციას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხშირად ეპითეგით გამოხატული აბსტრაქტული შინაარსი „გასაგნებულია“, ფიზიკურად ხელშესახები სახე აქვს მინიჭებული. ამ დროს ეპითეგი, ჩვეულებრივ, მეტაფორული ხასიათისაა:

„ერთი ქურანი მომგვარე  
შენ ლურჯასავით ფრთიანი“ (III, 219).

ან:

„მესამედ ვადმოხტომაში  
ლუხუმს მუვლ მასტყდა მგლისაო“ (III, 190).

შხედველობითი ეპითეგის ერთ დიდ ჯგუფს შეადგენს ფერის აღმნიშვნელი ეპითეგები. საზოგადოდ, განსაზღვრულ სახელთან უპირატესობა აქვს მინიჭებული ამა თუ იმ ფერს, რომელიც მეტწილად სტაბილურობას, მუდმივობას იჩენს: თეთრი ხარი, შავი დრუბელი, წითელ-ყვითელი დროშა, ლურჯი ცა, შავი ყორანი და ა. შ.

სავმირო ლექსში ფერის ეპითეგი არსებითად ობიექტის რეალური ფერით არის მოტივირებული და, ამ აზრით, რეალისტურია, თუმცა ზოგჯერ სიმბოლურ დატვირთვასაც იძენს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შავი ფერი:

„შავო, ნუ მახკლავ, სიკედილო,  
მეგრელთა ფენჩიასაო“ (IV 57).

ან:

„ჩაგყარნა ბორკილაშია,  
შავმა დრუბელმა, ქარმაო“ (IV, 174).

სავმირო პოეზიაში ფერთა შორის აშკარად დომინირებს „შავი“ და „თეთრი“ ფერები, რომლებიც ზოგჯერ „კონტრასტულ პრინციპზე არიან აგებული“ (35, 8).

„გიყვარდა იესო ქრისტიანი მანდილი,  
სეზმე შელებე მადეადა“ (IV, 259).

ქერსონაქის გარეგნობის დასასასიათებლად გამოიყენებული ფერის ეპითეტი მოტივირებულია როგორც საკუთრივ ეთნიკური თავისებურებით (47, 61), ისე ქალის, ან გმირის გრადაციული ხალხური იდეალით.

ეპითეტი „თეთრი“ ახასიათებს ქალს, რომელსაც შავი თვალ-წარბი ამშვენებს:

„შიგ მიზის იატონის შვილი,  
შავთვალწარბა თეთრი ქალი“ (IV, 251).

გმირი, სეულებრივ, „სვილისფერია“:

„შემეყვარნე, გზაჩივა  
სვილის ფერანი გრანჯანი“ (IV, 107).

მას შავი წვერ-ულვაში ამკობს:

„ვიხლება ბრტყელი მხარბუჭი,  
შავი ულვაში, წვერიო“ (IV, 291).

მოგჯერ ერთსა და იმავე ლექსში მკვეთრად აქცენტირებულია ერთი ფერი სხვადასხვა ობიექტის დასახასიათებლად:

„შავი ხარ, შავსა ცხენს მიხარ, კუპრის პერასი გაცეია,  
შავი თქალთო გიგია, ზელ ნავთის ღლი ვიბია“ (IV, 239)

უნდა აღინიშნოს, რომ საილუსტრაციოდ მოხმობილ მაგალითში მხოლოდ ობიექტები კი არ აღიქმება ერთ ფერში, არამედ მთლიანად წარმოსახული სურათი, რომელიც, ამის შედეგად, ერთგვარად გაყოლიანებულიცაა.

საგმირო ლექსებში სხვადასხვა შეგრობების გამომხატველ ეპითეტთან ერთად, ცხადია, ფართოდ არის გავრცელებული გმირის, ან რომელიმე სხვა ობიექტის ამა თუ იმ თვისების



გამომხატველი ეპითეტები. მაგალითად, ასეთია გმირის დასახასიათებლად გამოყენებული ეპითეტები: წყნარი, მამაცი, მარდი, იმედიანი, გულდისჯი და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ საგმირო პოეზიის ნიმუშებში ხსენებელი ეპითეტი ყოველთვის გარკვეული მხატვრული ამოცანის შესაბამისად იხენს თავს, ხოლო მისი შექმნასებლური ფუნქცია ხალხის მიერ სინამდვილის მხატვრულ-ესთეტიკური აღქმის თავისებურებებით არის განსაზღვრული.

2. მხატვრულ-მსთავისპირი ბუნება. საგმირო პოეზიაში ეპითეტის ემოციურ-ესთეტიკური ბუნება ნაირგვარი ასპექტით იხენს თავს, რომელთაგან ჩვენ მსოფლოდ რამდენიმე ძირითადს გამოვყოფთ:

*პიკერბოლურობა:* „საგმირო პოეზიაში მეგწილად პიკერბოლური ეპითეტები გვხვდება“, – წერს გ. შეთეკაური (34, 71). თუმცა, დაკვირვება გეარწმუნებს, რომ საგმირო ლექსებში არაპიკერბოლური ეპითეტები ქარბობს პიკერბოლურს (რასაც ვერ ვიტყვით იქედარებასა და მეტაფორაზე). ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ გაზვიადება საგმირო ეპითეტის რელიეფურად გამოკვეთილი თავისებურებაა.

თავის ღრობე გამოხენილი ინკლისელი პემანისტი ფ. ბეკონი შენიშნავდა: საგმირო პოეზია „მომდინარეობს უარესად კეთილშობილური წყაროსაგან. ის ყველა სხვაზე უფრო მეტად მიისწრაფვის ალაშიაური ბუნების ამალლებისაკეს.“ აქედან გამომდინარეობს, ბეკონის აზრით, საგმირო პოეზიისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშანი, როგორიცაა იდეალიზაცია (42, 209).

ქართული ხალხური საგმირო პოეზიისათვის დამახასიათებელი იდეალიზაცია მხედველობიდან არ გამოჰპარვია ვაჟა-ფშაველას. ის წერილში – „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატვლებით“ – აღნიშნავს „ხალხი მუდამ სვალყურს აღვენებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხეაყებულ ზნე-ხასიათის, ფანგაზიითაც უპაგებლა გმირს

თავის გემოვნებისამებრ მწეობრივსა და ფიზიკურ თავისებას, რათა უფრო მოსაწონი გაესაღა იგი ყოველმხრივ“ (12, 72). დიდი პოეტი აქ მისთვის ჩვეული მახვილგონიერებით მიტყანისწებს საგმირო ლექსების ერთი ძალზე ნიშანდობლივ მხარეზე – ხალხის მისწრაფებაზე „ყოველმხრივ მოსაწონი გახადოს გმირი“. ამ მიზნის მიღწევის ეფექტური ხერხია მოვლენებისა და ვითარებების დრამატიზება, გმირის თვისების, მოქმედების პიერბოლიზაცია. საგმირო ლექსების ამ განწყობილებას განსაკუთრებით კარგად ავლენს მეტაფორები და გმირის „ამაღალღებელი“ შედარებები, თუმცა ეპითეტსაც აშკარად ეტყობა მისწრაფება – გამოხატოს რაღაც უჩვეულო, განსაკუთრებული, ამაღლებული. აი, როგორც ამკობს მთქმელი გმირს:

„ხევით წამახვე, ლომგულო,  
ბაბუკის ნათელისძეო“ (IV, 254)

ან:

„გული ჰქონია რკინისა,  
ოსმალო ფოლადისაო“ (IV, 130).

საგმირო ლექსებში გამორჩეულის, განსაკუთრებულის ნიშნით არის აღბეჭდილი არა მარტო გმირი, მისი საქციელი, არამედ თვით საგნები და მოვლენებიც კი: მათრახი „მეიდკეცი, შეიღი მხარია“ (111, 194); ცრემლი, მეტწილად, „ცხელია“; ცხენი „ფრთიანია“ და ა. შ.

ამრიგად, ვფიქრობ, სურათი ნათელია – ეპითეტი კარგად გამოხატავს ქანრის ემოციურ ტონუსს.

„ღირიკული“ და „ეპიკური“ ეპითეტები.\* „პოეტურ გვართა მიხედვით... საგმირო ლექსები ღირიკულ-ეპიკურია.

---

\* აქვე გვინდა დავაზუსტოთ, რომ ცნებები „ღირიკული“ და „ეპიკური“, რომლებიც ეპითეტის, აგრეთვე სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხის მიმართ არის გამოყენებული, არ არის აბსოლუტური და რამდენადმე პირობითობის შემცველია.

თხრობას, ეპიკას ლექსებში ცვლის ემოცია – ლირიკა,“ – წერს ქს. სიხარულიძე (28, 29). აღნიშნული თვალსაზრისი, ვფიქრობთ, სრულად ვერ გამოსაგავს საგმირო პოეზიის მრავალფეროვნებას და რამდენადმე დაზუსტებას მოითხოვს. თუ საგმირო ბალადა უტყუარად განეკუთვნება ლირიკულ-ეპიკურ გვარს, ამას ვერ ვიგყვიით ისეთ ქანრებებზე, როგორცაა ელეგია, ქების ლექსი, აფორიზმი და ა. შ. ეს უკანასკნელი წმინდა ლირიკული ქანრებია და მათში ეპიკური განსახოვნების გენდენცია ან საერთოდ არ იჩენს თავს, ან, ყოველ შემთხვევაში, ისე ძალუმად არა, როგორც ბალადასა და პოემაში.

ჩვენი თვალსაზრისის სისწორეს ადასტურებს ეპითეგიც (აგრეთვე სხვა ენობრივი სახეები, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით). კერძოდ, თუ ბალადაში, პოემაში, გამოკვეთილი სიუჟეტის მქონე ლექსებში პრიორიტეტული ეკუთვნის „ეპიკურ“ ეპითეგს, ელეგიაში, აფორიზმებში, ქების ლექსში, სხვადასხვა უსიუჟეტო სასიმღერო გაეპებში „ლირიკული“ ეპითეგებია გაბატონებული.

ა. კულაგინა წერს: „ბალადაში განსაკუთრებით ხშირად გამოყენებული ეპითეგების უდიდესი უმრავლესობა გვიჩვენებს ამკარა სიჭარბეს გამომსახველობითი ეპითეგებისა გამომხატველობითზე, რაც საესებით შეესაბამება ბალადის სპეციფიკას – თხრობის ეპიკურ ხასიათს“ (59, 78). როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულ ხალხურ საგმირო ბალადაებში. აქ „ეპიკური“ ეპითეგი გეაძლევს დასახასიათებელი ობიექტის კონკრეტულ მხედველობით, სმენით, მოძრაობის, სიერცისა და სხვა განსაზღვრულობებს. ის აკონკრეტებს (აზუსტებს) პოეტურ ხაგს და ამის შედეგად მისი ობიექტურობის ხარისხს მკვეთრად მაღლა სწევს. მაგალითად, მოქმელი მსმენელის ყურადღებას მიაპყრობს საკუთრივ მაღალი მთის ნიაგზე: („ხანდახან ქოჩორს შეგიბერგყს ნიაევი მაღლა მთისაო,“ IV, 53); სხვა შემთხვევაში ნიაევი კიდეე უფრო მეტი კონკრეტულობით ხა-

სიამოვნება: „ბუილა ხარ საღვთაკრულიძე, ნიაფი გერ გე გი-  
საო“ (III, 208); ზუსტი აღნიშვნის ფუნქცია აკისრია იმ ეპი-  
თეგს, რომელიც თითოეულ შემთხვევაში გზის განსაკუ-  
თრებულობას გახაზავს: „სახევერიანს“ („გზა შორს პქონს  
სახევერიანი, კლდიან ხორაჯის თაფია,“ III, 230), „სახირხლი-  
ანს“ („ღამის სიბნელეს არ დასდევ იმ სახირხლიან გზაზედა,“  
IV, 115); „ჩაკიბული“ („გოგოლაურთას ჩაეიდეს, ჩაკიბული  
პქონს გზანია,“ III, 204); დაზუსტებულია, აგრეთვე, სმლის  
რაგვარობა: „დავითფერული“ („ვერ ვათამაშებ თქვენზედა  
დავითფერულსა ჯმალსაო“, IV, 54), „ფრანგული“ („ვერ  
გასჭრა ჯმალმა ფრანგულმა, ვერც შააშინა დანაშა,“ III, 114);  
მისითებულია უშუალოდ ცივ წყაროზე („შილდის თავს ციე-  
სა წყაროსა გვერდს მიუჯდები ვეღარა!“ III, 114) და ა. შ.

ამრიგად, საგმირო ლექსში „ეპიკური“ ეპითეტი  
დასახასიათებელი ობიექტის დაკონკრეტება-დაზუსტების და,  
ამ გზით, მისი ობიექტივიზაციის ამოცანას ემსახურება.

რაც შეეხება „ლირიკულ“ ეპითეგს, ის, როგორც ზემოთ  
აღინიშნა, გვხვდება ლირიკული ეპოემების ნიმუშებშიც და სიუ-  
ჟეტური ლირიკ-ეპიკურ ლექსებშიც. ამ უკანასკნელში, სადაც  
ერთმანეთს ერწყმის სინამდვილის განსახოვნების ლირიკული  
და ეპიკური თავისებურებანი, მოქმედი გულგრილად არ რჩება  
იმ ამბის მიმართ, რომელსაც მოგვითხრობს და ყოველ შეს-  
აფერის შემთხვევაში ცდილობს, თავისი განწყობილება (სშირ-  
ად, აღგაცება გმირით, მისი მოქმედებით), თავისი დამოკ-  
იდებულება აღწერილი ამბისადმი გამოხატოს. ასეთ შემ-  
თხვევაში, ეპითეგის შემუშავებლური ელემენტი იგვირავება  
სუბიექტური შინაარსით და ობიექტის ნიშან-თვისებას ლირიკ-  
ულ-ემოციურ, მკვეთრად სუბიექტურ პლანში წარმოისახავს.

სამოგადოდ, ე. წ. „ლირიკულ“ ეპითეგში დასახასია-  
თებელი ობიექტის სუბიექტის გრძნობა-განწყობიდან მომდ-  
ინარე კვალიფიკაცია ჩანს. მასში წინა პლანზეა წამოწეული  
არა იმდენად ობიექტის რეალური სახით წარმოჩენის, არ-  
ამედ ამ ობიექტისადმი მოქმედის (ან პერსონაჟის) დამოკ-  
იდებულების გამჟღავნების ამოცანა. ამ დროს, ბუნებრივია,

ეპითეტი ემოციურად სეიგრაღერ, ვერ იქნება: ბალადა „ცისკარმა ამოანათა“ მოვეთისრობს გიორგის ვმრობისა და სიკვდილის ამბავს. ლექსის დასასრულს გმირის სიკვდილით დადარდინებული მოქმელი მიმართავს „კართავანის“ მთას და გიორგის თვალეების დასახასიათებლად იყენებს რთულ ეპითეტს, რომელსაც სუბიექტურ-შემფასებლობითი ხასიათისაა:

„ლიღინით საესე თვალეზ,  
უღროოდ დახუქისაო“ (IV, 53).

„ლიღინით საესე“ ლირიკული კითეგია. ის მოქმელის განცდა-განწყობილეზას გამოხაფავს და ემოციურად დაძაბულია.

ანდა: დატყვევებული, უცხოეს ში გატაცებული ქალს საშველად ისმობს თანამოძმეებს, რომელთაც მიმართავს შემღვტი სიტყვებით:

„გალიკ-გალიკნო ვაეკაცნო, მიკრ.ჟეთ თითო შაური,  
მისაღეე-მოსაღეეარნო, მისსენით, თქვენნი ტყეე ვარო“  
(III, 139).

აქაც, ეპითეტები: „გალიკ-გალიკნო“ და „მისაღეე-მოსაღეეარნო“ პერსონაჟის განცდა-განწყობილეზის შეღეგია, ლირიკული ხასიათისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლირიკული, სუბიექტურ-შემფასებლობითი ეპითეტები განსაკუთრებით ხშირად იწენს თავს როგორც მოქმელის, ისე პერსონაჟის პირდაპირ მეტყველეზაში.

*ქანრული ნაირსახეობა და ეპითეტი:* საგმროო პოეზია ქანრობრივი მრავალფეროესებით გამოირჩევა. „იგი შეიცავს აფორიზმებს, სასიმღერო ტაკეებს, ბალადას, ქეზას ან ხოტბას, ელეგიას და პოქმასაც კი“ (29, 57). ამიგომ, ჩამოთვლილ ქანრეზში ეპითეტის ფუნქციისა და ემოციური შინაარსის სრული ნიველირება, ეფიქრობთ, არ უნდა იყოს გამართლებული. ყოველი ცალკე აღებული ქანრის შიგნით ეპითეტის სახეობრივ-ექსპრესიული შინაარსი და ფუნქციები

თიხით მოცემული ქანრის სტრუქტურითა და მიზანდასახუ-  
ლობითაც არის პირობადებული. კერძოდ, ზემოთი უკვე აღენ-  
იშნეთ, რომ სიუჟეტიან ლირო-ეპიკურ ლექსებში პრიორი-  
ტეტი ეკუთვნის „ეპიკურ“ ეპითეგს, ლირიკულ, სიუჟეტურობას  
მოკლებულ ლექსებში კი ლირიკულ-ემოციური ეპითეგებია  
გაბატონებული; თუ ქების ან სახოგბო ლექსში ეპითეტი  
ემსახურება ამადლებული განწყობილებისა და პათეტიკის  
დამკვიდრებას, ელეგიაში სეედიანი განწყობილების  
გადმოცემას უწყობს ხელს და ა. შ. საინტერესოა, რომ სხვა-  
დასხვა ქანრის ეპითეგები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან  
არა თავიანთი სემანტიკით, კონკრეტული შინაარსით, არამედ  
სწორედ სახეობრივ-ემოციური და ფუნქციური თავი-  
სებურებებით. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სიუჟეტიან ლი-  
რო-ეპიკურ ლექსებში ეპითეტი არ ხასიათდება ისეთი აქტ-  
იური გამოყენებით, როგორც უსიუჟეტო ლექსებში. ამ  
უკანასკნელში, ზოგჯერ, გმირის ხასიათი არსებითად ეპი-  
თეგითაა მოწოდებულ-გახსნილი. ასეთია, მაგალითად, შემდ-  
ეტი ქების (სახოგბო) ლექსი:

„სეგა რა დედამ გამარდა,  
ეგეთი მშენიერიო,  
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი,  
ბრძენი და გონიერიო.

გიხდება ბრტყელი მხარ-ბეჭი,  
წერილი, წერწეტა წელიო,  
ტურჟა სახეზე თვალ-წარბი,  
შავი უღვაში, წერიო-“(IV, 241).

როგორც ვხედავთ, ციგირებულ ორ სტროფში ლექსიკურ  
ერთეულთა დაახლოებით ნახევარი ეპითეგზე მოდის.

აქვე საგანგებოდ შევჩერდებით საგმირო აფორიზმების  
ეპითეგზე.

სამოგადლოდ, საგმირო აფორიზმში ყურადღებას იქცევს თა-  
ვისი ფორმითა და მიზანდასახულობით. ის სიუჟეტურობას  
მოკლებულ ლექსს წარმოადგენს და საუკუნეთა განმავლობაში  
ხალხის მიერ შემუშავებულ გმირობისა და გმირის გრადიციულ  
იდეალს სხარტად და ლაკონიურად გამოხატავს. საგულისხმოა  
ის გარემოება, რომ საგმირო აფორიზმებში გამოხატული ში-  
ნაარსი თუ საუკუნეების განმავლობაში „გამოჭედილი“ მონუ-

მენტერი თვალსაზრისი განსაკუთრებული პოეტური ენით არის გადმოცემული. აფორიზმში მოქმედი ფართოდ მიმართავეს შედარებას, მეტაფორას, პარალელიზმს, ანტითეზას, ხოლო რაც შეეხება ეპითეტს, აქ ის გამოკვეთილი ბოგადობით ხასიათდება. მაგალითად, აფორიზმში გვირის დასახასიათებლად ძალზე სშირად არის გამოყენებული ისეთი ბოგადი შინაარსის გამომხატველი ეპითეტი, როგორცაა კარგი//კაი. ჩვენ საგანგებოდ დაეაკვირდით ქართული სალხური პოეზიის II ტომში მოთავესებულ აფორიზმებს და აღმოჩნდა, რომ მათში გვირის დასახასიათებლად მოხმობილ ეპითეტთა შორის, გამოყენების სიხშირის მიხედვით, კარგი//კაი სჭარბობს ყველა დანარჩენ ეპითეტს ერთად აღებულს (29, 79-113).

უფრო მეტიც, ეპითეტი „კაი“ ისე „შეზრდია“ საზღვრულ სახელ „ყმას“, რომ ბევრგან ის საზღვრულთან ერთად „მოთიან ფორმამია შეკუმშული“ (33, 72) და ხალხის მიერ ერთ მთელად, ერთ სინტაგმად არის აღქმული. ამას კარგად მოწმობს აღნიშნული ეპითეტის ფორმისეული ტაქტოლოგიის შემთხვევები, რასაც მრავალგზის ვხვდებით:

„კარგი ყმა მამინ კარგია,  
ჯმალნი რომ შეუღენ ელესა“ (III, 79)

ან:

„მამინ კარგია კაი ყმა,  
რა დილა ბინდით დგებოდეს“ (III, 79).

და ა. შ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გენეზისის თვალსაზრისით, საგმირო აფორიზმში, როგორც ქანრი, უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე ელევია, ქების ან ლირო-ეპიკური ლექსი. აფორიზმის წარმოშობა საგმირო პოეზიის, საბოგადოდ მხატვრული ამროვნების განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს გულისხმობს, ხოლო მასში გამოხატული საეაქაყო მორალის, სამშობლოსათვის თავდადების, ჭირში

გაგეხლობისა და სხვა იდეების ჩამოყალიბება ქრონოლოგიურად ხანგრძლივი დროის მონაკვეთით განისაზღვრება. საფიქრებელია, რომ ამ პროცესში საგმირო პოეზიის, სხვა ეპიკების როლი დიდი იყო. ისინი უხედავ კვებად აფორიზმებს არა მარტო იდეური გენდენციებით, არამედ პოეტური სახეებით, გამოშასაველობით ხერხებით, რაც მშენებურად ჩანს ეპიკის მაკალითზე: აფორიზმები და საგმირო პოეზიის სხვა ეპიკები მხატვრული წარმოსახვისას უხედავ სარგებლობენ საერთო ეპიკებით, რომელთა ნაწილი, ვფიქრობთ, აფორიზმებში მზა სახით შევიდა და დამკვიდრდა.

ამრიგად, საგმირო პოეზიისათვის დამახასიათებელი ეპიკური მრავალფეროვნება თავისებურად აპირობებს მისი ეპიკის სახეობრივი შინაარსისა და ფუნქციების მრავალფეროვნებას, რის გათვალისწინებაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება საგმირო ეპიკის იმანენტური ბუნების წარმოსახვად.

**დინამიკური და სტატიკური ეპითეგები:** ზოგჯერ ეპითეგი ობიექტის მოძრაობა-მოქმედებას გამოხატავს. ასეთ განსაზღვრებებს დინამიკურს უწოდებენ. მაგალითად, დინამიკურია გმირის დასახასიათებლად გამოყენებული ეპითეგები: მუხლად მარდი, მაკალი, ჩქარი, ფრთიანი... ცხენს ახასიათებს ასევე დინამიკური ეპითეგები: ფრთიანი, ჩქარი, „მუხლი აქვს შაეარდნისაო“ და ა. შ.

ზოგჯერ საზღვრული სახელი თავადვე შეიცავს მოძრაობა-მოქმედების ნიშანს. ამ დროს დინამიკური ეპითეგი მხოლოდ აძლიერებს ობიექტის იმთავითვე მოცემულ ნიშანთვისებას. ასეთია, მაგალითად, ეპითეგი „ჩქარი“, რომელიც ტყეის განსაზღვრებას წარმოადგენს („ფარს ქვეთი შამაგოლეს თოფის ტყეია ჩქარია“, III, 162).

საზოგადოდ, საგმირო ლექსებში დინამიკური ეპითეგი ეპიკური თხრობის დროს ნაკლებად გვხვდება (ამ დროს ობიექტის მოძრაობა-მოქმედების გამოხატვის ფუნქცია თითქმის მთლიანად გმნას კისრება). საშტაგიეროდ, ის უფრო სშირად არის წარმოდგენილი ალწერა-დახასიათებებში.



საგმირო პოეზიის სიმუშებში, რაოდენობის მიხედვით, დინამიკურ ეპითეტებს ამკარად აღემატება სტატიკური ეპითეტები, თუმცა, აქ პოეტური სახე, რომელიც სტატიკური ეპითეტით არის განსაზღვრული, უმეტეს შემთხვევაში, მაინც დინამიკურია. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის გმნა დგას.

„ქალაში იუზნი ჩაიიღეს,  
ნი სლი თან ჩააკეცა ცერიანი“ (III, 200).

აგრეთვე:

„შემრ ჯმალი ამამღერა,  
ვადათი მეღანქრიანი“ (IV, 48).

აქ პოეტური ხატი, რომლის სტრუქტურის ერთ-ერთ ელემენტს ეპითეტი წარმოადგენს, მოძრავია, ექსპრესიულია, დინამიკურია. ასეთი ექსპრესიული, შინაგანად დაძაბული ხატები კი თვით მოცემული ჟანრის დინამიზმის, მისი ემოციური გონუსის შესატყვისია.

*ზოგადფოლკლორული და ჟანრული, გრადიციული და ორიგინალური ეპითეტები:* ეპითეტის კვლევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად არის მიჩნეული მოცემული ჟანრის შიგნით ზოგადფოლკლორული და საკუთრივ ჟანრული ეპითეტების გამოყოფა. ასეთი დაყოფისას, ჩვეულებრივ, ზოგადფოლკლორულად არის მიჩნეული ის ეპითეტები, რომლებიც ერთბაშად რამდენიმე ჟანრში ფიგურირებს, ხოლო ჟანრულად – მხოლოდ ერთ კონკრეტულ ჟანრში დადასტურებული ეპითეტები. უნდა ითქვას, რომ ამგვარი კლასიფიკაცია რამდენადმე პირობით ხასიათს ატარებს, რადგან „ჟანრის ფარგლებში ზოგადფოლკლორული პოეტური საშუალებანი განსაკუთრებულ სისტემად იქცევა, რომელიც პასუხობს ჟანრის დანიშნულებას და მაქსიმალური ეფექტით მის თემატიკასა და პრობლემატიკას“ (68, 182). შევნიშნაეთ, რომ იქ, სადაც საგმირო ეპითეტის ჟანრულ სპეციფიკაზე ვსაუბრობთ, ზოგადფოლკლორულ ეპითეტებსაც ვგულისხმობთ.

თავდაპირველად ამა თუ იმ ჟანრში ჩამოყალიბებული ეპითეტი დროთა განმავლობაში იმ სიგეყისთან ერთად, რომლის აგრიბუკსაც წარმოადგენს, „მოგზაურობს“ ჟანრიდან ჟანრში და ასე პოულობს საერთო ფოლკლორულ გავრცელებას. ეს პროცესი ზოგჯერ ერთგვარად გაუთვით-ცნობიერებელ ხასიათსაც აგარებს; ამ დროს ხალხურ ნაწარმოებში თავს იჩენს ნაკლებად მოსალოდნელი, მოცემული ჟანრისათვის რამდენადმე შეუფერებელი ეპითეტი. თუმცა ის ვერც ერთ შემთხვევაში ვერ პოულობს ფართო გავრცელებას. მაგალითად, საგმირო პოეზიის საერთო ხასიათის, გმირის გრადიციული ხალხური იდეალისათვის ნაკლებად შესაფერისი ჩანს ეპითეტი „ბროლის“ შემდეგ კონტექსტში:

„აუშვი ბ რ ო ლ ის მკლავზედა  
ისარი სინგულისაო“ (III, 103).

„ბროლის მკლავი“ საგრფილო ლექსებისათვის ნიშანდობლივი პოეტური სახეა და უფრო ხშირად ქალის შესამკობად არის გამოყენებული. ის კარგად აელენს ხსენებული ჟანრის არსს; რაც შეეხება მის გამოჩენას საგმირო ლექსში, ვფიქრობ, აქ და მსგავს შემთხვევებში ზემოთ აღნიშნულ მოვლენასთან, ეპითეტის მექანიკურ გავრცელებასთან უნდა გვექონდეს საქმე.

4. მხატვრული ღირებულება და უზნაძიებნი. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ შენიშნავს: „ყველაზე მთავარია, მეტაფორები გვემარჯვებოდეს. მხოლოდ ამას ვერ გადაიღებ სხვისგან. ეს ნიჰის თვისებაა, რადგან მოხდენილი მეტაფორების შექმნა, მსგავსების შემჩნევას ნიშნავს“ (2, 117). მართალია, არისტოტელე მეტაფორასა და შედარებას შორის რაიმე მკვეთრ ბლვარს არ ავლებს, აქ მოგანილი მისი სიგყუებიც სრულიად გარკვეული მიმართულებით არის ნათქვამი, მაგრამ ჩვენთვის ამქამად პრინციული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „პოეტიკის“ ავტორი მეტაფორის შექმნა-გამოყენებას შემოქმედის მხატვრული ოსტატობის საზომად მიიჩნევს.

ზემთ ცალკეული ღებულების საარგუმენტაციოდ თუ საილუსტრაციოდ მოხმობილ-გაანალიზებული მეტაფორები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, ოსტატობის თუ რა სიმაღლეს აღწევს მთქმელი საანალიზო გროპით ოპერირებისას. ამის მიუხედავად, ვუიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ ამ თეალსაზრისით საგანგებოდ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს.

ცნობილია, რომ მეტაფორის მხატვრული ღირებულების, ესთეტიკური ზემოქმედების ძალის სრულყოფილად შეგრძნება

მსოფლიო კონკრეტულ კონტექსტთან, მეტიც, ნაწარმოების  
ძოლიან შინაარსთან, სტრუქტურასთან კავშირში არის  
შესაძლებელი. ამიგომაც ანალიზს აღნიშნულის გათვალის-  
წინებით წარგმართათ.

ბალადა „ყარა-ნამამში“ (III, 123-125) მოქმელი  
ბორჩალოელი თათრის – ყარა-ნამამისა და სახალხო გმირ  
ყაყიჩაშვილის ბრძოლის ამბავს მოგვითხრობს.

ნაწარმოები უშუალოდ მოქმედების გადმოცემით იწყება:

„ბორჩალოს თათრებ გაცვიდნენ,  
ბორნით გამაულენ მტკვარსაო,

დაკყევა ყარა-ნამამი  
აღვეთის ხეობასაო“...

ამას მოჰყვება ლირიკული გადახვევა, მიმართვის  
ფორმით გადმოცემული სიტყვები ყარა-ნამამისადმი:

„ნუ მიხეაღ, ყარა-ნამამო,  
ე მანდ ვეფხვი წვეს გზასაო,  
არც მალე გამავისტუმრებს,

მოგაღვინებს ხანსაო,  
ბევრ თათარ უნადირებაჲ  
ყაყიჩათ გამიხარდსაო“.

მეტაფორა – „ე მანდ ვეფხვი წვეს გზასაო“, შეპლგომ მისი  
რეალიზაცია (გახსნა) ფაქტიურად ამბადებს კევანძის განასკე-  
ას. ამასთან, ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ ვისთან მოუწვეს  
ყარა-ნამამს ურთიერთობის გარკვევა და, გარკვეულწილად,  
ეგრძნობთ კიდევ, როგორ განვითარდება შემდგომში  
მოქმედება, როგორი იქნება მისი ლოგიკური დასასრული.

ყარა-ნამამი ყურად არ იღებს გაფრთხილებას:

„არ იშლის ყარა-ნამამი,  
მიათამაშებს ხმალსაო“.

აქ უკვე კევანძი გაინასკევა. ცხადად ჩანს, რომ კონფლიქტი  
გარდაუვალია, მეტაფორული გამოთქმა – „მიათამაშებს ხმა-  
ლსაო“ – მიგვანიშნებს, რომ ყარა-ნამამი საკუთარ შესაძ-  
ლებლობებში გედმეტად არის დაჯერებული, გამომწვევადაც

იქცევა. ამას მისი სიგყეებიც მოწმობს, რომელშიც ცხადად იგრძნობა გამოძწევი, აგრესიული ტონი:

„რაად მიძოვებ, ფშაველო,  
მაგ საილაღე მთასაო!“

ქართველი მოყმის საპასუხო, ემოციურად შეფერილ რეპლიკაში მკაფიოდ ჩანს მისი საბრძოლო განწყობილება, გადაწყვეტილება – არ აპატიოს მომხდურს „ბაღლის მოკელა“, „გზაზედ მგზაურების ცარცვა“, „ჯიბეში ხელის ჩაყოფა“ და „ხელზე ფულების თელა“. მეტაფორული გამოთქმა:

„გაჯაერდა ფშაელის გაზრდილი,  
თავზე იყრიდა ჯაერსაო“, –

კიდევ უფრო ძაბავს სიგუაციას, აახლოებს მოქმედების განვითარების კულმინაციურ საფეხურს, ამძაფრებს ჩვენს ინტერესს კონფლიქტის საბოლოო შედეგისადმი.

ფშაველი გმირის მომდევნო, რისხვით აღსავსე, კატეგორიულობით აღბეჭდილ რეპლიკას:

„ – არ მოგცემ, ყარა-ნამაზო,  
ჩემსა საკუთარ ხმაღსაო“...

მოჰყეება მოქმედების განვითარების კულმინაციური მომენტი:

„ონულ შამაუბრუნა,  
შამაყოლებს თვალსაო.

თოფ დაკრა ყარა-ნამაზსა,  
სისხლ ორკნით იქამს ჩქამსაო“.

კვანძის გახსნად კი შეიძლება მივიჩნიოთ მომდევნო სტრიქონები:

„თათარ ცხენს გაღმაეკიდა,  
მაშევით აღებს ყბასაო“.

ამრიგად, განსილულ ბალადაში სულ რამდენიმე მეტაფორა გვხვდება, თუმცა მათი წვლილი ნაწარმოების ემოციური ველის შექმნაში, მოქმედების კასიეთარების ძირითადი საფუძვრების შემზადება-გამოკვეთაში, პერსონაჟის ხასიათის ნიუანსების წარმოჩენაში, როგორც ვხედავთ, უმნიშვნელო არ გახლავთ.

მიქმელის პოეტური ოსტატობის ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენს ერთი მცირე მოცულობის ელეგია, რომელსაც ქვემოთ სრულად მოვიგანთ:

„მითხოს გასუქდი, მიშავო,  
რა ფიქრი მოგვიდებია.  
დაბერებულა გარაი,

წვერთ ჯანგი მოჰკიდეზია,  
გმათა გარაის საეალთა  
პირს ბორტვი წაჰკიდეზია“  
(IV, 42).

მიქმელი, მიმართვის ფორმით წარმოდგენილი გაპიროვნებისა და მეტაფორების შემწეობით, შესანიშნავად ახერხებს გამოხატოს თავისი წუხილი გმირის დაბერების გამო. მაგრამ ეს წუხილი, იმავე დროს, განმამოგადებულ შინაარსსაც იძენს: ერთი კონკრეტული ვითარებით გამოწვეული განცდა მოგადადამიანურ სევდამდე მალღდება, დროის უღმობლობის, წუთისოფლის წარმავლობის მარადიულ ტკივილზე ჩავვაფიქრებს.

სალხის დაუმრეტელი პოეტური ფანტაზია, შეუმცდარი მსატკრული ალლო გამოკრთის მეტაფორებში, რომლებიც დამახასიათებელია აფორიზმებისათვის.

სხენებული ჟანრის მრავალ ნიმუშში მეტაფორების საშუალებით ხდება ამრის ლაკონიური, მაგრამ შთამბეჭდავი გამოხატვა. ნიმუშისათვის შეგვიძლია მოვიგანოთ ფართოდ გავრცელებული, ფრიად პოპულარული აფორიზმი:

„კიდევაც დაიზრღებთან

ისე არ ამოსწყდებთან,

ალგუთს ლეკეები მგლისანი,

ჯავერი შეჰამონ მტრისანი“

(III, 81).

მეტაფორული საფუძეელი, რომელსაც წინამდებარე აფორიზმი ემყარება, კონკრეტული ამრის მაღალემოციურად გამო-

ხაჩეის ძირითადი პირობაა. იმავე დროს, ჯანსაღი ოპტიმიზმი, მომავლის რწმენა მეტაფორის შემწეობით სიმბოლურ განზოგადებას იძენს და ჭირში გაუგებლობის მოწოდებად გაისმის. მსმენელზე წარუშლელ მთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო აუორიზმში გამოხატული აზრი, არამედ ამ აზრის გადმოცემის ფორმა.

5. მხატვრულ-ბაგოფსახველობითი ფუნქციები. ფრიად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია ის მხატვრულ-გამომსახველობითი დანიშნულება, სტილისტური ვალდებულება თუ ფუნქცია, რომელიც მეტაფორას საგმირო პოეზიაში აკისრია.

1) პირველ რიგში უნდა გამოიყოს მეტაფორათა ის ჯგუფი, რომელიც ადამიანის, მისი ქცევა-მოქმედების წარმოსაჩენად არის მომარჯვებული.

საგმირო პოეზიის ცენტრში დგას გმირი, მის ირგვლივ ეითარდება მოვლენები, მასთან კავშირში იჩენს თავს სხვა პერსონაჟები თუ საგნები. შესაბამისად, ხსენებული ჟანრის ლექსებში მეტაფორის ძირითადი ფუნქცია, მსგავსად მხატვრული გამოსახვის სხვა ხერხებისა, გმირის სახის გამოკეთა-დახასიათებაა.

როგორც რამდენიმეგზის აღინიშნა, საგმირო ლექსებში მთქმელი ნაკლებად მიმართავს გმირის პორტრეტის დეტალურ დამუშავებას. თუმცა, თუ ეპითეტსა და შედარებას ცალკეულ შემთხვევაში მაინც ეკისრებათ პორტრეტული ნიუანსების წარმოჩენის ფუნქცია, მეტაფორა ამას თითქმის მთლიანად მოკლებულია.

სამაგიეროდ, მრავალრიცხოვანი მეტაფორები, რომლებიც გმირის დასახასიათებლად არის მომარჯვებული, ემსახურება მისი რაინდული თვისებების ხაზგასმას, ვაჟკაცობისა და სიქველის წარმოჩენას.

მეტაფორათა ერთი ნაწილი, კერძოდ, მეტაფორული პერიფრაზის ნიმუშები, გმირის უშუალო შეფასებას წარმოადგენს და ემოციურ-შემფასებლობითი ხასიათისაა:

„შავა ზის თოსო ცოვიძე,  
ეუფხეია სალის კლდისაო“ (III, 212).

ან:

„სათავეს აბელუიი სყავ,  
ქორ - შაქარდენი მჭრიანი“ (IV, 106-107).

აგრეთვე:

„აქ დავიგანეთ სუტური,  
ნამტვრევი ფოლადისაო“ (III, 174).

ხშირად მთქმელს ნაწარმოებში არ რჩება ღრო და ადგილი იმისათვის, რომ დაწერილებით მოგვითხროს ხალხის რჩეულ გმირთა სასახელო საქმეების შესახებ. ამ ღროს სახელოვან მოყმეთა დახასიათების ეფექტური საშუალება, მსატვრული გამოსახვის სხვა ხერხთა შორის (ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა), მეტაფორული პერიფრაზიც არის:

„... გირევს ხოსიკას ივანე  
დიღბანდი დიჩინისაი  
ფარსმამი აუს ალუდა -  
კოშკია სიმაგრისაი.

კემოს აბალოს დავითი -  
ხმალია ბასრის ფხისაი,  
დანოში თავებრაიძე -  
კურ - წყალი თუშეთისაი“  
(IV, 238).

მეტაფორულად დასახელებულ გმირს, მეტწილად, უშუალოდ მოძრაობაში, მოქმედებაში ვხედავთ.

ბუნებრივია, გმირის მოძრაობა, ერთი ადგილიდან მეორეში გადანაცვლება განსაზღვრული სიერცისა და ღროის მონაკვეთში ხდება, რომლის დაკონკრეტება-დაზუსტებას (ე. ი. სიერცისა და ღროის შემოსაზღვრას) მთქმელი იშვიათად მიმართავს. სამაგიეროდ, თითქმის ყველგან ხაზგასმულია მოძრაობის საოცარი სისწრაფე.

ამ ნიშნით ხასიათდება როგორც გმირის მოძრაობის დასაწყისი, გამგზავრება ერთი ადგილიდან მეორეში:

„თაოდ წავიდა, გაფრინდა,  
არწივ გაშალა თბენია (IV, 84),



ისე მოძრაობის დასასრული, ანუ მისეულა:

„ლუხუზაი შენაქოელი  
შავარდენ მოფრინდ მხრიანი“ (III, 196).

მეტაფორულად არის გადმოცემული გმირის ისეთი ქსევა თუ მოქმედება, რომელიც ლოკალურ სივრცით ფონს გველისხმობს.

მოქმედლის მიერ შენიშნული და დაფიქსირებულია გმირის კონკრეტული საქციელი, მოცემულ სიტუაციაში მისი ყოფა, მდგომარეობა, პოზა. ამის შედეგად იხატება პლასტიკური სურათი, ვითარცა ახლა, ამჟამად განცდილ-დანახულის უშუალო შედეგი:

„შიგა მის ალის ალულა,  
ქორი აბრუნებს თვალებსა“ (IV, 72).

ან:

„ძმი ვოვოთურ გერდ გელვა,  
შავარდენ მერებსა შლისაო“ (IV, 65).

აგრეთვე:

„გაფრინდეს ვოვრულთის ჩრდილზე,  
მგელი შემოღერაეს აწკალსაო“ (III, 158).

მეტაფორით გადმოიცემა გმირის საომარი მოქმედება, მისი საბრძოლო შემართება:

„დასგრილდ ხელაიძეი,  
მგელმა დაფანტა ცხეარიო“ (III, 213).

ან:

„გარდართ გადმაფრინდა,  
ვეფხემა დახია ჟარია“ (IV, 32-33).



ეპითიუტზე მსჯელობისას აღენიშნეთ, რომ გმირის პოეტური სახის გამოკვეთა მისი იარაღ-საჭურელის მხაგრული წარმოჩენის კუთხითაც ხდება. ხალხის საყვარელ გმირს შესაფერისი იარაღ-საჭურველიც გააჩნია, რომლის დახასიათების ფუნქცია მეტწილად ეპითიუტს ეკისრება. რაც შეეხება მეტაფორას, ის ხატოვნად წარმოგვიჩენს გმირის მიერ იარაღის ოსტატურად ხმარებას:

„ერდოდან ჩამოერივა,  
ამააწიელა ხმალია“ (III, 256).

ან:

„ვიორვი მარტიაშვილმა  
ბერდენკა ჩაუწკრიალა“ (IV, 92).

ან კიდევ:

„ჭირიმი გოგოთურისა  
აჩქამდა ბეჭის ფრთაზედა,  
ნასრევი აბიკაისა,  
ქისტს დაუშინჯე განზედა“  
(IV, 81).

ამრიგად, მეტაფორის საშუალებით გმირის სასიათის გამოკვეთა ძირითადად ერთი მიმართულებით – რაინდული თვისებების, ფიზიკური უნარ-შესაძლებლობისა თუ სიჩაუქესიქველის წარმოჩენის მხრივ ხდება. აღნიშნული ნიშნებით გმირის დახასიათება კი ფართო სპექტრით, ნაირგვარი ნიუანსების ხაზგასმით მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი მომენტი:

ზემოთ განხილული მავალითებიდან ნათელი ხდება, რომ მეტაფორული ხატები, რომელთა შემწეობით გმირის დახასიათება ხდება, სიმრავლით გამოირჩევა: ლომი, ეფუსვი, მგელი, ხარი, ჯეირანი, ირემი, არწივი, შევარდენი, მიმინო, ქორი, კოშკი, რკინა, შავი ღრუბელი, აღმასის ციხე... ერთი შესხედვითაც კარგად ჩანს, რომ ჩამოთვლილი ხატები შინაგანად ისეთ თვისებებს შეიცავენ, რომლებიც სიმბოლურად დაკავშირებულია გმირობა-ვაჟკაცობის წარმოდგენებთან.





ისეიებიც გვხვდება, რომლებიც მოწინააღმდეგის ვაჟკაცობას გახამავს; უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მარტო ხალხის მიერ მოწინააღმდეგის ვაჟკაცობის პატივისცემის გამოვლენასთან, არამედ მთქმელის კონკრეტულ მიზანთან — მეტი ელვარება და შთაძებულობა მიანიჭოს გმირის მგერზე გამარჯვებას, მისი მოქმედების რეზულტატს.

2) საგმირო პოეზიაში მეგაფორები ფართოდ გამოიყენება ამა თუ იმ სიტუაციის, ვითარების გამოსაკვეთად.

ქს. სიხარულიძე, ესება რა საგმირო ლექსებში მგრის თავდასხმის სიმბოლიკას, აღნიშნავს: „ეს სიმბოლიკა ყოველთვის წინ უძღვის ბატალურ სცენებს და მსმენელს განაწყობს საგმირო ან სახიფათო ამბების მოსასმენად“ (28,79). გრაგიკულობის პათოსით გამსჭვალული ერთი ლექსის დასაწყისში მთქმელი მეგაფორების საშუალებით მშვენივრად ახერხებს წარმოაჩინოს ვითარების უკიდურესი დრამატულობა, აღძრას განსაცდელის გარდაუქალობის განცდა:

„ჯარების მოსულას ამბობენ, გატეხას ჩაღმის მთისასა, დადგომას ქველურთის სოფელს,	უკულმ ჩახლომას მზისასა, გაღმოსულას ქვათენთის მთამედ. ზედ დახურვასა ცისასა“
--	--

(III, 115).

საკუთრივ ბატალური სცენების აღწერისას მთქმელი მეგაფორების გამოყენებით სხარტად, ლაკონიურად გამოხატავს სიტუაციის მთელ დაძაბულობას, ემოციურად აფასებს ყოფის მოვლენებს:

„სამშაბათ დილა თენდების, შავი ბადეი გვედება. თოფი ჭეხს, მთანი ელობენ, თოფის ცეცხლისგან თენდება. თავზე დაგვიკივის ურჯულო:	„თქვენთვის დილაიც ბნელდება“. ახლა დაგვეყა, რაიყა წინაუ შინ იყვა, ელდება ერთუცის ძალით ლამქარი ვინც რო ცხვარია, მგელდება“
--	---

(IV, 78).

თუმთა მძიმე ხვედრია გამოხატული შემდეგ მეგაფორაში:

„თუმი ჩაქვივდენ სისხლშია,  
ჟმაღებ შორი ხედაღისაო“ (III, 165).

მეგაფორათა საშუალებით გაღმოცეღული და მეფასებუ-  
ღია, აგრეთე, ყოფის სსვა მოვღენები:

„ზე უბანს რა ამბაღია,  
პირი შემოღვა ზღვისაო“ (III, 211).

ან:

„ქეღსურეთს ცანი დაეცნეს,  
არხეაგს ნაპირნი ცისანი“ (IV, 88).

3) მეგაფორის საშუალებით ყვეღა შემთხვევაში გარკე-  
ღული ინფორმაცია, ესა თუ ის ამრი გაღმოიციეღა, მაგრამ სში-  
რად საანალიზო გროპისათვის სწორედ აღნიშნული ფუნქციაა  
ძირითადი. ასეთ მეგაფორებს ჩენ ცალკე ჯგუფად გამოვეყოფთ.

მეგაფორა, ვითარცა ამრის იღუსტრაციის ფორმა, განსაკუ-  
თრებით სშირად არის გამოყენებული აფორიზმებში. საუკუნეთა  
განმავღობაში შემუშაეღებული ღრმა, მონუმენტური ამრები თუ  
იღეები, მეგაფორების საშუალებით ლაკონიურად და მა-  
ღალემოციურად გაღმოიციეღა, თანაც განზოგადებულ შინაარსსაც  
იძენს. საიღუსტრაციოდ მოვიგანთ სულ რამღენიმე მაგალითს:

მეგაფორების საშუალებით გამოიხაგება გპირის, იგივე  
„კაი ყმის“ გრადიციული ხალხური იღეალი:

„კარგი ყმა მაშინ კარგია,                    მოციქეღობღენ ისარნი,  
ჯმაღნი რო შეეღენ ეღვასა,                ზუბნი აძღეეღენ ენასა“

(III, 79).

კონკრეტული ამრისა თუ თივალსაზრისის მეგაფორულ  
გამოსახეღასთან გეაქეს საქმე შემღეგ სტრიქონებში:

„ქაღავ, ქერი ხარ ჩართი,                    ვეაო, წმიღის მარცვალი,,  
საღ რა, რა ღეთესები?                    მამულსა დაემწყემსები“ (III, 101).

ხალხის ჯანსაღი ოპტიმიზმი, საბრძოლო სუღისკვეთიება  
განსაკუთრებულ დამაჯერებღობას იძენს, როღესაც მეგაფ-  
ორის საშუალებით გამოიხაგება:

„მახალე, ერთი გაემართო,  
ჩახმახით ცეცხლის კვესია,

სულ ერთად მოგამკვივნო,  
რაც ჩვენზედ დაგიტესია“

(III, 82).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ყველა ნიმუში აფორისტული მეტყველებისა მსმენელის სულსა და გულს იპყრობს არა მარტო ამრისა თუ იდეის სიღრმე-სიდიადით, არამედ კონკრეტული გამოხატულებით. რა გინდ მომხიბლავი და ამადლებული არ უნდა იყოს საკუთრივ იდეა, გადმოსაყემი შინაარსი, ის მხოლოდ შესაფერისი ფორმით გამოხატვის შემთხვევაში იძენს ემოციური ზემოქმედების სათანადო ძალას. ჩვენს შემთხვევაში ასეთი ფორმა მეტაფორებით იქმნება.

ამრიგად: საგმირო პოეზიის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა სისტემაში მეტაფორა, როგორც პოეტური შემეცნების ფორმა, გამორჩეულ ადგილს იკავებს.

საგმირო ლექსებში მეტაფორა ნაირგვარი ფორმით გამოიხატება. ასევე მრავალფეროვნებით ხასიათდება მისი შინაგანი სტრუქტურა, რომელიც ასოციაციათა რაგვარობითა და კავშირის ფორმით არის განსაზღვრული.

მეტაფორა მკვეთრად აირეკლავს ჟანრის თემატიკისა და იდეური მიზანდასახულობის სპეციფიკას, აგრეთვე მის ზოგად პოეტიკურ და ესთეტიკურ პრინციპებს (ჰიპერბოლიზაცია, ლინამიზმი, ჟანრული მრავალფეროვნება, სინამდვილის ლირიკული და ლირო-ეპიკური განსახოვნება).

საგმირო ლექსებში მეტაფორა გრადიციული სახეხატებით ხასიათდება, თუმცა საანალიზო გროპის ისეთი ნიმუშებიც გვხვდება, რომლებიც სიახლითა და მოულოდნელობით გამოირჩევა.

მეტაფორათა მხატვრულ-გამომსახველობითი დანიშნულება მრავალმხრივ იკვეთება: ემსახურება გმირის, მისი ქცევა-მოქმედების, აგრეთვე საგნებისა და მოვლენების, განსაზღვრული სიგუაციისა თუ მდგომარეობის, ბუნების სურათებისა და ა. შ. ხატოვან წარმოჩენას.



## გაპიროვნება

გაპიროვნება, ვითარცა პოეტური შემეცნების ფორმა, თავის გრძნობად-კონკრეტულ გამოვლენაში მეტაფორაა, მისი ნაირსახეობა. იგი ემყარება ობიექტთა შორის მსგავსება-ანალოგიის საფუძველზე თვისებათა გადაგანას. საკუთრივ თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ აქ განურჩევლად ყოველგვარი თვისების გადაგანა კი არ ხდება, როგორც ეს საერთოდ მეტაფორისათვის არის დამახასიათებელი, არამედ მკაცრად განსაზღვრულს, მხოლოდ ადამიანის, მისი ყოფისათვის ნიშანდობლივის. აღნიშნული გარემოება, აგრეთვე ისიც, რომ გაპიროვნება ხალხურ, კერძოდ, საგმირო პოეზიაში ფართო გამოყენებით ხასიათდება, გვაძლევს საფუძველს, რომ ის ცალკე გამოვეყოთ და საგანგებოდ შევისწავლოთ.

გაპიროვნების, როგორც მხატვრული გამოსახვის ხერხის, გენეტიკური ძირები საძიებელია წინაისგორიულ ხანაში, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების უძველეს საფეხურზე, როდესაც ადამიანი იგივეობის ნიშანს სუამს ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებას შორის, ხოლო თვითშემეცნებას მხოლოდ და მხოლოდ სამყაროს სხვა საგნებთან თუ მოვლენებთან საკუთარი თავის შეპირისპირებით ახდენს. ა. ვესელოესკი პოეტური სტილის ჩამოყალიბება-განვითარებას უშუალოდ უკავშირებს უძველეს ანიმისტურ რწმენა-წარმოდგენებს. მეცნიერის აზრით, ფსიქოლოგიური პარალელიზმი, რომლის უშუალო საფუძველზეც აღმოცენდა პოეტური სტილის მრავალი კომპონენტი, სწორედ ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების წიაღში ჩაისახა (47, 162-163, 106). ამდენად, აღნიშნული პოეტური ფიგურა გაპიროვნების უძველეს და ყველაზე რთულ სახედ უნდა ჩაითვალოს. ყოველივე ზემოთ ნათქვამი საფუძველს გვაძლევს დაეასკენათ, რომ გაპიროვნების ხერხი თავდაპირველად სწორედ ხალხურ

პოეზიაში ჩამოყალიბდა და აქედან გადავიდა მწიგნობრულ ლიტერატურაში.

ანიროპომორფისგული მსოფლგაგების დანაშრევი შემონახა როგორც საკუთრიქ ენამ, ისე ფოლკლორმა. ხალხური შემოქმედების სხედასხეა ქანრი მეგ-ნაკლები ღობით არის გაჯერებული აღნიშნული რწმენა-წარმოდგენებით: თუ მაგიურ პოეზიაში ჯერ კიდეე მკვეთრად ჩანს ანიმისტური შეხედულებების კვალი, სხეა ქანრებში (სატრფილო ლექსები, საგმირო პოეზია) ეს კვალი თითქმის წაშლილია, ამდენად საკითხზე მუშაობისას ღიდი სიფრთხილე გემართებს, რათა ერთმანეთში არ აევრიოთ გაპიროვნება, როგორც მხატვრული გამოსახვის ხერხი და ანთროპომორფიზმი, როგორც უბეელ-ესი რწმენა-წარმოდგენების კონკრეტული გამოვლენა.

საგმირო პოეზიაში გაპიროვნების ხერხზე მეგ-ნაკლები წარმოდგენა მაინც რომ შეგვექმნას, აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ძირითადი საკითხების გათვალისწინება: 1) დაეაზუსტოთ გაპიროვნების გადმოცემის ფორმები და შინაარსი; 2) გავარკვიოთ, თუ რამი მდგომარეობს საანალიზო გროპის მხატვრულ-ესთეტიკური გემოქმედების მექანიზმი; 3) წარმოვაჩინოთ, თუ რა კონკრეტული ფუნქცია, მხატვრული ამოცანა აკისრია აღნიშნულ ხერხს.

ქვემოთ ამ საკითხებს ისეთივე თანმიმდევრობით განვიხილავთ, როგორც ჩამოთვლილია.

1. გაპიროვნებათა ფორმები და შინაარსი. ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რომ გაპიროვნებაში ყოველთვის საცნაურია მეგაფორული საფუძველი, იუმცა მისი გადმოცემის ფორმა ნაირგვარი შეიძლება იყოს. ამათგან ქვემოთ მივეუთითებთ რამდენიმე ძირითადს:

საგმირო ლექსებში გაპიროვნება ყველაზე უფრო ხშირად გმნით ხდება. ასეთი გაპიროვნება სტრუქტურული სიმარტივით ხასიათდება (გროპის კომპონენტები არსებითად ერთ სიგყვამია მოქცეული):

„ორთქილი პირ მასრა აისხეს  
თოფებს უხარის მხარზედა“ (IV, 92).

გაპიროვნების დასახელებულ ფორმას ზოგჯერ პოეტურ შედარებაშიც ეხედავთ:

„თავით დაუღა ქურანი,  
დასტირის, როგორც ქალი“ (III, 120).

ფორმისეული გამოხატულების სიმარტივით ხასიათდება, აგრეთვე, ბელსართავი სახელით (ეპითეტით) მოცემული გაპიროვნება, რომელიც საგმირო პოეზიაში იშვიათია:

„სიათამ, ღედის ერთამა  
ტყვია გალალა ძალზედა“ (IV, 246).

ხშირად გაპიროვნება რამდენიმე სიტყვით (შესიტყვებით) არის გადმოცემული და შესაბამისად, შედარებით რთული სტრუქტურით გამოირჩევა:

„ჩამოდის წერილი მასკლავი,  
მთვარე შავს იელებს პირსაო“ (IV, 72).

გაპიროვნების კიდევ უფრო რთულ ფორმას წარმოადგენს ფსიქოლოგიური პარალელიზმი:

„ღრუბლო, მიდეგ და მოდეგ,                    ცოლს ნურას შეხუმრები,  
პირს ნუ დაჰმაღავ მზისასა,                    თავს უკეთუსი ყმისასა“ (III, 111).

საგმირო პოეზიაში ფართოდ გამოიყენება, აგრეთვე, გაპიროვნების ის სახე, რომელიც ბუნების სხვადასხვა საგნისა თუ მოვლენისადმი, როგორც ცოცხალი და შეგნებული არსებისადმი, მიმართვიან იქმნება:

„ნეტავი შენა, მთვარო,  
რა ბერს რასამა ჰხელო!“ (IV, 254).

გაპიროვნება-მიმართვა ხშირად მთელ ლექსს, ან ნაწარმოების ვრცელ მონაკვეთს მოიცავს. ამ დროს ის

მსოლოდ გროპის სახე კი არ არის, არამედ, იმავე დროს, სიუჟეტის გაშლის, ამბის გადმოცემის ეფექტური ხერხიც, რაზეც ქვემოთ საგანგებო მსჯელობა გვექნება.

იგივე თვალსაზრისით, საყურადღებოა გაპიროვნების ის შემთხვევა, რომელიც წარმოდგენილია ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ობიექტების ერთმანეთთან, ან მათი ადამიანთან დიალოგის ფორმით:

„ – ემალ ვასჰერ, თორე ვაჰყიდი, რა წუნი შევიძინეია?  
ვაჰარი ამიჩენია... მამიკლავს შენი მამკლავი,  
– რისაყე მყიდი „პატრონო, ჯაერი არ მამირჩენია!“ (III, 96).

წარმოდგენილი სქემატური მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი მრავალფეროვნებით უსასიათდება გაპიროვნების მოვლენის გადმოცემის ფორმა საგმირო პოეზიაში. ეს ვარემოება კი საანალიზო თანრში მოცემული ხერხის პოპულარობასა და ფართო გამოყენებაზე მეტყველებს.

არანაკლებ მრავალფეროვნებით ხასიათდება გაპიროვნებით გამოხატული შინაარსი, რომლის განხილვაზეც ახლა გადავალთ.

საზოგადოდ, ხალხურ პოეზიაში გაპიროვნების ხერხი სრულად რომ შევიმეცნოთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ თვით ამ პოემის შემქმნელის მიმართება ემპირიული სინამდვილის საგნებისა და მოვლენებისადმი.

გრ. კიკნაძე, ეხება რა გასულიერების მოვლენას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, აღნიშნავს: „ყოველი პოეტი, რამდენადაც ის პოეტი, მიმართავს „გასულიერებას“. ამისგან თაუის დაღწევა, ალბათ, არც ერთ პოეტს არ შეუძლია, მაგრამ ისინი ვაჟასაგან იმით განსხვავდებიან, რომ სხვა პოეტები ასეთ შემთხვევაში გვანიშნებენ, რომ ხერხთან გვაქვს საქმე. ეს ნიშნები გამოიხატება იმაში, რომ პოეტი არ სცილდება გარკვეულ საზღვარს, სიფრთხილეს იცავს ამ ხერხის გამოყენებაში და სწორედ ამით – სიფრთხილით – ამკლავებს, რომ მისთვის „გასულიერება“ ხერხია. ვაჟასთვის

ის არ არსებობს ამ მხრივ არაეითარი საზღვარი, არაეითარი სიფრთხილე და ეაეას უდიდესი ოსტაგობა ისაა, რომ მისთვის ეს შესაძლებელია და მისაწედომი“\* (18, 128-129).

ვრ. კიკნაძის ზემოთ ციტირებული სიგყეები თავისუფლად შეიძლება მიუესადაგოთ ხალხურ, კერძოდ, საგმირო პოეზიას. აქაც გაპიროვნება ვერ აღიქმება, როგორც მხოლოდ ხერხი, გამოსახვის სტილისტური ფორმა. იგი, იმავე დროს, ხალხის გარემოსთან მიმართების რთული კომპლექსის ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველია. მთქმელს ხელეწიფება ადამიანური შინაარსით აავსოს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ყოველგვარი საგანი თუ მოვლენა, მიაწეროს მას ნებისმიერი ნიშან-თვისება ისე, რომ არ უღალაგოს ზომიერების გრძნობას, მხატვრულ სიმართლეს. ამ გზით მთქმელი ახერხებს თავი დაიბღვიოს ხელოვნურობისაგან, თვითმიზნად არ აქციოს გაპიროვნება, მკაცრად დაუმორჩილოს ის კონკრეტულ მხატვრულ ამოცანას. ყოველივე ზემოთ თქმული კი კიდევ ერთხელ მოწმობს ეაეა-ფშაეელას სისხლისმიერ კაემირს მშობლიურ ფოლკლორთან, მის შემოქმედებით პრინციპებთან.

თავის მხრივ, ეანრის იდეურ-თემატიკური ტენდენციები, სიუჟეტური სიგუაეციები, მოგიეები გარკვეულ დაღს ასეამს გაპიროვნების მოვლენას, რაც უპირველეს ყოელისა, იმ მხრივ იჩენს თავს, თუ რას აპიროვნებს ხალხი, რომელ ნიშან-თვისებებს მიაწერს მას და რა მხატვრულ ფუნქციას აკისრებს თავად ხერხს. ამ თვალსაზრისით, საგმირო და საგრფილო ლექსები, შრომისა თუ საყოფაეხოვრებო პოეზია, ფოლკლორის სხვა ეანრები ერთმანეთისაგან განსხეაეებულ ვითარებას გეიჩვენებს. თითოეული ეანრი სინამღვილის განსაზღვრულ სფეროს ასახავს და უპირატესად, სწორედ ამ სინამღვილისათვის ნიშანდობლივ საგნებსა თუ მოვლენებს აქეეეს გაპიროვნების ობიექტად.

---

\* ვრ. კიკნაძის აღნიშნულ თვალსაზრისს მთლიანად იზიარებს ა. გვახარიაც (13, 283).

საგმირო პოეზიაში ხმალი, თოფი, ციხე, ცხენი, ყორანი, ჭიუსი, კლდე, მივარე, ვარსკვლავები, მღინარე და სხვა ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად არის პერსონიფიცირებული, გმირის, მისი ყოფის, სამოქმედო თუ სამოღვაწეო ასპარეზის მოუცილებელი აგრიბუგებია. ისინი, როგორც ცოცხალი და მგრძობიარე არსებანი, იზიარებენ გმირის სვე-ბედს, ჭირსა და ლხინს.

საკუთრივ პერსონიფიკაცია შეიძლება განსორციელდეს არა მარტო ნაირგვარი ფორმით, არამედ ასევე ნაირგვარ ნიშან-თვისებათა გადაგანითაც.

საგმირო პოეზიაში გაპიროვნება განსაკუთრებით ხშირად ხდება ობიექტის მეტყველების უნარით აღჭურვის გზით. ამ მხრივ რაიმე შეზღუდვა არ არსებობს, ამეტყველებულია ბალახი, ცხენი, ძაღლი, დათვი, ყორანი, ხმალი, თოფი, სიკედილი...

„ბალახნ იღებენ ენასა,

პირდაპირ მისცა ბანია“ (IV,182),

ამბობს მთქმელი და ჩვენც მოწმე ვხდებით ბალახის ახალი, ადამიანური შინაარსით აესებისა.\*

ყორანი – ეს მუდმივი აგრიბუგი სისხლიანი ბაგალიებისა – ასეა ამეტყველებული:

„საგურამოში ყორნები

ერთი ეძახის სხვასაო:

– ადე, წავიღეთ ყორნებო,

ჩაეყვეთ ფშავლების კეალსაო!

ჯერ დაგვაძღებენ სისხლითა,

მემრე გვახრევენ ძვალსაო!..

(IV, 256)

დათვი, რომელიც თავის სიზმარს გვიამბობს, დაჯილდოებულია არა მარტო მეტყველების უნარით, არამედ ადამიანურობის სხვა აგრიბუგებითაც:

---

\* აქ უნებურად გვახსენდება ვაჟას პოემა „გველის მჭამელიდან“ შემდეგი სტრიქონები:

ბალახნ იწყებს ბიბინსა  
და მერე სათითაოდა  
ყელა მოჰყება გიგინსა“..

„დავამა თქვა: ენახე სიზმარი,  
რაც რომ თავს ვაღამხდებოდა...

ხმალ დამკრა საქოჩრეშია,  
გონი და გონი მხდებოდა“...

(IV, 246-247)

ბუნებრივია, ამგვარად დანახულ ბუნებასთან, მის ობიექტებთან ადამიანს არ უჭირს უშუალო, პირდაპირი კონტაქტის დამყარება. ამის დასტურად გამოდგება ერთი ლეგალი გემოგანხილული ლექსიდან „ყარა-ნამაზი“. სალაშქროდ მიმავალი ყარა-ნამაზი: „გაიძმობილებს ყორნებსა, ერთ-ურთს უჭერენ მხარსაო“ (IV, 124).

ამ კუთხით აღნიშენას იმსახურებს, აგრეთვე, ჩვენს მიერ გემოთ გამოყოფილი მიმართვა-გაპიროვნებანი. საგმირო ლექსებში საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანის კონტაქტის დასახელებული გზა ხორციელდება მეუბლუდავად, სინამდვილის ნებისმიერი ობიექტისადმი მიმართვით. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით ამ ობიექტებს: ირემი, ცხენი, ყორანი, მგრელი, მთვარე, ღრუბელი, დილის ცისკარი, ბაფხული, ხმალი, თოფი, ციხე, წუთისოფელი, სიკედილი...

აღნიშნული კონტაქტის თავისებურ გამოვლენასთან გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ობიექტი, როგორც შეგნებული არსება, ადამიანისაგან გარკვეულ დაეალებას იღებს და ასრულებს.\*

„— გადამავალო, ყორანო,  
მაგ მოხევების მთაზედა,  
გადადი-გადაიარე  
ყამბეჭი დაჯექ ბანზედა.

ჩემი ძმავ კარზე გამოვა -  
მოლოდინი აქვს ჩემზედა.  
სუყველა ულაპარაკე,  
რაც რომ ვაღამხდა თავზედა“...

(III, 103).

გემოთ აღენიშნეთ, რომ გროპული მეტყველების ისეთი ფორმებისათვის, როგორიც არის შედარება და მეტაფორა,

\* რუსულ საყოფაცხოვრებო ლირიკაში მსგავს გარემოებაზე მიუთითებს ნ. კოლჰაკოვა (56, 145).

ნაკლებად არის დამახასიათებელი ობიექტთა გარეგნული სი-  
მან-თვისებების გადატანა. ამ პრინციპს არც გაპიროვნება  
ღალატობს, თუმცა გვაქვს გამონაკლისიც:

„იუდაისა ყელჳრელსა  
პირისას კვამლი სღისაო“ (IV, 95)

ან:

„ერთი ოსიყ თოჴსა ჴერაჴს,  
ღამზათი მართაჴს ტანშია“ (IV, 131).

აგრეთვე:

„სნოს ციხემ მამინ მასტირა,  
თოლები ღაისეჴლაო“ (IV, 254).

საგმირო პოეზიაში საკმაოდ ხშირია ისეთი გაპიროვნება-  
ნი, რომლებშიც კავშირი პირდაპირ და გადატანით მნიშვნე-  
ლობას შორის ხორციელდება არაადამიანთათვის ადამიანის-  
ათვის ნიშანდობლივი მოძრაობისა თუ მოქმედების მიწერით:  
მთეარე ხასიათდება ისეთი ადამიანური მოძრაობებით,  
როგორცაა „გზაზე ჩამოსვლა“:

„ნასოჴლარს ჩამაიყარნეს  
მთეარე ჩამოჴა გზაზეღა“ (IV, 97).

ან გლოვის ნიშნად „შაჴის ჩაცმა“:

„მთეარემა ხუთმეგისამა  
შაჴი შაიყჴა პირსაო“ (IV, 33).

ერთ საგმირო ლექსში ნისლის მთაზე „ღაწოლის“ მოწმეც  
ეხლებით:

„ომ იქმნა საჯარის ღელეს,  
ნისლები წეება მთაზეღა“ (IV, 98).

გზეს უნარი მესწეეს ადამიანის მსგავსად ქვეყანას „თე-  
ალი მოაჴლოს“:



„არ მწადის გახსენებაი,  
მგემ რო მააელის ოველია“ (IV, 255).

აღამიანური მოძრაობა-მოქმედებით ხასიათდება სხვა  
ობიექტებიც, კერძოდ, ცისე:

„ყიხეთ როშკის გორ ნადგომთა  
ჩაიცევს მიგრის ჭყავიო“ (IV, 64).

ისარი და შუბი:

„მოციქულობდენ ისარნი,  
შუბნი აძლეედენ ენასა“ (III, 79).

და ა. შ.

საგმირო ჰოეზიაში პერსონიფიკაცია ყველაზე უფრო ხშირად  
ობიექტისადმი აღამიანური მგრძნობელობის, ემოცი-  
განცდების მიწერით ხდება (ზემთ წარმოდგენილი გაპირო-  
ვნების ხერხის ზოგიერთი ნიმუში ამ კუთხითაც იჩენდა თავს).  
არც ამ მხრივ შეინიშნება რაიმე შეზღუდვა, ცოცხალი და  
არაცოცხალი ბუნების ნაირგვარი ობიექტი ასევე ნაირგვარი  
აღამიანური განცდა-შეგრძნების მაგარებლად გვევლინება.

გმირის (გმირების) სიკვდილით, სოფლის ან ქვეყნის აო-  
ხრებით, აგრეთვე სხვა უბედური შემთხვევით გამოწვეული  
ტრაგიკულობის შეგრძნება რომ გაამძაფროს, მთქმელი ხშირად  
ამა თუ იმ ობიექტს აღამიანის უბედურების მოზიარედ  
წარმოგიდგენს, მიაწერს მას სედა-მწუხარების განცდას.

ისეთი წმინდა აღამიანური თვისება, როგორცაა გირილი,  
გადაგანილია ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ნაირგვარ  
ობიექტზე:

ცხენი მწარედ დასტირის მტრის ხელით მოკლულ პატრონს:

„გვირდით დაუბი ლურჯაი,  
ტიროდა, როგორც ქალია“ (IV, 102).

მოახლოებული ბრძოლისა თუ სისხლის ღვრის მოლოდ-  
ინში:

„ჯუთას ატირდეს ტირიფნი,  
ჭიუხნი ბანს ეტყვიანო“ (IV, 185).

ერთ-ერთი ლექსის („აეხლად მოდის ზაფხული“) შესაებალ-  
შივე მთქმელი სევდით მოცულ ბუნებას გვიხატავს, რომლის  
ზოგიერთი ობიექტი თავის მწუხარებას გირილით გამოხატავს:

„ტირილით ამომქდარიყვა      ზედ ისხდეს მტრედნი ლამაზნი,  
სისკარი თენებისაო...      ცრემლით იბანდეს პირსაო“

(IV, 83).

„კაი ყმის“ სიკვდილს ერთნაირად განიცდის ყოველი  
არსი, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ყველა ობიექტი.  
ამიგომაც საგმირო ლექსში იშვიათი არა არის მგლოვიარე  
ბუნების შესანიშნავად დახატული პანორამა. ხოგაის მინდის  
სიკვდილის გამო სევედა-მწუხარებით აღესილა ცის მნათო-  
ბები, ცხოველები თუ ფრინველები:

„ხოგაის მინდი კედებოლა,      ქორ-შაეარდენი, არწივი  
მზე წითლდებოლა, ცხრებოლა...      სუ მხრებით ისომებოლა,  
ჩამოდიოდა მასკლაევი,      მალლის ჭიუხის ნადირი  
მთეარეუ უკულმა დებოლა,      სატირლად ემზადებოლა“

(IV, 33).

ამგვარად დახატულ-წარმოჩენილი ბუნების ფონზე გმირ-  
ის სიკვდილით გამოწვეული ტრაგიკომის განცდა განსაკუთრე-  
ბულ სიმძაფრეს იჩენს.

სევედა-მწუხარების შეგრძნება ნიშანდობლივია აგრეთვე  
სხვა ობიექტებისთვისაც. მაგალითად:

„მაწუხებულმა მერანმა  
ჩალეწა ნალურსმალიო“ (IV, 49).

ან კიდევ:

„შუქიაურის ხირიმი  
გულმწუხრად გამოდისაო“ (IV, 232).

და ა. შ.

ვაპიროვნება შეიძლება მოხდეს ობიექტისათვის სიბრალულისა და თანაგრძნობის განცლათა მიწერით:

„იხევის დეღამიწაი, ცაზე აყენებს მასკლავთა  
ყოღვით ჩამოდნეს ქვანია, არხოგიენების ბრალია“  
(IV, 112).

მთქმელი სინამდვილის სხვადასხვა ობიექტს წარმოგვიდგენს არა მარტო როგორც მოაზროვნე, სულიერ არსებას, რომელიც ადამიანის მსგავსად ფიქრობს:

„მითხოს გასუქდი შიშაგო,  
რა ფიქრი მოგკიდებია“ (IV, 42).

არამედ მიაწერს მას ადამიანის ხასიათისათვის ნიშანდობლივ ნიუანსს:

„წამოფრთხა ხარი ირემი,  
გუნება შქიმე, რქიანი“ (IV, 246).

პერსონიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს უსულო ობიექტისათვის შიმშილისა და გემოს შეგრძნებათა მიწერით:

„მთიელო, მთაში გამრდილო,  
ხმალს როდი მოგიშიქლება“ (III, 87).

ისევე ხმალზეა ნათქვამი:

„ბასრი ყოფილა ფოლადი,  
მით გემოთ სჭამდა თვალსაო“ (IV, 230).

საგმირო პოეზიაში სინამდვილის სხვადასხვა ობიექტზე, ზემოთ აღნიშნულის გარდა, გადაგანილია, აგრეთვე, შიშის, სიხარულის, სილალის, დაჯერებისა და სხვა ადამიანური თვისებები.

ზემოთ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ნაწილი იმ ნიშან-თვისებებისა, რომლებიც ვაპიროვნებაში მონაწილეობს. მათი

რიცხვი კიდე შეგვიძლია ვაეამრაელოთ, თუმცა, უფიქრობთ, სურათი ამის ვარეშეც ნათელია: საგმროო პოეზიაში პერსონიფიკაცია მრავალფეროვანი, ნაირგვარი ნიშან-თვისების გადატანით ხდება, ეს ნიშან-თვისებები ყოველთვის კონკრეტული მხატვრული ამოცანის შესაბამისად იჩენს თავს და ქანრის იდეურ-თემატიკურ თავისებურებებსაც კარგად გამოხატავს.

2. მხატვრულ-მსთმბიქჟრმი ბუნება. როგორც აღინიშნა, საგმროო, საერთოდ, ხალხურ პოეზიაში ხალხის მიმართება ვარემომცველი სინამდელილისადმი უშუალობითა და სისადავით გამოირჩევა. მოქმელი ახერხებს მჭიდრო, უშუალო კონტაქტი დაამყაროს ემპირიული ყოფის საგნებთან და მოვლენებთან, მოაქციოს ისინი თავისი სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ვარემოცვაში და, იმავე დროს, არ გაითქვიფოს მათში, უცქიროს ვარკვეული დისტანციიდან. აღნიშნული მიმართება განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს საკუთრივ ბუნების, მისი პეიზაჟური დეტალების მხატვრული წარმოსახვისას\*.

სამოგადოდ, საგმროო პოეზიაში ბუნების აღწერა-დახასიათება არ წარმოადგენს მოქმელის თვითმიზანს და თითქმის ყოველთვის დამორჩილებულია კონკრეტულ მხატვრულ ამოცანას, კერძოდ, ქმნის განსაზღვრულ ფონს ადამიანის, მისი მოქმედებისა თუ სულიერი ცხოვრების, ვარკვეული ვითარების ნათლად ჩვენებისათვის. ცხადია, ნათქვამი ისე არ უნდა ვავიგოთ, თითქოს საანალიზო ქანრის ნიმუშებში ბუნება, მისი საგნები თუ მოვლენები მოკლებულია თავისთავადობას, ობიექტურ ღირებულებას, მაგრამ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს თავისთავადი, დამოუკიდებელი ღირებულების მქონე ბუნება არ არის „ჩაკეტილი“, აბსოლუტურად იზოლირებული და თითქმის ყოველთვის ადამიანთან, მის ყოფასთან უმჭიდროეს კავშირში მოიაზრება. საილუსტრაციოდ განვიხილავთ ერთ კონკრეტულ მაგალითს:

---

\* საგმროო პოეზიაში ბუნების, პეიზაჟის გამოხატვის თავისებურებანი საგანგებოდ შეისწავლა ქს. სიხარულიძემ (27, 78-83).

„ჯმა გატყდა მშაე-ჯეესურეთა,  
ამბაეს აყოლებს ქარია,  
სიკუდილის მაგონებითა  
გულს გალიქევენ ქვანია,

ყისინად აგირდეს ჭიუნნი,  
სასადირონი მთანია,  
დაჯერებულან მასკლავნი  
ჩამონადენი წყალია“ (IV, 155).

ჩვენს წინ გადაშლილია მგლოვიარე ბუნების შესანიშნავად დახატული სურათი. აქ ბუნება, მისი ყოველი ობიექტი და მოუკიდებელი არსებობისა თუ ღირებულების მაგარებელია, გრძნობს და განიცდის, როგორც სულიერი არსება: ქარს მოაქვს ამბაეი გმირის სიკუდილისა, რომლის „მოგონებით“ „გულს გალიქევენ ქვანია,“ ჭიუსი და მთა აგირებულა, უბედურებისაგან გაოგნებული ვარსკვლავები მიწას დაშგერებიან, გლოვობს „ჩამონადენი წყალიც“, ერთი სიგყეით, გრაგელია უბოძოა. მაგრამ, მეორე მხრივ, ბუნების აღნიშნული თაეისთაეადობა გაშუალებულია ადამიანთან, მის ყოფასთან უმჭიდროესი კაეშირით. პერსონიფიცირებული ბუნების ობიექტები მთქმელის (საბოგადოდ, ადამიანის) გულსგკივილსა და მწუხარებას ებშიანებიან, მისი სეედის მოზიარედ გვევლინებიან.

ესადია, ბუნების, საერთოდ – სინამდვილის ასეთი დანახეა-განცდა ბეერად განსაზღერაეს გაპიროენების ხერხის ემოციურ შინაარსსა და ესთეგიკურ ღირებულებას. კიდეე ერთი გიპიურ მაგალითს მოვიხბობთ:

„მინდიამ ჩელმაიშვილმა  
შუქი ჩაკრიფა მშისაო.  
მზემა ვაივა, იწყინა,

მასკლავი ჩამადისაო,  
მთეარემა ხუთმეგისამა  
მაეი შაიცეა პირსაო“ (IV, 93).

აქაც, გმირის სიკუდილის გამო, ბუნების, კერძოდ ცის მნათობთა გლოვის მოწმე ვხდებით. მზე, მთეარე, ვარსკვლავები ადამიანური ემოციებით არის დამუხტული: ადამიანის მსგავსად გრძნობს და განიცდის. თუმეცა, დასახელებულ ობიექტებს ამალლებს და სხვათაგან გამოარჩეეს არა მარტო კონკრეტული ადამიანური „მეობით“ აღჭურეა, არამედ იმაეე

ადამიანთან, მის ყოფასთან მჭიდრო კონტაქტი, მოცემულ შემთხვევაში, გმირის მიმართ გამოჩენილი თანაგრძნობა. აქ განხილულ ნიმუშში და სხვაგანაც ის, რომ გაპიროვნებული ობიექტები არ არიან ნეიგრალურნი, განურჩევლნი ადამიანის ხვედრის მიმართ, ბევრად განსაზღვრავს საკუთრივ გაპიროვნების ხერხის ემოციურობასა და ეთიკურ-ესთეტიკურ ღირებულებას.

საზოგადოდ, გაპიროვნება, ისე როგორც გროპის სხვა სახეები, მოწოდებულია, ობიექტი ახალი და მოულოდნელი კუთხით წარმოაჩინოს, აღბეჭდოს ის ინდივიდუალობის ნიშნით. ამ ამოცანის შესრულება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ახალია და ორიგინალური საკუთრივ გაპიროვნების ნიშანი (ე. ი. ნიშანი, რომლის გადატანაც ხდება). თუმცა, სიახლისა და მოულოდნელობისაკენ სწრაფვამ არ უნდა სძლიოს გომიერების გრძნობას, რათა თავიდან იქნას აცილებული ხელოვნურობა. როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნულ მოთხოვნას საგმირო პოეზიის გაპიროვნება ძირითადად იცავს, აქაც მოქმედებს ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი სისადავისა და უბრალოების პრინციპი.

როდესაც მთქმელი ამბობს: „თოფებს უხარის მხარზედა“, ჩვენს წინაშე იხატება თოფი, რომელიც თითქოს ჰკარგავს თავის პირვანდელ, გრადიციულ ნიშნებს და სულ ახალი, მოულოდნელი კუთხით წარმოჩინდება. გაპიროვნების ნიშანი („უხარის“) მკვეთრ ინდივიდუალობას ანიჭებს თავად ობიექტს (თოფს), აღძრავს ნაირგვარ ასოციაციას. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, საკუთრივ გაპიროვნების ხერხის ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტურობას უზრუნველყოფს. ანდა, ავიღოთ ასეთი მაგალითი:

„ყვერფნი აივსნეს სისხლითა,  
ფრანგულემ გაიცინაო“ (IV, 175).

„ფრანგულემ გაიცინაო“ ასევე ორიგინალურად დანახული სახეა. სიცილის ნიჭი ხმაღს გამოკვეთილ ორიგინალურობას სძენს.

ზემოთ მოგანილ როგორც ერთ, ისე მეორე ნიმუშში გაპიროვნებისა, მთქმელის მხაგერული წარმოსახვის სითამამე გამოსკვივის, მაგრამ არ იგრძნობა სიყალბე და ნაპალადეობა. ორივე გაპიროვნება მყარად „ზის“ მხაგერულ კონტექსტში და ამ კონტექსტითვეა მოტივირებული და გამართლებული. ამითვეა შესაძლებელი გაპიროვნების ხერხის ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალის სრულად შეგრძნება და გაცნობიერება. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად დროულად და სათანადო ადგილას არის მომარჯვებული გაპიროვნების ხერხი.

იოსებ ჩეკურიშვილი მტრებმა გყვედ ჩაივდეს, ცხენის ძუაზე გამოაბეს და გზას გაუყენეს, იოსები მტრებს მიმართავს:

„ – თოფი დამკარით, ძაღლებო, ახლოს მირჩვენავ სიკედილი, სიციცხლე აღარ ღირსაო. ესე ყურებას მგრისაო“ (IV, 119).

შეუსრულეს იოსებს თხოვნა: „თოფ დახკრეს, ჩამოაგორეს, როგორც ნათოსი წყლისაო“. იოსების სიკედილის ამბავი ხადორში „გადმომავალმა“ ყორანმა „ჩაპყუენა“. ნაწარმოები კი შემდეგი სტრიქონებით მთავრდება:

„ისმოდა მწარე ქვითინი  
მდინარე ალაზნისაო“ (IV, 119).

აქ გაპიროვნება უშუალოდ მოქმედების განვითარების ლოგიკის კარნახით ჩნდება და წარმოსახული ვითარებისა თუ სიტუაციის სპეციფიკას შეესაბამება. ის ორგანულად ერწყმის ნაწარმოების საერთო მხაგერულ სტრუქტურას და განსაზღვრული ემოციური ველის შექმნაშიც აქტიურად მონაწილეობს (ამბაფურებს გმირის სიკედილით გამოწვეული ტრაგიკულობის განცდას). ყოველივე ეს კი შესამჩნევად მაღლა სწევს აღნიშნული გაპიროვნების ემოციურ-ესთეტიკურ ღირებულებას. ცხადია, „მდინარის მწარე ქვითინი“ ცალკე

აღებულის შთამბეჭდავი და მეტყველი გაპიროვნებული სახეა, მაგრამ, კვლავ ვიმეორებთ, ის გამოირჩეულ ელვარებას სწორედ მოცემულ მსაგვრულ კონტექსტში იძენს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საგმირო პოეზიაში გაპიროვნების ემოციურ შინაარსსა და საერთო-ესთეტიკურ სახეს რიგი სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ძირითადს მივუთითებთ:

გაპიროვნების ხერხი იმთავითვე გულისხმობს საგნებისა და მოვლენების ცალკეული პროცესების დინამიკაში, მოძრაობა-მოქმედებაში გამოხატვას.

უსულო, უგრძნობი ობიექტები სახეს იცვლის, სიცოცხლით, მგრძნობელობით, ადამიანური მოძრაობით ივსება. ამის შედეგად ერთი შეხედვით რიგითი, ჩვეულებრივი საგანი თუ მოვლენა ჩვენს თვალში მაღლდება, თავდაპირველზე უფრო მეტ ღირებულებასა თუ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, ქარაფი, რომელიც, ჩვეულებრივ, არაფრით გამოირჩევა, გაპიროვნების შედეგად უცბად ექცევა ჩვენი ყურადღების ცენტრში:

„თოფ გაღის ნეთხოს ძირშია  
ქარაფნ უცემენ თვალსაო“ (IV, 51).

როგორც მოგანილ, ისე სხვა მსგავს ნიმუშებში, გაპიროვნებული სახეები დინამიკურობითა და პლასტიკურობით ხასიათდება\*.

საზოგადოდ, პოეტური გაპიროვნება იშვიათად არის ემოციურად ნეიტრალური. მასში თითქმის ყოველთვის ნათლად გამოკრთის პიროვნება, მისი სუბიექტური შეფასება,

---

\* საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვრ. კიკნაძე ეაქვას ხატოვანების პლასტიკურობას უშუალოდ უკავშირებს „განსულიერების, პერსონიფიკაციისა და მეტამორფიზმის ტენდენციებს“ (18, 225).



ემოციური მიმართება საგნებისა და მოვლენებისადმი. შეშთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ გაპიროვნება განსაკუთრებით ხშირია ისეთ ქანრებში, სადაც ლირიკული ნაკადი მძლავრობს, ანდა სიუჟეტთან ლექსში, როდესაც საკუთრივ ამბის თხრობას ლირიკული წიაღსვლა თუ გადახვევა ცვლის.

„ღეერევიან ერთმანეთს,  
მზეო, გეჭიროს თვალიო!“ (III, 169)

ამბობს მთქმელი და ჩვენც თითქოს გვესმის მისი ემოციურად შეფერილი ხმა. ამ და მიმართვის ფორმით გადმოცემულ სხვა გაპიროვნებებში განსაკუთრებით საცნაურია ლირიზმი, სუბიექტურ-ემოციური საწყისი.

საგმირო, საერთოდ, ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი პიპერბოლიზაციის მოვლენა ზოგჯერ გაპიროვნებაშიც იჩენს თავს და ამ უკანასკნელს თავისი დამლით აღბეჭდავს. ჟანგმოკიდებული, უქმად მიტოვებული ხმლის შესახებ ამბობს მთქმელი:

„გულისტკივილი იმისი  
ზღვა იყო აღიდებული“-ო (IV, 258).

ხმლის „გულისტკივილის“ აღიდებულ ზღვასთან შედარება გაზვიადებაა, რომელიც საკუთრივ გაპიროვნების ხერხს მკვეთრ ემოციურ გონალობას ანიჭებს.

როგორც დასახელებულ, ისე სხვა ნიმუშებში გაპიროვნებისა, უმეტესწილად გაზვიადებულია გრძნობები, ემოციები: გმირის სიკედილით დამწუხრებული მგრედები „ცრემლით იბანდნენ პირსაო“; ძაღლები მგრის ხელით მოკლულ პატრონს ისე გლოვობენ, „თითქოს შვილი ჰყავთ მკედარია“, არხოგელების სიბრაღულით „იხევის დედამიწაი, ცოდვით ჩამოდნეს ქვანია“, ცაზე ვარსკვლავი ჩერდება, ხოლო „ამამედარი ცისკარი“ ქრება; მთქმელს ისეთი ამბავი გადახდენია თავს, რომ „გულს გაჰხეთქს სალი კლდისასა“ და ა. შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაპიროვნებული ბუნება, მისი საგნები და მოვლენები ხშირად ადამიანის ყოფას, მის სე-  
ვლასა და მწუსარებას ეხმიანება. ეს კავშირი ბუნებისა  
ადამიანთან უმეტესად პირდაპირ არის გაცხადებული, ხოლო  
იშვიათად – შეუარვით. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც გაპი-  
როვნება არ არის თავისთავში „ჩაკეტილი“ და სიმბოლურად  
მიმანიშნებელია. ასეთია, მაგალითად:

„ატირდეს წერილნი მასკელაენი  
ცაჲ დაყარა ნამიო,

მთვარეჲა ხუთმეტისამა  
შემამტვრიენა რქანიო“ (III, 171).

ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი გრადიციულ-  
ობის პრინციპი გაპიროვნებაშიც იჩენს თავს, თუმცა ისე  
მკვეთრად არა, როგორც გროპის სხვა სახეებში (ეპითეგი,  
შედარება, მეტაფორა). აქაც გრადიციული გაპიროვნებული  
სახეები შესაფერის კონტექსტში ინარჩუნებს მხატვრულ-ეს-  
თეტიკური ზემოქმედების ძალას.

3. მხატვრულ-გამოსახველობითი უზნქსიიზი. ცალკეული  
საკითხების განხილვისას გაკერით ვეხებოდით გაპიროვნების  
მხატვრულ-გამოსახველობით ფუნქციებს. ამჯერად ამ  
საკითხზე საგანგებოდ, უფრო დაწერილებით შევჩერდებით.

საბოგადოდ, როდესაც საგმირო პოეზიაში გაპიროვნების  
მხატვრულ ფუნქციაზე გეაქეს მსჯელობა, უნდა გავარჩიოთ:  
ა) გაპიროვნება, როგორც ნაწარმოების კომპოზიციის ელემ-  
ენტი, სიუჟეტის გაშლა-განვითარების ხერხი; ბ) გაპიროვნება,  
როგორც გროპული მეტყველების ფორმა, მხატვრული  
გამოსახვის ერთ-ერთი სამუალეა. აქვე შეენიშნავთ, რომ  
მსგავსი დაყოფა რამდენადმე პირობით, მხოლოდ სამუშაო  
ხასიათს აგარებს, რადგან ძალზე ხშირად მოცემული ხერხი  
ერთდროულად კისრულობს როგორც ერთ, ისე მეორე  
ფუნქციას.

გაპიროვნების კომპოზიციურ როლზე რომ ესაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ჩვენს მიერ გემოთ აღნიშნული მიმართვა – გაპიროვნება. ის ხშირად ნაწარმოების ვრცელ მონაკვეთს მოიცავს, არეგულირებს და ბევრწილად განსაზღვრავს მოქმედების განვითარებას. ზოგიერთი ნაწარმოები კი თავიდან ბოლომდე მიმართვა-გაპიროვნებას წარმოადგენს. მაგალითად, ერთ საგმირო-სამგლოვიარო ლექსში „მეგრელათ ფუნჩია“ (IV, 257) გმირის სიკვდილით გამოწვეული სეედა-მწუხარება, მთქმელის განწყობილება გადმოცემულია ნაირგვარი ობიექტისადმი მიმართვით. კერძოდ, ეს ობიექტებია: ღრუბელი („რად არ ამოხვალ, ღრუბელო, ამაეხვევი ცასაო“), ნისლი („ნისლო, ჭალაში ნუ ჩახვალ, ნურას წასთოელი გზასაო! ფეჭზე ნაცეამთა ჯუჩათა ნუ ჩაუყინავ ჯღანთაო!“), სიკვდილი („შაეო, ნუ მახკლავ, სიკვდილო, მეგრელათ ფუნჩიასაო“...), ყორანი („შაეო, რას დახვალ ყორანო, რაღას იმრუდებ მჭართაო?!.. ან „გადამაეალო ყორანო, გადამიყოლე მთასაო“...). როგორც ვხედავთ, მოცემული ნაწარმოების სიუჟეტი, კომპოზიციური თუ სტრუქტურული ორგანიზაცია არსებითად მიმართვა-გაპიროვნებას ემყარება.

იგივე თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს გაპიროვნების ის შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის ობიექტი ადამიანის ენაზეა ამტყველებული და გადმოცემაში სხვადასხვა აზრს, შეხედულებას, ზოგჯერ, – ამბავს. საილუსტრაციოდ მოვიგანთ შედარებით მცირე მოცულობის ერთ საგმირო-სამონადირეო ლექსს:

„დათემა თქვა ბუზანზარელმა:	მე გოგით, იმან - ისრითა
ჭალა გამოეხარ სხლიანი,	ღლე დაეღამეთ მზიანი,
მამპარებიყო ყმაწვილი,	მეორე დილა გათენდა,
ბატარა, მშვილდ-ისრიანი,	გალო გამოეხარ წენიანი“

(IV, 247).

დამოწმებულ ლექსში კომპოზიციურ ჩარჩოს გაპიროვნება კრავს. ამ მხრივ, გარდა დასახელებულისა, აღსანი-

იშნავია სხვა ნაწარმოებებიც: „ხმალმა თქვა“ (IV, 229), „სნოს ციხემ მაშინ მასტირა“ (IV, 254) და ა. შ.

როგორც ბემოთ აღენიშნეთ, საგმირო პოეზიაში, არცთუ ისე იშვიათად, მოწმე ვხდებით ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ერთმანეთთან, ან მათი ადამიანთან დიალოგისა. დიალოგებში გამოკრთის ნაირგვარი აზრი, შეხედულება, განწყობილება, მოგჯერ კი მათში საკუთრივ ამბაეიც არის „შეხლართული“. ამდენად, დიალოგი ჩვენ შეგვიძლია განვისილოთ, როგორც თხრობის ილუსტრაციის ფორმა, კომპოზიციის ელემენტი. მაგალითად, ცხენსა და ადამიანს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„ – საიდან მოხვალ, ოხერო, პატრონ სად წაიყვანია? – პატრონი გზაში დავტოვე.	წითლითა ღვინით მთურალია. აგებ იპოთ გულ-ღვიძლი, ტყვიანს განატანია“ (IV, 196).
--	--

მოგჯერ ესა თუ ის გაპიროვნებული ობიექტი განსაზღვრული მოქმედების შემსრულებლად გვევლინება და, შესაბამისად, გარკვეულ როლს თამაშობს ნაწარმოების სიუჟეტის ერთიან სისტემაში. ასეთია, მაგალითად, ცხენი ლექსში „ჯურხა ცხენს ეტყვის“ (IV, 49):

„ჯურხა ცხენს ეტყვის: გენაცუე, აწ მაახანენ გზანიო; ცხენმა მაიტყვა, აჩქარდა, პატრონის ნაუბარიო.	მაწუხებულმა მერანმა ჩაღეწა ნალურსმალიო, ჯუთისას მამაიარა, ნახ სოფელ ნაოხარიო“...
--	---

როგორც ვხედავთ, აქ ცხენი-პერსონაჟი საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ნაწარმოების სიუჟეტისა თუ სიუჟეტური სიგუაციის გამოკვეთაში.

სამოგადოდ, გაპიროვნების ხერხს მთქმელი მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა ამას საჭიროება, კონკრეტული მხატვრული ამოცანა მოითხოვს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაპიროვნებას უფრო ხშირად მაინც ლექსის დასაწყი-

სმი, უკეთ იმ პოზიციასი ვხედავთ, როცა ის წინ უსწრებს საკუთარივე ამბის გადმოცემას. ამ დროს ის, ჩვეულებრივ, სიგუაციის თაეისებურებას გახაზავს და მოქმედების მსელ-ელობასაც განსაზღვრული მიმართულებითი უბიძგებს, თანაც მსმენელს მოქმედების სწორედ ამგვარი მსელელობის აღსაქმელად განაწყობს. მაგალითად, ერთ საგმირო ლექსში მთქმელი სანამ უშუალოდ ამბის გადმოცემას დაიწყებს, წინ გადაგვიშლის გაპიროვნებული ბუნების სურათს, რომელიც უბედურების, მოსალოდნელი სისხლის ღვრის მაუწყებლად გვექვლინება:

„მთაშივით ამბავ მაეილა,  
ჯმა მისწყდა ღელამიწასა;  
დაბნელდა მზისა სხივები,  
ნაპირს ჩაეილა ზღვისასა;

მაღლა აგირდეს ფრინველი,  
ერემლ დაიწურეს ფრთისასა:  
„სიბრაღით ველარ ჩაეღივარ  
არხოგის ჭალაისასა“ (IV, 60).

ამრივად, საგმირო პოეზიაში გაპიროვნება აქტიურად მონაწილეობს ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციურ ორგანიზაციაში (ხშირად ლექსის კომპოზიციური ჩარჩო არსებითად გაპიროვნების საშუალებით არის შეკრული), სიუჟეტის განვითარების ძირითადი საფეხურების შემზადება-გამოკვეთაში წარმოადგენს თხრობის ილუსტრაციის ფორმას.

რაც შეეხება გაპიროვნების ხერხის მეორე, საკუთრივ გამომსახველობით (ხატოვან) ფუნქციას, აქ გასათვალისწინებელია ორი მომენტი: ჯერ ერთი, პერსონიფიკაცია საგანსა თუ მოვლენას ხატოვნად წარმოსახავს, სხეებისაგან გამოარჩევს და თავდაპირველზე მეტ ღირებულებას ანიჭებს (ადამიანური შინაარსით აღვსილი ობიექტი მსმენელთათვის უფრო ახლობელი და ნაცნობი ხდება, ექცევა მისი ყურადღების არეში); მეორეც, გაპიროვნება თუ გაპიროვნებული ობიექტები ემსახურება გმირის ხასიათის გამოკვეთას, სიგუაციის, მოვლენისა თუ ვითარების, ამა თუ იმ აზრის ნათლად წარმოჩენას. ამ უკანასკნელ გარემოებაზე ახლა საგ-

ანგებო მსჯელობა მოგვიწევს, თუმცა მისი ზოგიერთი ასპექტი ზემოთ უკვე აღენიშნეთ.

ლექსში „ნეგარ არ გამაყიდდესა“ მთქმელი თუშ გიორგი თილისძის შესახებ მოგვიხსრობს. გიორგის გმირული სახის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაპიროვნება. ენახოთ მაგალითი:

„ლეკეთის მთაზე ყორანი  
ერთ რასამ უძახს სხეასაო:  
„გორგი ეელობას წასულა,

გაეხყეთ ემაგის კვალსაო,  
გორგი დაგეაძლებს ლეშიოა,  
თუ შავხედით ნაომარსაო...“

(III, 199).

როდესაც აქ ყორანი დაჯერებული გონით აცხადებს, გიორგი მის მიერვე შემუსვრილი მგრის ლეშით დაგეაძლებსო, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ასეთი განცხადებისათვის სათანადო საფუძველიცა და გამოცდილებაც გააჩნია – გიორგის ადრეც გამოუჩენია თავი მსგავსი მოქმედებით. მაშასადამე, განხილულ სტრიქონებში ერთგვარად არაპირდაპირ, მინიშნებით იკვეთება გიორგის გმირული სილუეტი. ლექსში „ღანიში ბორძიკიძის ამბაეი“ (III, 164) მთქმელი მოგვითხრობს ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის – ღანიში ბორძიკიძის შესახებ. ბორძიკიძის სიკედილს გაუხარებია არა მარტო ლეკები, არამედ შუნ-ჯიხეებიც:

„მთაში შეიგყევს შუნ-ჯიხეებთ,  
გულდიდად სძოედეს ჩრდილსაო,

მოუკლავ ბორძიკიძეი,  
არცვის მოგეტაცებს გმასაო!“

აქ მოგანილი სტროფი, რომელიც არსებითად გაპიროვნებას წარმოადგენს, ბორძიკიძის გმირულ სახეს აძლიერებს იმ მხრივ, რომ მას სახელოვან, მამაც მონადირედ წარმოგიდგენს.

ასევე ფართოდ არის გამოყენებული გაპიროვნების სერხი ამა თუ იმ აზრის ხატოვანი გადმოცემისათვის. კერძოდ, მისი

საშუალებით გამოსატყუღია გმირის ხალხური ესთეტიკური იდეალი:

„ეიხევე, ნაპირის ალაგსა, ეაეკაემა ჳირის პაგრონმა  
ვინც ვაგოს, იმან ვამავროს, თაეი თაეადევე ამავროს“ (III, 107).

გაპიროვნების ხერხის მოხმობით მოქმელი ვადმოგვეყემს თაეის მორალურ-ეთიკურ შეხედულებასა თუ კონცეფციას. მოვეუსმინოთ ირმის „მონოლოგს“:

„ – რად სჩადი, კაცო, რადა მკლავე, შენ კი მავგვამენ ჳიანი,  
შენთივის რა მიქნავ ვიანი? შენ ჳოჯოხეთში ჩაეარდე,  
ჩემის დღის დამხნელებელსა ჩემთივის მვა სამოთხე არი“  
(IV, 246).

ცალკეული აფორიზმები, რომლებიც ვაპიროვნების ხერხს ემყარება, ამრის სიმბოლურ განზოგადებას შეეცაეს:

„ბეთღემის კარგე კეიღია, მავუღის ომის წადიღი,  
ვოეა ჳურხაის ფარია, ხანდახან მასძრავს ქარია“  
(III, 83).

შეგვიძღღია დავესახელოთ სხეა მავალითეებიც, სადაც ვაპიროვნება წარმოგვიდგება, როგორც ამრის იღუსტრაციის ხაგოვანი ფორმა:

„თოფი თუ არ დამიჯერებს  
იმედ დადგება ხმღისასა“ (IV, 165).

ან:

„ნუ აჩქარღები ვიშკაეო,  
მიწა არ ძღება მგერიანი“ (IV, 255).

გაპიროვნება მოქმედების ხაგონად ვადმოცემისათვის ვამოიყენება.

ასე, მავალითად:

„გიგულის კადურს დაბრუსდა,  
ამაამდერა ჯმალია“ (IV, 58).

ან:

„მთუარე ჩაბრძანდა მნათობი,  
ახლა მზე ამომხდარია“ (IV, 200).

გაპიროვნება ემსახურება ცალკეული სიტუაციის, ვითარების გამოკვეთას:

„ომი ატეხეს უწყალო,  
ატირებულა მთანიო“ (IV, 79).

ამბობს მთქმელი და ჩვენთვის ნათელი ხდება სიტუაციის მთელი სიმძაფრე. ამავე თვალსაზრისით, საინტერესოა ერთი ლექსის შესავალი, სადაც მდინარე არაგვის გაპიროვნებასთან გვაქვს საქმე:

„მაირს ვიამბობ, სწორებო, არაგვზე უმაეთისასა, მოდის, მოტირის ტიალი, გვერდს ალპობს სალის კლდისასა,	გლოვით აცხადებს არაგვი უბელობასა მთისასა, უმაელების დამარცხებასა, გამარჯვებასა მტრისასა“...
---	--

(IV, 188).

მოგანილ სტრიქონებში მდინარე არაგვის გაპიროვნება ვითარების დრამატულობას გახაზავს და გამოკვეთს.

გაპიროვნება ნაწარმოებში განსაზღვრული განწყობილების შექმნის საუკეთესო საშუალებაა. მაგალითად, როდესაც მთქმელი ამბობს:

„ეგ ჩენი ხმალი ფრანგული  
ქარქამში ლაღად ამოდის“-ო, (IV, 236),

ჩვენ მოწმე ვხდებით ამაღლებული, მკვეთრად ზეაწეული განწყობილებისა. მაგრამ საგმირო პოეზიაში განსაკუთრებით



ხშირი მაინც ის შემოხვევებია, როდესაც გაპიროვნებაში გამოსატულია სეველიანი განწყობილება, მწუსარება:

„ფერ ახლომია, სულხანაე, ციხეს, ლამ-კირით ნაგებსა,  
შენსა სახლსა და კარსაო, ქვაზე ნაღებსა ქვასაო“ (TV, 83).

ამრიგად: საგმირო პოეზიაში გაპიროვნებას მნიშვნელოვანი სტილისტური ფუნქციები თუ ვალდებულებები აკისრია; ის თავის კუთვნილ, საესებით კანონიერ ადგილს იკაუებს ჟანრის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა ერთიან სისტემაში.

გაპიროვნების, როგორც მხატვრული გამოსახვის ხერხის, გენეტიკური ძირები საძიებელია წინაისგორიულ ხანაში, უძველესი ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების წიაღში. ანთროპომორფისტული მსოფლგაგების დანამრევი ფოლკლორმა დღემდე შემონახა, ამიგომ მკვლევარს სიფრთხილუ მართებს, რათა ერთმანეთში არ აურიოს გაპიროვნება, ვითარცა ხერხი და ანთროპომორფიზმი, როგორც უძველესი რწმენა-წარმოდგენა.

გაპიროვნების გადმოცემის ფორმა ნაირგვარი შეიძლება იყოს: ბზნით, ზელსართაეი სახელით, შესიგყეებით, ფსიქოლოგიური პარალელიზმით, ბუნების სხეადასხვა საგნისა და მოვლენისადმი მიმართეით...

საგმირო ლექსში გაპიროვნების მოვლენას თავისი დამლით ალბეჰდაეს ჟანრის ილეურ-თემატიკური გენდენციები, სიუჟეტიური სიგუაციება, მოგიეები. ეს განსაკუთრებით გამოისატება იმაში, თუ რომელი ობიექტებია გაპიროვნებული და რა ნიშან-თვისებების გადაგანით ხდება საკუთრივ პერსონიფიკაცია.

ხმალი, თოფი, ციხე, ცხენი, ყორანი, ჭიუხი, კლდე, მთეარე, ვარსკელაეები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად არის გაპიროვნებული, გმირის, მისი ყოფის, სამოლეაწეო ასპარემბის მოუცილებელი აგრიბუტებია.

პერსონიფიკაცია ხდება ნაირგვარი ნიშან-თვისებების გადაგანით: საგნების მეგყეელების უნართ ალჭურეის გზით, ადამიანის ბუნების საგნებთან უშუალო კონტაქტის

ღამყარებით, არააღამიანთათვის ადამიანისათვის ნიშანდობლივი გარეგნული ნიშან-თვისებების, მოძრაობა-მოქმედების, მგრძობელობისა და სხვა თვისებების მიწერით.

საგმირო ლექსებში გაპიროვნების ემოციურ-ესთეტიკური ღირებულება ბევრად არის განსაზღვრული იმით, რომ პერსონიფიცირებული ბუნება, მისი საგნები და მოვლენები აქ თითქმის არასოდეს არის „ჩაკეტილი“ და ადამიანის სეებედს, მის გულისკვიფილსა და წუხილს ესმიანება.

გაპიროვნების მხატვრული ფუნქცია ორი ძირითადი კუთხით იკვეთება: ა) ის წარმოადგენს კომპოზიციის ელემენტს, სიუჟეტის გამლა-განვითარების ხერხს; ბ) გვევლინება, როგორც გროპული მეტყველების ფორმა, მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალზე ხშირად მოცემული ხერხი ერთდროულად ასრულებს როგორც ერთ, ისე მეორე ფუნქციას.

## ჰიპერბოლა

ჰიპერბოლა ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული და ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხია. ამ გარემოებას ერთხმად მიუთითებენ როგორც ფოლკლორისგები, ისე ლიტერატურათმცოდნეები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამამულო ფოლკლორისტიკაში ჰიპერბოლა, ვითარცა გამოსახვის სტილიური საშუალება, სათანადოდ შესწავლილი არ არის. თანაც, ამ თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი ვითარება აღინიშნება: თუ ხალხური პროზის, კერძოდ, ზღაპრის ჰიპერბოლის შესწავლის საქმეში გარკვეული ნაბიჯი მაინც გადაიდგა წინ (საკმარისია აღინიშნოს, რომ მას სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს თ. ქურდოვანიძემ (31, 222-232) და ფ. ზანდუკელმა (16, 391-410), ამას ვერ ვიგყვიით ხალხურ პოეზიაზე, მის ცალკეულ ჟანრებზე, სადაც ჰიპერბოლიზაციის მოვლენა დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი და ფაქტიურად ხელშეუხებელია (თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ შთაბეჭდილების დონეზე გამოთქმულ ცალკეულ შენიშვნებსა თუ შეხედულებებს).

როგორც ლიტერატურული, ისე ხალხური წყობილსიკვანობის ნიმუშებში, ჰიპერბოლის მხატვრული ფუნქცია, მისი ემოციურ-ესთეტიკური განსაზღვრულობა სხვადასხვა ასპექტით იჩენს თავს: ის შეიძლება იყოს აღწერა-დახასიათების საშუალება, სუბიექტურ განცდათა გამოხატვის ფორმა (ემოციონალურ-ლირიკული), გროტესკული თუ კომიკური ხასიათის (როდესაც გაზვიადების შედეგად სინამდვილის დეფორმაცია კარიკატურულ სახეს იღებს); ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ჰიპერბოლიზაცია გვევლინება, როგორც კომპოზიციური ელემენტი, სიუჟეტის განვითარების საშუალება და ა.შ. ამიგომ არის, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ჰიპერბოლიზაციის მოვლენა დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ამასთან, ხალხურ

პოეტურ შემოქმედებაში ჰიპერბოლა ბევრ ისეთ სპეციფიკურ ნიუანსს აელენს, რომელიც საერთოდ უცხოა ლიტერატურული ჰიპერბოლისაივის. საკმარისია ითქვას, რომ თვით ცნება „ჰიპერბოლის“ ლიტერატურათმცოდნეობითი კვალიფიკაციაც კი ვერ გამოხატავს ხალხური ჰიპერბოლის მთელ არსს. ანტიკურობიდან მოყოლებული, ჰიპერბოლას განსაზღვრავენ როგორც ფიგურას, ან გროპს (მის ერთ-ერთ სახეს) (41, 187, 226; 54, 73-75; 49, 164; 71, 178). მაშინ როცა ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში ჰიპერბოლის ისეთი ნიმუშებიც გვხვდება, რომლებსაც ვერაფრით ვერ მოვაქცევთ აღნიშნული განსაზღვრის ჩარჩოებში. სწორედ ეს გარემოება ათქმევინებს ფსელივანოვს: „ლიტერატურათმცოდნეობითი გაგება ვიწრო ჩანს რუსული საგმირო ეპოსის ჰიპერბოლის მიმართ“ (69,5). საგულისხმოა, რომ მკვლევარი თავის შეხედულებას იქვე სათანადო მაგალითებითაც ცხადყოფს.

ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრში ჰიპერბოლიზაცია, ისე როგორც მხატვრული გამოსახვის სხვა ხერხები, მკაფიო დიფერენციაციით ხასიათდება. ამა თუ იმ ჟანრში, ვითარცა ერთიან მხატვრულ სისტემაში, თემატიკის, იდეური მიზანდასახულობის, სტრუქტურის, სოციალური როლისა თუ სხვა ნიშნების თავისებურება, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს მისი ჰიპერბოლის ხასიათს. ამიგომაც არის, რომ სპეციალისტ-მკვლევარები უპირატესობას ანიჭებენ ჰიპერბოლის ჟანრული კუთვნილების პრინციპით. კვლევას.

როგორც ცნობილია, ჰიპერბოლიზაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია საგმირო ხასიათის ნაწარმოებებისათვის (75,18). მართლაც, ჰიპერბოლიზაციის ხერხის გამოყენების სიხშირისა და ინტენსიობის მიხედვით, საგმირო ლექსი ერთ-ერთ გამოჩენულ ადგილს იკავებს ხალხურ პოეზიაში. მაგრამ საგმირო ლექსში ჰიპერბოლის ჟანრული სპეციფიკის გამომხატველია არა იმდენად მისი ფართო გამოყენება, არამედ ის მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები, რომელსაც ასრულებს. კერძოდ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს,

რომ ხსენებული ეანროს ნიმუშებში ჰიპერბოლიზაცია საგმი-  
რო იდეალიზაციის უმთავრესი საშუალებაა და ფართოდ  
ამკვიდრებს გმირობა-მამაცობის კულგს. თუკი ამ თვალსა-  
ზრისით, საგმირო ლექსებს შევადარებთ სხვა ეანრებს,  
კერძოდ, საგრფილო თემატიკის პოეზიას, მათ შორის თე-  
ალშისაყემ განსხვავებას აღმოვაჩინთ. ამ უკანასკნელში ჰი-  
პერბოლური იდეალიზაცია სიყვარულისა გარეგნული კლე-  
მამოსილების წარმოჩენის კუთხით ხდება. ეს განსხვავება კი  
კონკრეტულ, მკაფიო გამოხატულებას პოულობს პერსონაჟის,  
მისი ქცევა-მოქმედების, საგნების, მოვლენების,  
ვითარებების ხატვაში.

ყალკულ მხატვრულ-გამომსახყელობით ხერხებს რომ  
განვიხილავდით, მიუუთითებდით ჰიპერბოლიზაციის როლზე  
მათი მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების საერთო სახის ფო-  
რმირებაში. ამჯერად უფრო დაწერილებით შევიჩერდებით ის-  
ეთ საკითხებზე, როგორცაა: ჰიპერბოლიზაციის გადმოყემის  
ფორმები და განხორციელების გზები, გაზვიადებული ობიექ-  
ტები და მათი ნიშნები, მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულე-  
ბა და ფუნქციები.

1. ჰიპერბოლიზაციის ფორმები და განხორციელების  
გზები. ფსელევანოვი ბილინებში გამოყოფს ჰიპერბოლის ორ  
ტიპს: პირველი ტიპის ჰიპერბოლაში „არ არის სრული  
შესატყვისობა მის მიერეე ასახულ საგნებთან, მოვლენებთან,  
მოქმედებებთან, ვითარებებთან - პირდაპირ აღიქმება მხო-  
ლოდ პერსონაჟთა ემოციების გამძაფრება, რომელიც ჰიპერ-  
ბოლიზაციას იწვევს. ამისაგან განსხვავებით, მეორე ტიპის  
ჰიპერბოლური ასახვა ესთეტიკური რეალობაა. მის სიმართლ-  
ეში გვარწმუნებს მხატვრულ-ეპიკური აზროვნების ლოგიკა“.

მკვლევარი პირველი ტიპის ჰიპერბოლებს „პირობითს“  
უწოდებს, ხოლო მეორეს - „მხატვრულ-რეალურს“ (70,82).

„პირობითი“ ჰიპერბოლები გამოხატულებას პოულობს  
სხვადასხვა სტილისტიკური ხერხისა თუ ფიგურის სახით (ეპ-

იოეგი, შედარება, მეგაფორა, მეტონომია, პარალელიზმი). ისინი განსაკუთრებით დამახასიათებელია ლირიკული ჟანრებისათვის. რაც შეეხება მხატვრულ-რეალურ ჰიპერბოლას, ის არ წარმოადგენს არც შედარებას, არც მეგაფორას, არც სხვა რომელიმე ენობრივ ფიგურას, მასში ყველა სიგყვა თაეისი პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი. ამ გიპის ჰიპერბოლიზაცია გავრცელებულია ეპიკურ ჟანრებში.

ჰიპერბოლათა მსგავსი დაყოფა საეხებით შესაძლებელია საგმირო ლირო-ეპიკურ პოეზიაშიც, თუმცა აქ ე.წ. „მხატვრულ-რეალურ“ ჰიპერბოლაზე ლაპარაკი გარკვეულწილად პირობითობის დონეზეა შესაძლებელი, რადგან ის მოცემული ჟანრის ნიმუშებში იმ მასშტაბითა და გამოხატულებით არ გვეძლევა, როგორც რუსულ ბილინებში, საერთოდ, ეპოსში. სამაგიეროდ, საგმირო ლექსებში ფართოდ არის გავრცელებული „პირობითი“ ჰიპერბოლები; აქ ეპითეგები, შედარებები, მეგაფორები, გაპიროვნებები გაზვიადებულ სახეებს გვიხატავს. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა მეტონომიაზე, პარალელიზმზე, მიმართვაზე და ა.შ. ბილინების მსგავსად, საგმირო ლექსებშიც პირველი გიპის ჰიპერბოლები „მეორადია, ნაწარმოებია, დამოკიდებულია პირველი გიპის ჰიპერბოლებზე“.

ამრიგად, გამოიკვეთა ის ორი ძირითადი ფორმა, რომლითაც საგმირო ლექსში ჰიპერბოლა გადმოიყემა: პირველი, როდესაც გაზვიადება გამოხატულია სხვადასხვა სტილისტიკური ხერხისა თუ ფიგურის საშუალებით და, მეორე, როდესაც გაზვიადება ხდება პირდაპირ, უშუალოდ და არ წარმოადგენს ტროპს ან ფიგურას.

არა მარტო გადმოიყემის ფორმა, არამედ თვით გაზვიადების განხორციელების კონკრეტული გზა, მისი მექანიზმიც სხვადასხვა შეიძლება იყოს. სათქმელი რომ ცხადეყოთ, შედარების წესით განვიხილოთ ორი მაგალითი - ერთი მხრივ:

„მალიკაშვილი თვალია

არყებს ეელება წვერსაო“ (IV, 186),

სოლო, მეორე მხრივ:

„თათრებმა ნახირ დამგაყეს,  
მოვლივარ, როგორც მებია“ (III, 128).

ორივე წარმოდგენილ მაგალითში გაზვიადებულია მოქმედება. მაგრამ თვით ამ მოქმედების გაზვიადების მექანიზმი ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდება. პირველ შემთხვევაში მოქმედების ჰიპერბოლიზაცია უშუალოა, პირდაპირი. შესაბამისად, მისი მექანიზმი, გამოსახვის თვალსაზრისით, შედარებით მარტივია. მეორე მაგალითში კი გაზვიადება არაპირდაპირი გზით ხდება, შედარება-შეპირისპირებას ემყარება. აქ შედარების ნიშანი („მოვლივარ“) მხოლოდ იმის წყალობით იძენს ჰიპერბოლურ ხასიათს, რომ ის კონკრეტული ობიექტიდან მომდინარეობს და ასევე კონკრეტული მიმართულება გააჩნია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, აღნიშნული ნიშანი-მოქმედება შესადარებელი ობიექტის მიმართ გაზვიადებული ჩანს მხოლოდ შედარებულ ობიექტთან მიმართებაში. ამიტომ არის, რომ ჰიპერბოლური გამოსახვის „ეპიცენტრი“ არსებითად მოქცეულია იმ ობიექტში, რომლისგანაც თვისების გადატანა ხდება (ჩვენს შემთხვევაში ასეთია „მეხი“).

ამრიგად, საგმირო პოეზიაში გაზვიადება ორი გზით ხდება: 1) პირდაპირი (როგორც პირველ მაგალითში); 2) არაპირდაპირი (როგორც მეორე მაგალითში). ასეთი დაყოფა იმითაც არის მოტივირებული, რომ თითოეულ შემთხვევაში ჰიპერბოლიზაცია ემოციურ-ესთეტიკური ბუნება სპეციფიკურად ვლინდება. კელაე მიუხედავად გემოთ განხილულ მაგალითებს. ჰიპერბოლის პირველი ნიმუში, მართალია, კონკრეტულ-სახეობრივია, მაგრამ ის ვერ ჰფლობს წარმოდგენათა თუ თავისუფალ ნიშანთა იმ სიმდიდრეს, რომელიც დამახასიათებელია მეორე მაგალითისათვის. ამ უკანასკნელში „მეხი“, როგორც ჰიპერბოლური გამოსახვის ძირითადი

კომპონენტი, წარმოდგენათა თუ ასოციაციასა მიუღ  
კომპლექსს აღძრავს: გამოხატავს აღამიანის მოძრაობისა თუ  
მოქმედების არაბუნებრივ სისწრაფესა და უსაზღვრო განრ-  
ისხებას, არ არის მოკლებული ვიზუალურ ასოციაციებს და  
ა.შ. თანაც, თუ პირველი ჰიპერბოლა ემოციურად შედარებით  
ნეიგრალურია და უფრო აღიქმება როგორც „ეპიკური  
აზროვნების ლოგიკით“ სანქციაშიცემული „ესთეტიკური რე-  
ალობა“, მეორეში წამყვანია სუბიექტური საწყისი და სახეც  
ემოციური თვალსაზრისით უფრო დაძაბულია.

ჰიპერბოლური გამოსახვის პირველი გზა დამახასიათე-  
ბელია „მხატვრულ-რეალური“ ჰიპერბოლისათვის, აგრეთვე,  
ზოგიერთი ეპითეტის, გაპიროვნებისა და მიმართვისათვის.  
ხოლო მეორე გზა - მეტაფორის, მეტაფორული ეპითეტის,  
შედარების, სხვადასხვა სახის მეტონომიისა და პარალ-  
ელიზმისათვის.

ამრიგად, საგმირო ლექსში ჰიპერბოლის გადმოცემის  
ფორმა, თვით გაზვიადების განხორციელების გზა სხვადას-  
ხვაგვარი შეიძლება იყოს. ამის მიხედვით სხვადასხვაობს გა-  
ზვიადების ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების მექანიზმიც.

2. მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება და ფუნქციები. საგმი-  
რო ლექსებში ჰიპერბოლათა მხატვრულ-ესთეტიკური არსის  
თავისებურებაში თავისი წვლილი აქვს ზოგიერთ სხვა ფაქ-  
ტორსაც. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი  
ობიექტი, მისი რომელი თვისება განიცდის გაზვიადებას, რა  
მიზანს ისახავს მოცემული გაზვიადება და ა.შ. ამ საკითხების  
შესახებ, ცოცხა ქვემოთ, უფრო დაწვრილებით მოგვიხდება  
მსჯელობა, ახლა კი ყურადღებას გავამახვილებთ საგმირო  
ჰიპერბოლის ემოციურ-ესთეტიკური განპირობებულობის ზო-  
გიერთი სხვა ასპექტზე.

ეფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობაში გამო-  
იკვეთა ის აზრი, რომ საგმირო ლექსებში ჰიპერბოლა, ერთ-  
ის მხრივ, სუბიექტურ განსცდათა გამოხატვის ფორმაა (მასში



მთავარი აქცენტი გადატანილია ობიექტისადმი მთქმელის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვაზე), ხოლო, მეორე მხრივ: - აღწერა-დახასიათების ნაკლებად ემოციური საშუალება. ეს ტენდენცია მკაფიოდ გამოჩნდა ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მაგალითებში, ამიგომ აქ სიგყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ ვიგყვით, რომ სუბიექტურ-შემფასებლობითი („ლირიკული“) ჰიპერბოლები სჭარბობს ისეთ ენარებში (აფორიზმში, ელეგია, ქებისა და სახოტბო ლექსი), სადაც ლირიკული ნაკადი განსაკუთრებით საგრძნობია, აგრეთვე, მთქმელის ან პერსონაჟის პირდაპირ მეგყველებაში, ანდა, როდესაც ამბის თხრობას ლირიკული წიაღსელა თუ გადახევეა ევლის. რაც შეეხება მეორე, ემოციურად შედარებით ნეიტრალურ ჰიპერბოლას, ის გავრცელებულია ისეთ ლექსებში, რომლითაც მკაფიოდ გამოკვეთილი სიუჟეტურობა ასახიათებს და, შესაბამისად, მათთვის უცხო არ არის ეპიკური ობიექტივიზაციის ტენდენცია.

საზოგადოდ, ჰიპერბოლა ობიექტს ახალი და მოულოდნელი კუთხით წარმოგვიჩენს, ანიჭებს კონკრეტულობასა და ორიგინალურობას, გამოარჩევს სხვა ობიექტებისაგან. მაგალითად, როდესაც მთქმელი ამბობს:

„ჭალაზე ქავი გაღმართეს,  
ქორიც ვერ გაფრინდებისა“,

ჩვენს თვალწინ წარმოსდგება არა ჩვეულებრივი ქავი, არამედ უჩვეულო, არაბუნებრივი სიმაღლით გამორჩეული. სიმაღლის გაზვიადება ქავს ორიგინალურობის ნიშნით აღბეჭდავს და ამ გზით ამძაფრებს კიდევ მის აღქმას.

ორიგინალურობის ეფექტი მით უფრო საგრძნობია, რაც უფრო ახალი და მოულოდნელია თვით გაზვიადება. საგმირო ლექსებში მრავლად ვხვდებით ორიგინალურ ჰიპერბოლებს, თუპცა, მათ გვერდით ისეთი გაზვიადებებიც გამოიყენება, რომლებიც რაიმე სიახლით არ გამოირჩევა. საგმირო, საერ-

თიოდ სალსური, პოეზიისათვის ნიშანდობლივი გრადიციულობის პრინციპი გაჩევიადების მოვლენაშიც პოულობს გამო-საგულელებას და მას თავისი დამლით აღბეჭდაეს.

ბემოთ ენახეთ, რომ პიპერბოლური სასე-ხატები, რომლებიც შედარებებსა და მეგაფორებში გამოიყენებოდა, გრადიციულია, ამ მსრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია გმირის, მისი მოქმედების წარმომჩენი ხატები. საგმირო ლექსებში ასევე გრადიციულობით ხასიათდება როგიერთი პიპერბოლური ფორმულა. მაგალითად, მოწინააღმდეგის სიმრაელის გაჩევიადებული გადმოცემა გრადიციისამებრ ასე ხდება:

„შეყრილა ქისტის ჯარები,  
ნამ არ გადასწედებ ევრისაო“ (IV,50).

უბომო მწუხარებას აგრეთვე გრადიციული პიპერბოლური ფორმულა გამოსატავს:

„პირ-უკულმ დადგა ჯარები;  
ერემლით იბანენ პირსაო“ (IV,120).

და ა.შ.

აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ საგმირო ლექსებში გრადიციული პოეტური სახეები (მათ შორის, პიპერბოლური სახეებიც) არ არის მოკლებული მხატვრულ-ესთეტიკური შემოქმედების უნარს.

მრავალი პიპერბოლა (განსაკუთრებით გრადიციული) სიმბოლურად მიმანიშნებელია. მაგალითად, მგრის თაედასხმის გამო დამგყდარ უბედურებას გამოსატავს შემდეგი პიპერბოლა-სიმბოლო:

„დიკლოს მუ უბან ჩამოსტყდა  
პირი ლურჯისა ცისაო!

დაი ასტირდებ ნანაი,  
მუქ ჩამობნელდებ მგისაო“  
(111, 211).

გმირის სიკვდილით გამოწვეული უზომო უბედურებაზე სიმბოლურად მიგვანიშნებს აგრეთვე შემდეგი ჰიპერბოლა:

„თოუ დასკრეს გორგის ზურაბსა,  
ნაპირი მოსკყლა ცისაო“ (III, 239).

საზოგადოდ, გაზვიადების შედეგად ობიექტის, მისი ნიშან-თვისების აღქმა მკვეთრად გამძაფრებულია, ყურადღება გამახვილებულია ასახულის არსებით ნიშანზე - წინ არის წამოწეული და რელიეფურად გამოკვეთილი. ამ გზით გამო-სახეა ექსპრესიულ ხასიათს იძენს, წარმოაჩენს დინამიკურ, პლასტიკურ სახეებს. პოეტური ხაგების დინამიკურობა და პლასტიკურობა კი საგმირო ლექსისათვის, საზოგადოდ არის დამახასიათებელი, რამაც უკვე დაერწმუნდით.

გემოთ გაზვიადებულა ის აზრი, რომ ჰიპერბოლიზაცია მოწოდებულია ახალი და მოულოდნელი კუთხით წარმოაჩინოს ობიექტი, მიანიჭოს მას ორიგინალურობა, ექსპრესიულობა, პლასტიკურობა, გაამძაფროს ობიექტის, მისი ნიშან-თვისების აღქმა, გამოჰყოს და საგნობრივი კონკრეტულობა შესძინოს ამ ნიშან-თვისებას.... აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ ყველა ჰიპერბოლას ერთ სიბრტყეზე ვერ მოვათავსებთ, რადგან ერთნი უფრო მეტი წარმატებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მისიას, ხოლო მეორენი - შედარებით ნაკლები წარმატებით. განვიხილოთ ორი მაგალითი - ერთი მხრივ:

„სანადიროში ჩაუულენ  
ლომსა მას ფილაურსაო“,

ხოლო, მეორე მხრივ:

„... სიკვდილის ღღემდე მაგარო,  
სპილოვო გაუტეხარო“ (IV, 256)

როგორც ვხედავთ, ჰიპერბოლის ორივე ნიმუშში საქმე გვაქვს გმირის სახის გაზვიადებულ წარმოსახვასთან. თანაც,

ორივეგან ჰიპერბოლიზაცია შედარება-შეპირისპირებას ემყარება (გაზვიადებული გამოსახვის მიუღი სიმძიმე საკუთრივ ხატებზე გადადის), ხოლო ობიექტი (გმირი) ეაქცია-რაინდობის ნიშნით არის დასასიათებული. ასეთი მსგავსების მიუხედავად, აღნიშნულ ჰიპერბოლია მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედება თანაბრად ეფექტური არ არის. ამის მიზეზი კი ივით მოცემული ხატების სემანტიკა, მათი კონკრეტული შინაარსია (უფრო რომ დაეაკონკრეტოთ სათქმელი, „ლომი“ და „სპილო“ გმირთან მიმართებაში არ არის თანაბარი ესთეტიკური ღირებულების მქონე ხატები).

პირველ მაგალითში „ლომი“ გმირის ჰიპერბოლური სახე, შესანიშნავად მიესადაგება გამოსახვაზე ობიექტს, მის შინაარსს. ის, ესთეტიკური თვალსაზრისით, ერთობ ეფექტური, მიმზიდველი ხატია, რომელიც მკვეთრად, შთაბეჭდვად გამოხატავს ძირითად ნიშანს. ამასთან, აღძრავს მრავალფეროვან წარმოდგენებსა თუ ასოციაციებს, რომლებიც ასევე ორგანულად, ბუნებრივად არის დაკავშირებული ასახავი ობიექტის ძირითად მნიშვნელობასთან, მის შინაგან არსთან: ამ გზით იქმნება განცდისა და წარმოსახული სურათის შინაგანი მთლიანობა, შესაბამისობა. ყოველივე ეს კი მოცემული ჰიპერბოლის მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების ცხოველმყოფლობას განაპირობებს: ამას ვერ ვიგყვიტ ჰიპერბოლის მეორე ნიშნის შესახებ, რომელიც, ესთეტიკური თვალსაზრისით, უფრო მკრთალია, რადგან თვით ხატი („სპილო“) მდარეა, ნაკლებად აღძრავს შესაბამის წარმოდგენებს, უფრო მეტიც, სელოფურობის შთაბეჭდილებასაც გოვებს (საგულისხმოა, რომ აღნიშნული ხატი საგმირო ლექსში თითქმის არ გამოიყენება მაშინ, როდესაც, „ლომი“ აქ ფართოდ არის გავრცელებული).

ამრიგად, გაზვიადებათა ერთი ნაწილის (უპირატესად, შედარებითა და მეტაფორით გამოხატულის) მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულად არის შერჩეული თავად ჰიპერბოლური

ხატი, რამდენად ეფექტურია ის ესთეტიკური თეალსაზრისით. უნდა ითქვას, რომ საგმირო ლექსებში მთქმელი ძირითადად ოპერირებს სწორედ ესთეტიკურად ცხოველმყოფელი სახესაგებით.

როგორც ბემოთ აღვნიშნეთ, საგმირო ლექსში ჰიპერბოლიზაცია არ წარმოადგენს რაიმე თვითმიზანს და ის თითქმის ყოველთვის დამორჩილებულია კონკრეტულ მხატვრულ ამოცანას. მთქმელი აღნიშნული ხერხის გამოყენებაში მომიერებას იცაეს, რეალური სინამდვილის დეფორმაცია აქ არ არის ხელოვნური, ნაძალადევი. ამის შედეგად, ერთი შეხედვით ალოგიკური, ფანტასტიკური ჰიპერბოლაში არ გოვებს დაუჯერებლობის განცდას, ეჭვს უჩვეულოს შესაძლებლობისა. მაგალითად, როდესაც მთქმელი ამბობს:

„საპირისწამლე უხრჩოლეს,  
მეცას აღიოდა ალი“ (III, 118).

ან:

„ტყვეროდა ბერდენკაები  
ბოლო მურევედა მთასაო“ (IV, 234).

ჩვენს წინაშე უჩვეულო, ფანტასტიკური სურათი იხატება: „საპირისწამლე ხრჩოლავს“ და ალი მეცას აღწევს, თოფი („ბერდენკაები“) „ტყვერება“ და ბოლი მთას „მურავს“. ამის მიუხედავად, გაზვიადება არ გოვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას, რადგან კარგად ასრულებს თავის უმთავრეს მისიას - მსმენელს (მკითხველს) უქმნის ნათელ, გარკვეულ წარმოდგენას ობიექტზე (მოვლენაზე).

ანდა, ავიღოთ ასეთი ჰიპერბოლა ცნობილი საგმირო-სამონადირეო ლექსიდან „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“:

ვეფხვი რომ წამომიფრინდა, მამინ დაიძრნეს მიწანი,  
თვალნი მარისხნა ხთისანი. კლდეები ჩამაანგრივნეს,  
მაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, შტონ დაიღეწნეს ტყისანი“

(IV, 242).

ორთაბრძოლის შთაბეჭდვათა სურათი, რომლის მოწმეც ჩვენ ვხვდებით, გაზვიადების წყალობით იხატება. რეალური სინამდვილის დეფორმაცია, მისი არაბუნებრივ მასშტაბებში წარმოდგენა სრულიად არ იწვევს უხერხულობის განცდას, რადგან მოცემული ჰიპერბოლა მოვლენას (ორთაბრძოლას) უაღრესად რელიეფურად, მკაფიო სიყვარულით წარმოგვისახავს, ახდენს მსმენელის (მკითხველის) ყურადღების კონცენტრაციას, აღძრავს მასში სათანადო ემოციებსა და შთაბეჭდილებებს. ამდენად, წარმოდგენილი გაზვიადება მსაგვრულად საესეებით გამართლებულია.

ჰიპერბოლიზაციის მოვლენის მთელი ძალა მაინც კონტექსტში ჩანს, მხოლოდ აქ არის შესაძლებელი მისი ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედების მთელი ძალმოსილების, გამომსახველობითი შესაძლებლობების სრულყოფილად შემეცნება.

ზემოთ ჩვენს მიერ განხილულ-დამოწმებული მაგალითები მყარად „მის“ კონტექსტში, კარგად მიესადაგება ნაწარმოების თემატიკას, იდეურ მიზანდასახულობას, საერთო სტრუქტურას. ეს გარემოება კი მკვეთრად ამაღლებს მათ მსაგვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას. ახლა ამ მიმართულებით საგანგებოდ განვიხილავთ ერთ ნაწარმოებს, მასში დადასტურებულ ჰიპერბოლებს.

„მიდელაურის ლექსი“ (III, 252-255) საკმაოდ ვრცელი მოცულობის ნაწარმოებს წარმოადგენს. მასში მოთხრობილია გიორგი მიდელაურის მიერ ლეკებისაგან მოგაყებული ცოლისა და დის გყეობისაგან გათავისუფლების ამბავი.

ლექსის შესავალში ვეცნობით ვაჟოძეს, რომელიც მთქმელის დახასიათებით არის „ლეკი ლეთისაგან წყეული... გამარჯვებული, გყეების ტაცებას ჩვეული“. ვაჟოძეს კვლავ განუმრახავს გყეების მოსაგაცებლად წასვლა. მართლაც, „წავიდნენ მუქარაზედა ლეკის შეილები რვანია.“ მთვარის ამოსვლის ხანს მოძალადეები „ჟინვანის ხიდზე ჩავიდნენ“, არაგვის სანაპიროზე. მთქმელის სიტყვები:

„მაილამრება არაგვი  
მაანგრევს არე-მარესა“,

წარმოგიდგენს მდინარე არაგვის ხაგს, რომელიც გაბე-  
იადების ელემენტს შეიცავს. აღნიშნული ხაგი, რომელიც კა-  
რგად მიესადაგება სიგუაციისა თუ ვითარების მოცემულ შინ-  
აარსს, ავისმომასწავებელ განცდა-განწყობილებას ბაღებს.

ლეკებმა მიაღწიეს საწაღელს:

„ცხენს შესევეს გიორგის ცოლი,  
დაღისგანს წაუა წამზეღა“.

აქაც განსაზღვრული მოქმედებისათვის აუცილებელი  
ღროს შემცირებასთან გვაქვს საქმე, რაც გაზვიადებად აღი-  
ქმება, ძაბავს სიგუაციას, ასღენს მის შემღგომ ღრამაგზებას.

მოღღენები უაღრესად სწრაფად ვითარღება. მომზღარი  
ამბაეი სწრაფად აეიღა „ხაგში ღომისის კარზეღა“. აქ პი-  
რვეღად ვეცნობით გიორგი მიღღლაურს. პირვეღივე პასაგი  
გარკეეულ წარმოღგენას გვიქმნის მის გმირულ სახებზე:

„გიორგი მიღღლაური  
ღულსა სეამს, იჯღა ჯარზეღა.  
ჯერ მძიმიღა ზის ვაეკაიცი,

ჩქამსაყ არა ძრავს ჩქამზეღა.  
ღასცღის ღულიან ჯამასა,  
მეღღინეს აწღღის წამზეღა“.

გრაგიკული ამბაეი გიორგის „სწრაფად ჩააწყღა ყურშია“.  
მოამბეს სიგყეებში: „ცა გატეხიღა რისხვისაო“....  
პიპერბოღურად არის ხაზგასმული თაებზე ღამგყღარი უბეღუ-  
რება, გრაგეღია. მსმენელი მოუთმენღად ეღის მოქმედების  
შემღგომ განვითარებას. გიორგი, „რომელსაყ გული აქვ ანა-  
თრიოღლია“, ამბის მომგანთან მივიღა ღა პკითხა:

„ნეგარ ვინ იყენენ ქაღები, ღეკებს რომ წაუყყვანიაო“.  
მოამბის პასუხს – „ ერთი შენი ღა სოფიო, მეორე შენი  
ცოღიო“....

მოსდევს ფსიქოლოგიურად სრულიად გამართლებული დეტალი, რომელიც გიორგის სულიერ მდგომარეობას შესანიშნავად გამოხატავს:

„ეგეთი ამაიგმინა,  
თითქო გველმა ჰკრა კბილიო“....

შემდეგ გიორგის ხატის წინ მლოცავს ვხედავთ. ლოცვის დამთავრების შემდეგ გმირის პირველივე მოქმედება გაზვიადებულია:

„ესა სიქო, გადმოფრინდება  
ეხლა ხანია ცდისაო“.

ჰიპერბოლა - „გადმოფრინდება“ - კიდევ უფრო ამაღლებს გიორგის გმირულ სახეს. სახლში მისულ გმირს დედის გირილის ხმა ესმის. მთქმელი კვლავ მიმართავს გმირის სულიერი მდგომარეობის „გადმოშლას“, თანაც კვლავ ჰიპერბოლას მიმართავს:

„გიორგი კაზმავს საღარსა,  
გულზე ცეცხლ მონადებია“.

გიორგი ცოლისძმას მიამუშრებს. ამ უკანასკნელის რეპლიკაში კი ისევ სულიერი მდგომარეობის გამომხატველი ჰიპერბოლა „გაიელვებს“.

„შენსა ლოღინში, სიძეო,  
გულმა ათასად გამღარა“.

მომდევნო სურათი წარმოადგენს მგრის დევნას. ჩვენ ვხედავთ ალენიშნეთ, რომ გმირის სიერცეში გადაადგილება, მისი მოძრაობა უჩვეულო, არაბუნებრივი სისწრაფით ხასიათდება. ამ გენდენციას მთქმელი არც საანალიზო ლექსში და ლაღობს და კვლავ ჰიპერბოლა:

„სამი ღღის გადასავალი  
გიორგიმ წუთზე გაღღარა“.



გიორგი მგერს წაბოუწია, „ესროლა, მოხედა ვაეოქს. მოსწყდა მარჯენა მჯარია.... შეიდ მოკლა, ერთი გაექცა, ისიც ტყვიით მთერალია“...ბრძოლის დასრულების შემდეგ, გამარჯვებული გმირი შინ ბრუნდება, „შინვე მოასხა ქალები, როგორც რჯული და წესია“, - კმაყოფილებით აცხადებს მოქმელი.

მრავალ საგმრო ლექსში პიპერბოლათა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, გამომსახველობითი ფუნქციები გაცილებით უფრო შთაბეჭდავად გამოიყურება. ამის მიუხედავად, საშუალება გვაქვს, განხილული ლექსის მაგალითზე გარკვეული წარმოდგენა შევიმუშაოთ საგმრო პიპერბოლის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებასა და ფუნქციებზე; კერძოდ: პიპერბოლა ორგანულად ერწყმის ნაწარმოების მთლიან მხატვრულ ქსოვილს, არც ერთ შემთხვევაში არ არის ამოვარდნილი საერთო კონტექსტიდან, ყოველთვის ზუსტად არის შერჩეული, მიზანშეწონილად ნახმარი და კონკრეტულ მხატვრულ ამოცანას დამორჩილებული. ის ემოციურად დაძაბულია, ექსპრესიული, მაგრამ, იმავე დროს, გარკვეული, ზუსტი, არასოდეს აძნელებს აზრის აღქმას. მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები, რომლებსაც ხსენებულ ლექსში პიპერბოლა ასრულებს, ერთობ შთაბეჭდავია, მრავალფეროვანია: ემსახურება მოვლენის, ვითარების ნათლად ჩვენებას, პერსონაჟის ხასიათის გამოკვეთას, მისი სულიერი, ფსიქოლოგიური მდგომარეობის წარმოსახვას, ნაწარმოებში განსაზღვრული განწყობილების შექმნას. აღსანიშნავია, რომ პიპერბოლა, ნაწარმოებში, მართალია მოკრძალებულ, მაგრამ მაინც გარკვეულ როლს ასრულებს სიუჟეტის განვითარებაში, მოქმედების განვითარების ძირითადი საფეხურების გამოკვეთაში.

ამრიგად, როგორც განხილულმა ლექსმა დაგვანახა, საგმრო პოეზიაში პიპერბოლა აქტიურად მონაწილეობს ცალკეულ ნაწარმოებთან ემოციური ველისა და გამომსახველობითი თავისებურებების ფორმირებაში.

არაერთიხელ მოგვისდა იმ უეჭველი ფაქტის კონსტატაცია, რომ ფოლკლორის თითოეული ჟანრი სინამდვილის სხვადასხვა სფეროს შეეხება და, შესაბამისად, მოცემული სინამდვილისათვის ნიშანდობლივ საგნებსა და მოვლენებს აქცევს ხატოვანი გამოსახვის ობიექტად. უფრო მეტიც, თვით ამ სინამდვილის ყოველგვარი გამოვლენაც ვერ იმსახურებს მოქმედის თანაბარ ინტერესს. მხატვრული გამოსახვის სხვადასხვა ხერხს მოქმედი, ჩვეულებრივ, მაშინ მიმართავს, როდესაც საქმე ეხება ჟანრის ძირითად საგნებსა და მოვლენებს, ისეთებს, რომლებიც მისი აქტიური მხატვრული ინტერესის სფეროში შემოდის. ამაში, ვფიქრობთ, ბევრთი უკვე დავრწმუნდით, როდესაც განვიხილეთ ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება. ცხადია, ხსენებულ კანონზომიერებას არც ჰიპერბოლიზაციის მოვლენა არღვევს. გაზვიადების ობიექტია გმირი და მისი საბრძოლო მოქმედება, აგრეთვე, გმირთან, მის საქმიანობა-მოღვაწეობასთან დაკავშირებული საგნები და მოვლენები: იარაღ-საჭურველი, სამოქმედო არეალი (მისთვის დამახასიათებელი ობიექტები), საომარი ბატალიებისათვის ნიშანდობლივი სიგუაციები და ვითარებები, გმირის სიკედილით, ამ მგრის თავდასხმით გამოწვეული, თავს დამტყდარი უბედურება... როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ობიექტები საგმირო ლექსების იდეურ-თემატიკურ ტენდენციებთან, გმირისა და გმირობის გრადიციულ ხალხურ იდეალთან ორგანულად არის დაკავშირებული.

საგმირო ლექსებში გაზვიადება მრავალი კუთხით, ნაირგვარი ასპექტით იჩენს თავს, რაც მისი ფუნქციური დანიშნულების მრავალფეროვნებას განაპირობებს. ჩვეულებრივ, გაზვიადებულია ობიექტის ის ნიშან-თვისება, რომელიც მოცემულ მომენტში წინა პლანზე დგას და გამოსახვას ითხოვს: თუმცა, საგმირო პოეზიაში, არცთუ ისე იშვიათად, ჰიპერბოლათა ისეთი ნიმუშებიც გვხვდება, რომლებშიც გაზვიადების ნიშანი უშუალოდ არ არის მოცემული (გარეგნულად გამოხატული). ასეთია შედარებისა და მეტაფორის საშუა-

ლებით გადმოცემული მრავალი ჰიპერბოლა, რომლებიც განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული გმირის დასახასიათებლად. მაგალითად:

„ამბობენ ტროპეთ ვივლის  
ვეფხვი ეერ დეეჰარბაო“ (IV,75).

აგრეთვე:

„ლომო, მე ლომის მოკლულ,  
ბუსნი ჭალაის პირსაო“... (IV, 249).

როგორც პირველ, ისე მეორე მაგალითში ვეფხვისა და ლომის ჰიპერბოლური ხაგები ობიექტს (გმირს) რაინდობა-სიქველის კუთხით ახასიათებს, თუმცა გაზვიადების ნიშანი გარეგნულად გამოსატყულებელი არ არის. როგორც არაერთგზის აღინიშნა, მსგავსი პოეტური სახეები წარმოდგენათა თუ ასოციაციათა გამორჩეულ სიმდიდრეს ფლობს და, შესაბამისად, გაზვიადებაც ერთბაშად რამდენიმე ნიშანს მოიცავს.

საგმირო ლექსებში განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ისეთი ჰიპერბოლები, რომლებშიც გაზვიადების ნიშანი უშუალოდ არის მოცემული. ასეთი გაზვიადებით დახასიათებულია ნაირგვარი საგანი და მოვლენა, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გმირის ჰიპერბოლები. ისინი გმირს ახასიათებენ, უპირველეს ყოვლისა, სავაჟაკო, რაინდული ნიშან-თვისებებით (გულადობა, სიმარდე, საბრძოლო შემართება და ა.შ.). თუ ზღაპარში მთქმელი უშუალოდ მიმართავს პერსონაჟის ძალ-ღონეს გაზვიადებას, ამას ეერ ვიტყვიით საგმირო ლექსზე, აქ გმირის ფიზიკური ძალის, ღონიერების წარმოჩენა არაპირდაპირ, მინიშნებით ხდება: მოქმედება-საქციელი, რომელსაც გმირი ჩადის, მხოლოდ არაბუნებრივი ძალ-ღონის წყალობით არის შესაძლებელი. მაგალითად, მთქმელი ივანე კაკიაშვილის არაბუნებრივ ფიზიკურ ძლიერებაზე მიგვანიშნებს, როდესაც გვიყვება გმირის მიერ ცხენების მოგაყვების ეპიზოდს:

„თეასემ გააკრა ქამანდი,  
თოკა წაიღო წკრიალი,  
ხუთინივე ერთიად გააბა,

ხუთინივე ხუთ-ხუთ წლიანი,  
ადგილიდანაც ვერ დასძრეს,  
ხუთმა დაიწყო ხრიალი“

(111, 219).

ის გარემოება, რომ ხუთი „ხუთ-ხუთ წლიანი“ ქერანი ივანეს ადგილიდანაც ვერ სძრავს, ხსენებული გმირის ძალ-ლონის გამვლიადებულ გამოსახვად აღიქმება.

ხშირად გამვლიადება ობიექტის გარეგნული, ფიზიკური ნი-შან-თვისების გადაჭარბებულად წარმოდგენას ისახავს მიზნად. მაგალითად, ქალის დასახასიათებლად მთქმელი უმთავრესად მიმართავს მისი სილამაზის ჰიპერბოლურ წარმოსახვას:

„იმას რომ ვაყენება,  
მწვანეზე მოეფინება,

სიტურფით და სილამაზით  
მტყერი არ მიეღინება“.

დ. გოგოჭური შენიშნავს: „სხვა კეთსეთა ხალხური სი-ცყვიერებისაგან განსხვავებით, ხევსურულ საგმირო პოეზიას ის თავისებურება გააჩნია, რომ გმირის ფიზიკურ მხარეს სრულიად არ ექცევა ყურადღება. თუ ხშირად ნაწარმოებში გადაჭარბებით არის შეფასებული გმირის სიმაჰაცე, გამბედაობა, სისწრაფე და სხვა თვისებები, თითქმის ვერ ენახავთ სახალხო გმირს, რომელსაც, თუ გნებათ, საშუალო ფალაენის ფიზიკური მონაცემები მაინც მიეწერებოდეს, პი-რიქით, სიმღერები და გადმოცემები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ცნობილი გმირები ტანმორჩილები იყვნენ (11,28). უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრის სიცყვეები მეტ-ნაკლებად მთლიანად საგმირო პოეზიაზე შეიძლება გაეაერცელოთ. აქ გმირის ფიზიკური აღნაგობის გამვლიადების ტენდენცია თითქმის არ შეინიშნება. თითქმის - ვამბობთ იმიტომ, რომ გვაქვს გამონაკლისიც. კერძოდ, ზემოთ უკვე განვიხილეთ ერთი საგმირო-სახოგბო ლექსი („მტერნ შორით დათხვებიანა“), სადაც გმირის პორტრეტის ცალკეული ნიუანსები არაბუნებრივი მასშტაბებით არის წარმოდგენილი:

გმირის თავი მთავსიან არის შედარებული, შუბლი - ალგეითის მინდორთან, წარბები - მშვილდის „მალიკთან“ და ა.შ.

ობიექტის გარეგნობის გაზვიადება ხშირად სიმალის გადაჭარბებულად წარმოადგენითაც ხდება. მაგალითად, ციხეს „ეკუთვნის“ შემდეგი სიტყვები:

„ცამლის ეარ ამაღლებული,  
შელესილი ვარ განზედა“ (III, 117).

საანალიზო ქანრის ნიმუშებში გვხვდება, აგრეთვე, სხვა ჰიპერბოლებიც, რომლებშიც გაზვიადებულია ობიექტის გარეგნული მახასიათებლები (მოცულობა, ზომა, წონა).

განსაკუთრებით ხშირია ობიექტის მოძრაობა-მოქმედების ჰიპერბოლიზაცია. ამ დროს, გაზვიადების შედეგად ხაზგასმულია მოძრაობის არაბუნებრივი სისწრაფე:

„ღურჯაი ეგრე გაფრინდა  
წელს მიაქვს ნიაე-ქარია“ (III, 119).

აგრეთვე, მოქმედების თავბრულამხვევი გემპი, ინტენსივობა:

„ქარად გამოვიდ ელანი  
შუა გახია ქარია“ (III, 119).

ან:

„ერდოდან ჩამოერივა  
ამოაწიელა ხმალია“ (III, 256).

ხშირად საქმე გვაქვს მოქმედების შედეგის გაზვიადება-სთან:

„წყალზე ჯაბირად ჩაიღვა  
ქისტის შვილების მკედარია“ (IV, 99).

განსაზღვრული მოქმედების, ვითარების, სიტუაციის გაზვიადება მათი სიმძაფრის, დაძაბულობის კუთხით ხდება,

მაგალითად, მგრის თაედასსმა (ამ თაედასსმის შედეგი) ასეა გადმოცემული.

„დაიძრა ერთი თათარი,  
სულ შაძრა მთა და ბარიო,  
მიღეწ-მოღეწა ხოყანა  
ჭარი და ბელაქანიო“ (IV, 117-118).

ბრძოლის სურათი კი ასეა დახატული:

„შუბის ნალეწი  
ზეცას ცვიოდა,  
ჩამოსციოდა -  
ხმალი ორპირი  
სისხლში სკურაედა“ (IV, 127).

საგმრო ლექსში, საერთოდ, ხალხურ პოეზიაში, მთქმელი ფართოდ მიმართავს რაოდენობის გაზვიადებას - მსგავსი გაზვიადება შესაძლებელია უშუალოდ რაოდენობის (რიცხვის) დასახელებით.

„ასი მომიკლავს ურჯულო,  
ორასი დამიჩეხია“ (IV, 227).

ან კიდევ, ამის გარეშე:

„შეყრილა ქისტის ჯარები  
ნამ არ გადასწვდებ ცისაო“ (IV, 50).

არცთუ ისე იშვიათად, გაზვიადებულია სმენითი წარმოდგენები, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში:

„ხმალ-ხანჯლის ჩქამი გამოდის,  
იჭყვი, დაიძრა ზეაეიო“ (111, 231).

ან:

„გესრიდეს თათრისეულსა  
ჭეხა გეგონას ცისაო“ (IV, 180).

საგმირო ლექსებში ზოგჯერ გაზვიადებულია დრო. მე-  
გწილად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც განსაზღვრული  
მოქმედების (მოვლენის) შესრულებისათვის აუცილებელი  
დროის მონაკვეთი გადაჭარბებულად შემცირებულია.

მაგალითად:

„შამეგია ფშაეელი  
შვიდთაე თაე მასკრა წამზედა“ (IV, 121).

ან:

„სამღევროდ არხოგიენები  
ღეემზადიან წამზედა“ (IV, 98).

ასევე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ნაგერის, სურე-  
ილის გაზვიადება:

„მოგეკლას ათი ათასი  
არ ღაგმართოლეს ზიანი“ (IV, 227).

პერსონაჟის (პერსონაჟების) სულიერი მდგომარეობის გა-  
დმოცემა უმთავრესად, გაზვიადების ფორმით ხდება. ამ დროს  
პიქურბოლა ადამიანის სულიერი დაძაბულობის, თავს დამ-  
ცყდარი უბედურებით გამოწვეული განცდების გადაჭარბე-  
ბულად წარმოდგენის საშუალებაა. მოვიგანთი ორიოდ მაგა-  
ლითს:

„იმელა ევრე გაჯაერდა,  
კინალით ახელა გონია“ (IV, 98).

ან:

„გაჯაერდა ბიჭი სეიმონი,  
პირიდგან ცეცხლსა კყრისაო“ (III, 171).

ამრიგად, საგმირო პოეზიაში გაზვიადების ფორმით გამო-  
ისატება ნაირგვარი ობიექტი, ამ ობიექტის ასევე ნაირგვარი  
ნიშან-თვისება. ამ მხრივ რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. გა-  
ზვიადების საგანი შეიძლება იყოს ყოველგვარი ობიექტი,

მისი ნიშან-თვისება, თუკი ამას კონკრეტული საჭიროება, მხატვრული ამოცანა მოითხოვს. მაშასადამე, აღნიშნული ხერხი თითქმის არასოდეს წარმოადგენს მთქმელის თვითმიზანს. მეორე მხრივ, ეფიქრობთ, ნათლად გამოჩნდა ის გარემოება, რომ თვით გაზვიადებული ობიექტები და ნიშან-თვისებები მკაფიოდ აირეკლავს ეანრის იდეურ-თემატიკური ტენდენციების სპეციფიკას და მას სავსებით შეესაბამება. მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ის მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები, რომელსაც ჰიპერბოლა საგმირო ლექსში ასრულებს.

ამრიგად, საანალიზო ეანრის ნიმუშებში ჰიპერბოლიზაცია საგმირო იდეალიზაციის უმთავრესი საშუალებაა და აქ ფართოდ ამკვიდრებს გმირობა-მამაცობის კულტს.

საგმირო ლექსებში გაზვიადების გადმოცემა ხდება ორი ძირითადი ფორმით: 1) როდესაც გაზვიადება გამოხატულია სხვადასხვა სტილისტიკური ხერხითა თუ საშუალებით; 2) როდესაც გაზვიადება ხდება პირდაპირ და არ წარმოადგენს არც გროქსა და არც ფიგურას.

განსხვავებულია გაზვიადების მექანიზმიც, მისი განხორციელების გზაც, რომელიც შეიძლება იყოს: 1) პირდაპირი, 2) არაპირდაპირი.

გაზვიადებათა ემოციურ-ესთეტიკური ბუნება საგმირო ლექსში ნაირგვარი ასპექტით იჩენს თავს, რაც მის მაღალ ღირსებაზე მეტყველებს.

გაზვიადება-ჰიპერბოლიზაცია საგმირო ლექსში ნაირგვარ სტილისტურ ფუნქციას ასრულებს, ახასიათებს გმირს, მის მოქმედებას, სხვადასხვა საგანს, ნათლად და რელიეფურად წარმოსახავს სიტუაციებსა და მოვლენებს.



## პირითადი დასკვნები

განხილული მსაგერულ-გამომსახელობითი ხერხები, გამომსახელობითი და ესთეტიკური ნიშან-თვისებების, აგრეთვე, ფუნქციების განსაზღვრული ერთობლიობით, გვევლინება როგორც ერთგვარი მიკროსისტემა, ჩართული საგმირო პოემიის სახისმეგყველების მთლიან სტრუქტურაში. ბუნებრივია, ამ უკანასკნელის ბოგადი თავისებურებანი კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს აღნიშნული ხერხების (ენობრივი სახეების) დონეზეც. აქვე დავსძენთ, რომ ეს თავისებურებანი საბოგადოდ ხალხური სახეობრივი აზროვნებისათვის ნიშანდობლივი კონკრეტულ-ქანრული მოდიფიკაციებია.

საგმირო პოემიის შინაარსი და ფორმა დიალექტიკური ერთიანობით ხასიათდება. პოეტურ სახეთა თავისებურებას განსაზღვრავს თვით ქანრის თემატიკა, იდეური ტენდენციები, ხალხის ესთეტიკურ-ეთიკური თვალთახედვა, გმირისა და გმირობის მოგადხალხური იდეალი.

ფოლკლორი აქტიურად ამკვიდრებს სისადავის ესთეტიკას.

საგმირო პოეზიაში ენობრივ სახეთა როგორც გარეგანი ფორმა, ისე შინაგანი სტრუქტურა ხასიათდება სისადავით, უბრალოებით, გარკვეულობით, სიცხადით, მათთვის საერთოდ უცხოა ხელოვნური გართულება, აზრის დაბნელება, გადაჭარბებული ესთეტიზმი.

თითოეული ხერხი ფორმისეული გამოხატვის მრავალფერონებით გამოირჩევა, რითაც ერთფერონება და მონოგონურობაც თავიდან არის აცილებული და სახეობრივემოციური ბუნების მრავალი ნიუანსიე არის შეპირობებული.

ფოლკლორი მიმეტური ხელოვნების ნიმუშია, რომელიც კი არ გარდასახავს სინამდვილეს, არამედ ასახავს. აქ პოეტური სახე სინამდვილის უშუალო, გრძნობად-კონკრეტული

აღქმის შედეგია, ნაგრძნობ-განცდილს ემყარება. ამით არის შეპირობებული საგმირო (საერთოდ ხალხურ) პოეზიაში სახეთა იდენტურობა, რაც ვლინდება რიგი გარეგან-მოხატული ნიშან-თვისებით: უპირეულებსადა, უნდა ითქვას, რომ ხატები ვიშუალურობის, თვალსაჩინოების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, ობიექტის აბსტრაქტულ, განყენებულ თვისებასაც კი „საგნობრიობას“, ფიზიკურ არსებობას ანიჭებენ, ხელით შესახებსა და ცხადად სახილველს ხდიან; მეორეც, თვით ასასახავსა და ასახულს შორის კავშირი არის უაღრესად ბუნებრივი, თვალშისაცემი, მუსტი და, ამდენად, მყარი ესთეტიკური ღირებულების. ეს გარემოებანი განსამდგრავს (მაღლა სწევს) ხატების ობიექტურობის ხარისხს. ობიექტური ხატი კი, თავის მხრივ, სრული რეალობის განცდას გოვებს (ფოლკლორისათვის სწორედ ობიექტური, „რეალისტური“ ხატებია ნიშანდობლივი). აღნიშნულ ნიშან-თვისებებს თუ დავემატებთ იმასაც, რომ საგმირო პოეზიაში პოეტური სახე დინამიკურია, მოძრაობამოქმედების ნიშნით არის აღბეჭდილი, აქტიურობას, ცვალებადობას გამოხატავს, შეიძლება დაეასკენათ: ეს სახე (სახელდობრივი სისგემა) პლასტიკურობით ხასიათდება.

პოეტურ სახეთა ემოციურ გონალობას, შინაგან ექსპრესიას, აგრეთვე გამომსახველობით უნარს მკვეთრად მაღლა სწევს ჰიპერბოლიზაცია, რომელიც სწორედ სახისმეგყველების დონეზე პოულობს განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებას.

მრავალი სახე უშუალოდ მთქმელის სუბიექტური განცდა-განწყობილების შედეგია. ამ დროს, ის ემოციურად განსაკუთრებით დაძაბულია, ექსპრესიულია („ლირიკული სახე“). ასეთი ხატების გვერდით გვხვდება ემოციურად შედარებით ნეიგრალური „ეპიკური“ სახეები.

საგმირო პოეზია ძირითადად ოპერირებს გრადიციული სახეებითა და ფორმულებით. მათი ემოციურ-ესთეტიკური მემოქმედება შედარებით ნაკლებად არის გაფერმკრთა-

აღებული მსოლოდ იმის წყალობოი, რომ კონტექსტი ანიჭებს ახალ სიციოსლეს, ჟღერადობას.

ტრადიციულის გვერდით გვხვდება ისეიი სახეებიც, რომლებიც სიასლითა და მოულოდნელობით გამოირჩევა. ისინი შემოქმედებით პროცესში იმპროვიზაციის, ინდივიდუალიზმის უშუალო შედეგად აღიქმება.

უაღრესად შთამბეჭდავი და შრავალფეროვანია ის მხატვრული ფუნქციები, რომელსაც საანალიზოდ აღებული ხერხები ასრულებს. საზოგადოდ, საგმირო პოეზიის ცენტრში დგას გმირი, მის ირგვლივ ვითარდება მოვლენები, მასთან უშუალო კავშირში იჩენს თავს სხვა პერსონაჟი თუ საგანი. აქედან გომდინარე, ენობრივ სახეთა ძირითადი ფუნქცია სწორედ გმირის სახის გამოკვეთაა. მაგრამ, ცხადია, განხილული ხერხების ფუნქცია ამით არ ამოიწურება. ისინი ფართოდ არის გამოყენებული სხვადასხვა ობიექტის, მოვლენის, ვითარების, გარემოს, მოძრაობა-მოქმედების და ა.შ. გამოსახატავად, გარკვეულ როლს თამაშობენ, აგრეთვე, როგორც სიუჟეტის განვითარების ელემენტები.

## РЕЗЮМЕ

Данная работа представляет собой попытку комплексного изучения основных элементов образной речи грузинского народного героического стиха. Проанализированы пять языковых образов: эпитеты, сравнения, метафоры, олицетворения, гиперболы.

Рассмотренные приемы художественной выразительности с определенным единством изобразительных и эстетических признаков, а также функций, предстают в комплексе как своего рода микросистема, включенная в единую систему художественной речи героической поэзии. Они наиболее ярко проявляют особенности художественных принципов и идейно-тематических тенденций героического стиха.

Фольклор активно утверждает эстетику простоты. Как внешняя форма, так и внутренняя структура словесных образов отличается простотой, прозрачностью, определенностью. Им не присущи искусственное усложнение, умышленное затемнение смысла, преувеличенный эстетизм.

Фольклор является образом миметического искусства. Он не преобразует, а отражает действительность. Художественный образ является в нем прямым следствием непосредственного, конкретно-чувственного отражения. Он опирается на чувство и переживание. Именно этим обусловлена эйдетичность образов героической (вообще народной) поэзии, которая проявляется в ряде внешних признаков. В первую очередь, необходимо отметить, что образы отличаются высокой степенью визуальности, наглядности.

Даже абстрактным свойствам объекта сообщается предметность, физическое существование. Кроме того, связь между отражением и отраженным крайне естественна, точна и поэтому обладает устойчивой эстетической ценностью. Эти обстоятельства усиливают степень объективности образов. Объек-

тивный же образ, со своей стороны, создаст полное впечатление реальности. Если к указанным признакам добавить то, что в героическом стихе поэтический образ динамичен, т.е. обладает признаком движения, действия, выражает активность, изменчивость, можно сделать вывод, что образ (образная система) характеризуется пластичностью.

Художественные функции, выполняемые анализируемыми приемами, крайне впечатляющи и многообразны. Их основной целью является создание образа героя. Наряду с этим, рассмотренные приемы широко используются для характеристики различных объектов. Описания различных явлений, обстоятельств, среды, движения действий и. т. д. выполняют определенную роль и как элементы развития сюжета.

1. არაბული ა., ცხენი-პერსონაჟი ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, xv, თბ., 1985.
2. არისტოტელე, პოეტიკა
3. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თ. კუკავამ, თბ., 1981.
4. ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, 1, თბ., 1956.
5. ბარბაქაძე რ., ფერი მხატვრული აზროვნების ელემენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1979, №2.
6. ბარდაველიძე ჯ., ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთობის საკითხი ფოლკლორში, ლიტერატურული ძიებანი, 1 (xv), თბ., 1987.
7. ბარდაველიძე ჯ., ინდივიდუალური ხასიათის პრობლემა ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, 111, თბ., 1969.
8. ბარდაველიძე ჯ., ქართული ხალხური ლექსი, თბ., 1977.
9. ბარნოვი გ., ადამიანის შინასამყაროს გამოხატვა ქართულ ხალხურ პოეზიაში, ქართული ფოლკლორი, vi, თბ., 1976.
10. გოგოჭური დ., მელექსეობა ხევსურეთში, თბ., 1974.
11. გოგოჭური დ., ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, თბ., 1977.
12. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. v., თბ., 1961.
13. ვაჟა-ფშაველა, ხუთი პოემა, თბ., 1975.
14. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964.
15. ზანდუკელი ფ., მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში, თბ., 1985.
16. ზანდუკელი ფ., პიპერბოლიზაცია ზღაპრებში, ლიტერატურული ძიებანი, xvii, თბ., 1987.
17. კალანდაძე გ., ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1957.

18. კიკნაძე გრ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. თბ., 1957.
19. კიკნაძე გრ., ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბ., 1978.
20. კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები.
21. კიკნაძე ზ., ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985.
22. კოტეტიშვილი ე., ხალხური პოეზია, თბ., 1961.
23. კოჭლავაშვილი მ., ქალის ეპითეტი ქართულ ხალხურ ქების ლექსში, ქართული ფოლკლორი, IX, თბ., 1979.
24. პრაპი ვ., ზღაპრის მორფოლოგია, თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა, თბ., 1984.
25. რამიშვილი დ., მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, თბ., 1963.
26. სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
27. სიხარულიძე ქს., ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 1970.
28. სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები, თბ., 1970.
29. ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეორე, ნაკვეთი პირველი, ტომი შეადგინა, გამოკვლევა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქსენია სიხარულიძემ, თბ., 1974.
30. ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტომი შეადგინა, გამოკვლევა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქსენია სიხარულიძემ, თბ., 1975.
31. ქურდოვანიძე თ., ტროპის სახეები ქართულ ზღაპრებში (პიპერბოლა, ლიტოტესი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, 3-4, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თბ., 1974.
32. ქურდოვანიძე თ., ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი, თბ., 1983.

33. შეთეკაური გ., ეპითეტი ხალხური პოეზიის ნიმუშების მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1978.
34. შეთეკაური გ., მეტაფორის მხატვრულ-ემოციური ბუნებისათვის (ხალხური პოეზიის მასალების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №4, 1975.
35. შეთეკაური გ., ფერთა ეპითეტები ხალხური პოეზიის ნიმუშებში, ქართული ფოლკლორი, xiv, თბ., 1984.
36. ჩიქოვანი მ., ქართული ეპოსი, II, თბ., 1965.
37. ჭოხონელიძე გ., მხატვრული ენის სპეციფიკა, თბ., 1989.
38. ჰეგელი, ესთეტიკა, ტ.1, თბ., 1973.
39. Абрамович Р.Л. Введение в литературоведение., М., 1975.
40. Аникин В.П. Теория фольклорной традиции и ее значение для исторического исследования былин, М., 1980.
41. Античные теории языка и стиля, под ред. О.М. Фрейденберга, М.-Л., 1936.
42. Бекон Ф. Собр. Соч. в двух томах, Т.II, СПб, 1874.
43. Блажесс В.В. Содержательность художественной формы русского былевого эпоса, Свердловск, 1977.
44. Богатырев П.Г. Вопросы теории народного искусства, М., 1971.
45. Буслаев Ф.И. О преподавании отечественного языка, Л., 1941.
46. Вертим М. Общее литературоведение, М., 1957.
47. Веселовский А.Н., Историческая поэтика, М., 1989.
48. Веселовский А.Н. Собрание сочинений, I, 1913.
49. Гердер И. Избранные сочинения, М.-Л., 1959.
50. Дьяконов В.И. Сравнение Тургенева, в кн.: Тургенев и его время, М., 1923.
51. Евгентева А.П., Очерки по языку русской устной поэзии в записях XVII-XX вв., М.-Л., 1963.
52. Ерёмкина В.И. Поэтический строй русской народной лирики, Л., 1974.



53. Жирмунский Б. Народный героический эпос, М., 1962.
54. Квятковский А. Поэтический словарь, М., 1966.
55. Кожин В.В. Художественная речь как форма искусства слова, в кн: Теория литературы, т. III, М., 1965.
56. Колпакова Н. Русская народная бытовая песня, М.- Л., 1962.
57. Кочетов В.Н. Метафора в бытовых лирических песнях, в кн: Фольклор как искусство слова, выпуск 5, М., 1981.
58. Кравцов Н. Изучение фольклорного произведения как художественного целого, в кн: Фольклор как искусство слова, М., 1966.
59. Кулагина А.В. Эпитет в баладах, в кн.: Фольклор как искусство слова, выпуск 4, М., 1980.
60. Лихачев Д.С. Поэтика древнерусской литературы, М., 1979.
61. Мелетинский Е.М. Происхождение героического эпоса, М., 1963.
62. Палиевский П. Внутренняя структура образа, в кн.: Теория литературы, II., М., 1962.
63. Пospelов Р.И. Искусство и эстетика, М., 1984.
64. Потемкина А.А. Эстетика и поэтика, М., 1976.
65. Пропп В.Я. Русский героический эпос, М., 1958.
66. Путилов Б.В. Современные проблемы исторической поэтики фольклора в свете историко-типологической теории, в кн.: Фольклор - поэтическая система, М., 1973.
67. Зудяков Н.А. Образные средства языка художественного произведения, в кн.: Язык и стиль произведений фольклора и литературы.
68. Савушкина Н.И. Эпитет в бытовой сказке, в кн.: Фольклор как искусство слова, выпуск 4, М., 1980.
69. Селиванов Ф.М. Сравнение в былинах, в кн.: Фольклор как искусство слова, выпуск 3, М., 1975.

70. Селиванов Ф.М. Гипербола в былинах, в кн.: Фольклор как искусство слова, выпуск 3, М., 1975.
71. Сидельников В.М. Поэтика русской народной лирики, М., 1959.
72. Сорокин В.И. Теория литературы, М., 1960.
73. Томашевский Б.В. Стилистика, М., 1983.
74. Фольклор как искусство слова, выпуск I, М., 1966.
75. Фольклор как искусство слова, выпуск II, М., 1969.
76. Фольклор как искусство слова, выпуск III, М., 1975.
77. Щепилова Л.В. Введение в литературоведение, М., 1968.
78. Wörterbuch der Literaturwissenschaft, Herausgegeben von Claus Trager, Leipzig, 1986.

# სარჩევი

შესავალი	3
ეკითხები	18
1. გამოხატვის ფორმები და შინაარსი	19
2. მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება	25
3. მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები	39
4. ერთი ისტორიული ასპექტი	49
შედარება	54
1. გარეგანი ფორმა და შინაგანი სტრუქტურა	57
2. მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება	65
3. მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები	75
მეტაფორა	86
1. ლექსიკური მეტაფორა და მისი მხატვრულ-ემოციური ფუნქცია	86
2. სტრუქტურული აღნაგობა და შინაარსი	89
3. მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება	98
4. მხატვრული ღირებულება და ფუნქციები	107
5. მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები	111
ბაკროვნება	121
1. გაპიროვნებათა ფორმები და შინაარსი	122
2. მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება	132
3. მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქციები	138
ჰიპერბოლა	147
1. ჰიპერბოლიზაციის ფორმები და განხორციელების გზები	149
2. მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება და ფუნქციები	152
ძირითადი დასკვნები	169
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	172
ბამოქმედებულ ლიტერატურა	174

რედაქტორი  
მხატვრ. რედაქტორი  
ტიქნ. რედაქტორი  
უფრ. კორექტორი  
კორექტორი  
ოპერატორები:

ხათუნა თაყვანიშვილი  
ბურაბ ბუჩუყაძე  
როზარტ ლომაძე  
ნანული წილოსანი  
ლალი კონსტანტინე  
მაგალი ბუჩუყაძე  
ხათუნა ვარდანიშვილი  
მარიკა ლაშვილი

ხელმოწერილია დასაბუჯდად 20.10.99  
ქალაქის ზომა 60X84 1/16  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8  
ფიზიკური თაბახი 11,25  
შეკე. № 60  
ტირაჟი 300

შანი სახელმწიფო